# სარბიელი

სპორტული გაზეთი

ორშაბათი, 30 მარტი, 2009 №16 (3509)

ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# კუნძული და ძუნძული

## არ გვინდა ასეთი უსისხლო ნაკრები!




## გულშემატკივრის ხმა: ჩერნოგორიასთან მატჩში ან ბოიკოტი, ან სტვენა!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სამარცხვინო!



28 მარტი. 22 საათი

კვიპროსი 2:1 საქართველო

ლარნაკა. ანტონის პაპადოპულოსი. 3 000 მაყურებელი

1:0 კონსტანტინუ (33), 2:0 ხრისტოფი (56), 2:1 კობიაშვილი (71პ)

კვიპროსი: გიორგალიდი, ხრისტოუ, ხარალამბუსი (იასუმი 90), ხრისტოფი, ალონეფტისი (პანაგი 69), ილია, გარპოცისი, ალექსანდროუ, კონსტანტინუ, მიხაილი, საციასი (ავრაამი 82)

*სათადარიგონი:* ავგუსტი, პავლოუ, ოკარიდესი, მარაგკოსი

მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადისი

საქართველო: ლომაია, ლობჟანიძე, ხიზანიშვილი, კვახაძე, შაშიაშვილი, რაზმაძე, ოდიკაძე, კობიაშვილი, გოცირიძე, იაშვილი, მჭედლიძე (სირაძე 28)

*სათადარიგონი:* მამალაძე, სალუქვაძე, კვირკველია, ხმალაძე, მერებაშვილი, კაშია

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

გაფრთხილება: ლობჟანიძე (25), გოცირიძე (44), საციასი (57), ხარალამბუსი (63), იაშვილი (69), ხიზანიშვილი (73), შაშიაშვილი (75)

მსაჯები: ფ. ფოტრე, ე. ბოისდენგინი, ფ. არჩი, ფ. კოლტი (საფრანგეთი)

**სამარცხვინო** თამაში — სხვა რა შეიძლება ეწოდოს საქართველოს ნაკრების გამოსვლას?

„პირველ ტაიმში გაშვებულ უაზრო გოლამდე ჩემი ფეხბურთელები დავალებას ზუსტად ასრულებდნენ. დასანან შეცდომას მოჰყვა მეორე გოლიც. დასანანია, რომ ჩერნოგორიასთან მეტად მნიშვნელოვან მატჩში დისკვალიფიკაციის გამო სამი ფეხბურთელი დაგვაკლდება“ — ეს სიტყვები ექტორ რაულ კუპერმა ნამატჩევ პრესკონფერენციაზე თქვა და რა კომენტარი უნდა გავაკეთოთ?

ვისაც ქართული ფეხბურთი აინტერესებს, კვიპროს — საქართველოს პირდაპირ რეპორტაჟს ნახავდა და მგონი, ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რა ხვითო იყო ჩვენი ეროვნული გუნდი კუნძულზე.

„ეროვნული გუნდი“ — რა მარტივად ჟღერს ეს სიტყვები, მაგრამ რამდენს იტევს?! რატომ გახდა ამის გაგება მავანთათვის პრობლემა, ჩვენთვის ძნელი ამოსაცნობია. თუმცა გაუგებარია ისიც, რატომ არ სურთ მათ იმის გამოხატვა მაინც, რაც ქომაგს სხვა, უფრო „ბოროტ“ რამეებს არ აფიქრებინებს?!

უტრირებულად რომ ვთქვათ, შეიძლება, 90 წუთის განმავლობაში ერთმა ფეხბურთელმა მაინც „პადკატი“ არ გააკეთოს?!

ბუნებრივია, მხოლოდ „პადკატზე“ არ ჰკიდია თამაშის მოგება, მაგრამ ესეც ხომ ხასიათის ერთგვარი გამოვლინებაა?!

წაგების შემდეგ მუშტებს არ იქნევენო, ბრძენ კაცს უთქვამს. დალოცვილო, წაგების მერე კი არა, წაგებამდეც ველარ ვიცემთ მკერდში მჯილებს. რატომ?

რა გახდა ჯიგრიანი თამაშის ნახვა? მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლას რომ არავინ გთხოვდათ, ეს ხომ ისედაც ფაქტი იყო, მაგრამ ჯიგრიან თამაშს რაღა უდგას წინ?!

რატომ არ შეიძლება, ერთი „ჯენარო გატუზო“ ჩვენც გვყავდეს?

რატომ არ შეიძლება, არწასაგები არ წავაგოთ?!

ჯანდაბას, წავაგოთ, მაგრამ ის მაინც ვთქვათ, რომ ვიბრძოლეთ და არაფერი გამოგვივიდა.

ამასაც კი ვერ ვამბობთ. არ გვაძლევს ჩვენი ნაკრები ამის საშუალებას.

ახლა აზრი აღარ აქვს იმის კითხვას, რატომ არ გააკეთა კუპერმა შეცვლები; რატომ უყურა მოსიარულე ფეხბურთელებს 90 წუთის განმავლობაში; რატომ იძახებს ნაკრებში უთამაშებელ ფეხბურთელებს; რატომ არ აქვთ შანსი დავით გამეზარდაშვილს, გიორგი ადამიას, ვლადიმერ დვალიშვილს, ლევან გვაზავას, სანდრო გურულს, ილია კანდელაკს; რატომ მოვიძულეთ საბოლოოდ გოგიტა გოგუა, მალხაზ ასათიანი, დავით მუჯირი; რატომ ზის სკამზე იმაზე უკეთესი, ვინც მოედანზეა...

კუპერს „თავისი ჰგონია“ ეს ქვეყანა და ჟურნალისტებთან საუბრით მაინცდამაინც თავს არ იწუხებს, მაგრამ ის ვალდებულია, პასუხი გასცეს კითხვებს!

ის ვალდებულია, იცოდეს, რა ბედი ეწია მის წინამორბედ კლაუს ტოპმიოლერს, ვინც მასზე გაცილებით მეტი, 10 ქულა დააგროვა შესარჩევ ციკლში, მაგრამ მაინც დაკარგა სამსახური!

ექტორ რაულს ჯერ მხოლოდ 2 ქულა აქვს აქტივში. ველოდებით დანარჩენ რვას მაინც!

თუ არადა...

# პრობლემიდან პრობლემების ზღვაში

**საქართველოს** ნაკრები კვირას გამთენიისას, 4 საათზე ჩამოფრინდა თბილისში.

ექტორ რაულ კუპერმა ფეხბურთელები შინ გაუშვა და გუშინ საღამოს შეკრებაზე უხმო.

ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ჩერნოგორიასთან 1 აპრილის მატჩში ვერ ითამაშებს ლატვიური „ვენტსპილსის“ ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი, ვინაც ტრავმის გამო კვიპროსული მატჩიც გამოტოვა.

ძალიან საეჭვოა კვიპროსთან დაშავებული ლევან მჭედლიძის თამაშიც. იტალიური „პალერმოს“ თავდამსხმელს ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და ახლა ექიმების პასუხსლოდ ელის.

გარდა ამისა, კუპერს არ ეყოლება უჩა ლობჟანიძე, ზურაბ ხიზანიშვილი და გიორგი შაშიაშვილი, რომლებმაც 28 მარტის მატჩში ყვითელი ბარათები მიიღეს და დისკვალიფიცირებულნი არიან.

მოკლედ, ექტორ რაულ კუპერი პრობლემებით და უჩასითაობით ხვდება მომავალ მეტოქეს...



# ნაკვიპროსევს ჩერნოგორიამდე
## ვისი და რისი იმედით...

**მსოფლიოს** ჩემპიონატის შესარჩევი იქნება თუ ევროპისა, უკვე რა ხანია, გათამაშების ცხრილის ზედა ნაწილისკენ არც გაგვიხედავს. დღესაც საქართველოს ნაკრები უიმედო აუტსაიდერია, ალბათ კარგა ვვარიანი დროით...

ჩვენს თანაჯგუფელ კვიპროსს ჯერჯერობით 4 ქულა აქვს. ოთხივე საქართველოსთან მოპოვებული. ვისაც ამ ორი ნაკრების ორივე მატჩი უნახავს, დაგვეთანხმება, რომ „მართლა გუნდისთვის" კვიპროსელთა დამარცხება საძნელო საქმე არ იქნებოდა, მაგრამ... სადღაა გუნდი...

სადღეისოდ საქართველოს ჰყავს უმეტესად სათამაშო პრაქტიკას მოკლებული ლეგიონერების და დავრდომილ ეროვნულ ჩემპიონატში მობურთალი ბიჭების კრებული. ისინი თითქოს კი ინდომებენ, მაგრამ ფეხბურთის სათამაშოდ და მოსაგებად ეს არ კმარა. წარმატებას კლასი, გამოცდილება, სწორი ტაქტიკა, სავალდებულო ტექნიკური არსენალი და სწრაფად თამაში მოიტანდა, მაგრამ...

ეროვნული გუნდის კარს საქართველოს საუკეთესო მეკარე იცავს, თუმც გიორგი ლომაიას მაინც მოსდის შეცდომები; დაცვის ცენტრში ურთიერთდაზღვევის პრობლემები თვალნათელია. ბოლო-ბოლო მარცხენა ფლანგზე ცაცია უკანახაზელი გენატრება კაცს... არც მარჯვნივ გვაქვს საქმეები საათივით აწყობილი; საყრდენ ნახევარმცველებს გუნდის ხერხემალის ეძახიან და თამაშისას ყველაზე მეტი დატვირთვაც მათზე მოდის. 90 წუთის მანძილზე დასამახსოვრებელი ერთხელ მაინც ხომ უნდა გამოგვიდეს ან წინ, ან უკან?! ჩვენს კარში გასული მეორე გოლიც ხომ საყრდენების უყურადღებობამაც მოიტანა...

კობიაშვილი წინ, კობიაშვილი უკან, კობიაშვილი სტანდარტულებზე... ასეთი დატვირთვა მის ეფექტურობას ამცირებს; ბექა გოცირიძე სადაც უნდა იყოს, მუდამ თავგანწირვით იბრძვის, თავდაუზოგავია, მაგრამ თამაშის შუა ნაწილიდან მარჯვენა ფრთაზე უჩა ლობჟანიძის დახმარება უჭირს, ბოლოსკენ ძალაც აკლდება და შეტევაში სიმწვავეს კარგავს; იგივე შეგვიძლია ვთქვათ ალექსანდრე იაშვილზეც...

რად უნდა იმას მტკიცება, რომ ლევან მჭედლიძე ბრწყინვალე მასალაა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ამ უნიჭიერეს ბიჭს ტრავმიანობა დასჩემდა. მერამდენე სანაკრებო მატჩია, პირველი ტაიმიც ვერ ჩაუმთავრებია; დავით სირაძე, ვინაც ტრავმირებული მჭედლიძე შეცვალა, დღემდე უკლუბოდაა. ესეც ჩვენი ფეხბურთის მორიგი მსუყე პრობლემა...

ერთ რამეზე შევთანხმდეთ — ჰექტორ რაულ კუპერი კომპეტენტური მწვრთნელია, მუყაითი, გამრჯე პიროვნება, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ მისი მუშაობა შედეგს ვერ მოიტანს. იმისიც მჯერა, რომ კუპერი ცდას არ დააკლებს, მაგრამ ფეხბურთში უმნიშვნელო რგოლი არ არსებობს და ჩვენი საფეხბურთო მეურნეობაც ხომ ისეა მოშლილი, რომ უწყვეტობა გამორიცხულია...

**იცნობს კი კუპერი ყველა საინტერესო ქართველი ფეხბურთელის შესაძლებლობებს? არის კი იმის ფუფუნება, რომ ერთი შეცდომისთვის (ასე გვეუბნებიან) ეროვნული ნაკრების კარი მივუხუროთ ნაცად მოთამაშეებს? არის კუპერის განკარგულებაში ყველა უძლიერესი კანდიდატი? რატომ ვაშენებთ სახურავიდან, როცა საძირკველი არ არსებობს?**

კითხვები უამრავია და ამაზე სხვა დროსაც ვისაუბრებთ, ერთი კი ფაქტია — როგორც ქვეყანაში, ასევე ფეხბურთშიც, სიმართლის, სწორი მიმართულებით სვლის და კვალიფიციურობის დეფიციტია.

ახლა კი ჩერნოგორიის ნაკრები ჩამოდის. რა უნდა ვთქვათ, რისი ან ვისი უნდა გვეიმედებოდეს?! ჩერნოგორიას კვიპროსზე მეტი შემსრულებელი მოეძებნება, ჩვენ კი შაბათს იმდენი ყვითელი ბარათი მივიღეთ, რომ დაცვა, ფაქტობრივად, დაშლილია. უკანა ხაზიდან ალექსანდრე კვახაძელა დარჩა, დანარჩენები — უჩა ლობჟანიძე, ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი შაშიაშვილი — თბილისში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებენ. ალბათ მჭედლიძეც არ იქნება და კუპერს ერთი გამოსავალიღა რჩება — ისევ ეროვნული ჩემპიონატიდან შეიმატოს „მონდომებული" ბიჭები...

ნათქვამია, იმედი ბოლოს კვდებაო, მაგრამ ან ეს „იმედი" რა არის, ან ეს „ბოლო" როდისაა, უკვე ვეღარ გავიგეთ...

**დათო დანელია**

# ჩვენი მეტოქეები

# ბულგარეთმა ირლანდიას უკუღმა გაუთანაბრა

**ჩერნოგორია 0:2 იტალია**

**0:1 პირლო (113), 0:2 პაცინი (73)**
**ჩერნოგორია: პოლეკშიჩი, ბასა, პავიჩევიჩი, ბატაკი, ჟუკჩევიჩი (ცვეროტიჩი 89), იოვეტიჩი, დიალოვიჩი (ბეჩირაი 71), ბოშკოვიჩი, ბოჟოვიჩი, პეკოვიჩი (ვუიოვიჩი 79), დრინჩიჩი**
**მწვრთნელი: ზორან ფილიპოვიჩი**
**იტალია: ბუფონი, ძამბროტა, გროსო, კიელინი, კანავარო, დე როსი, კვალიარელა, პალომბო, იაკვინტა (პაცინი 59), პირლო (ბრიგი 81), დი ნატალე (ს. პეპე 9)**
**მწვრთნელი: მარჩელო ლიპი**
**გაფრთხილება: პალომბო, ბატაკი, კანავარო, პეკოვიჩი, პავიჩევიჩი**
**მსაჯი: მ. ატკინსონი (ინგლისი)**
**11 000 მაყურებელი**



იტალიას ჩერნოგორიასთან დიდად არ გასჭირვებია

**ამ** ჯგუფს საქართველოს ნაკრებისთვის აზრი აღარ აქვს, თორემ ყველა დანარჩენ გუნდს გულის სიღრმეში სამხრეთ აფრიკა ამოუჭრია.

მართალია, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსი სადღეისოდ იტალია-ბულგარეთს გაცილებით მეტი აქვთ, თუმცა თეორიულად არც ბულგარეთ-კვიპროს-ჩერნოგორია არიან ბრძოლას ჩამოშორებულნი.

იტალიამ პრობლემების გარეშე მოახერხა პოდგორიცედან სამი ქულის წაღება.

უკვე მე-11 წუთზევე შეძლეს სტუმრებმა დაწინაურება და ეს რადოსლავ ბატაკის დამსახურება გამოდგა — ჩერნოგორიელ მცველს ბურთი ხელზე მოხვდა და პენალტი ანდრეა პირლომ გამოიყენა.

„სკაუდრა ატურასაც" მეტი რა უნდოდა, სწრაფი გოლი გაიტანა და მერე ჩვეულად გადაკეტა საკუთარი საჯარიმოსკენ მიმავალი გზები.

73-ე წუთზე იტალიელებმა დამამშვიდებელიც გაიტანეს და თავი ქუდში დაიგულეს. ამჯერად თავი შეცვლაზე შესულმა ნიკოლა პაცინიმ გამოიჩინა...

**ირლანდია 1:1 ბულგარეთი**

**1:0 დანი (1), 1:1 კილბეინი (74ს.კ.)**
**ირლანდია: გივენი, მაკშეინი, კილბეინი, ოში, დანი, ველანი, მაკგიდი (კოგი 90), ენდრიუსი, დოილი, კინი, ჰანტი**
**მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი**
**ბულგარეთი: ივანკოვი, სტოიანოვი, ტომაშიჩი, ანგელოვი, ს. პეტროვი, პოპოვი (დიმიტროვი 46), მანოლევი, გეორგიევი (მაკრიევი 66), მილანოვი (კიშიშევი 24), ტელკისკი, რანგელოვი**
**მწვრთნელი: სტანიმირ სტოილოვი**
**გაფრთხილება: მილანოვი, მანოლევი, კიშიშევი**
**მსაჯი: ი. ბებეკი (ხორვატია)**
**30 000 მაყურებელი**

**აბსოლუტურად** განსხვავებული გამოდგა ჩვენი ჯგუფის მეორე შეხვედრა.

ირლანდიას ძალიანაც სურდა შინ ქულები არ დაეკარგა და მომდევნო ტურში იტალიასთან თავაწეული ჩასულიყო, მაგრამ...

„სამყურები" პირველივე წუთზე დაწინაურდნენ და ამაზე უკეთეს დასაწყისს ალბათ ვერც ინატრებდნენ. რიჩარდ დანმა თავურით იხეირა და 1:0.

სათქმელია, რომ ბულგარელებს სულაც არ ჩამოუყრიათ ყურები და რამდენიმე ხიფათიც შექმნეს შეი გივენის კართან, მაგრამ პირველ ტაიმში გოლს ვერ ეღირსნენ.

მეორე ტაიმში ვითარება შეიცვალა — ირლანდიამ უფრო მწვავედ შეუტია და ის იყო, თითქოს მეორე გოლი უნდა გაეტანა, რომ... საკუთარი ფეხბურთელისგან საკუთარ კარში მიიღო...

მცველ კევინ კილბეინს უწყინარ სიტუაციაში აეჭრა ბურთი და 1:1.

ეს იყო სტანიმირ სტოილოვის პირველი ქულა ბულგარეთის ნაკრებში და საინტერესოა, რომ სლავებს ამის გარდა კიდევ პლამენ მარკოვის დატოვებული სამი ფრე აქვთ მარაგში...

**ბაჩა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 13 |
| ირლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 6:3 | 11 |
| ბულგარეთი | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 4 |
| კვიპროსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ჩერნოგორია | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| საქართველო | 6 | 0 | 2 | 4 | 4:9 | 2 |

**1 აპრილი**

**ბულგარეთი — კვიპროსი**
**იტალია — ირლანდია**
**საქართველო — ჩერნოგორია**

# სათბილისო ჩერნოგორია

**1 აპრილს** საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩერნოგორიას უმასპინძლებს.

მატჩი ეროვნულ სტადიონზე გაიმართება და 21 საათზე დაიწყება.

შეხვედრას ჩრდილოირლანდიელი მსაჯები მოემსახურებიან: არბიტრი — დევიდ მალკოლმი; ასისტენტები — პოლ მანი და ტომას ფეირფილდი; მეოთხე მსაჯი — ალან ბლექი.

დამკვირვებელი იქნება ესტონელი უნო ტუტკი, ხოლო დელეგატი — ბელგიელი ალექსის პონე.

ახლა რაც შეეხება ჩვენს მეტოქეს: ზორან ფილიპოვიჩმა უკვე დაასახელა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც თბილისური მატჩისთვის მოემზადებიან...

***მეკარეები:*** *ვუკაშინ პოლეკშიჩი (დებრეცენი, უნგრეთი), მლადენ ბოჟოვიჩი (პარტიზანი, სერბეთი);*

***მცველები:*** *სავო პავიჩევიჩი (კოტბუსი, გერმანია), მიოდრაგ ჯუდოვიჩი (ნალჩიკი, რუსეთი), იოვან ტანასიევიჩი (დინამო, რუსეთი), რადოსლავ ბატაკი (ანკარა, თურქეთი), დეიან ოგნიენოვიჩი (ლკს, პოლონეთი), მარკო ბასა (ლოკომოტივი, რუსეთი), ელსად ცვეროტიჩი (ლუცერნი, შვეიცარია), ლუკა პეიოვიჩი (მოგრენი);*

***ნახევარმცველები:*** *ვლადიმირ ბოჟოვიჩი (რაპიდი, რუმინეთი), მიტარ ნოვაკოვიჩი (ამკარი, რუსეთი), მილორად პეკოვიჩი (მაინცი, გერმანია), ნიკოლა დრინჩიჩი (ამკარი, რუსეთი), ბრანკო ბოშკოვიჩი (რაპიდი, ავსტრია), ივან დელიჩი (ბუდუჩნოსტი), სიმონ ვუკჩევიჩი (სპორტინგი, პორტუგალია);*

***თავდამსხმელები:*** *სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა, იტალია), მირკო ვუჩინიჩი (რომა, იტალია), ნიკოლა ვუიოვიჩი (მოგრენი), რადომირ დიალოვიჩი (რაპიდი, რუმინეთი), ფატოს ბეჩირაი (ბუდუჩნოსტი).*

**ბაჩა შალამბერიძე**

# ბილეთები გაყიდვაშია

**ჩერნოგორიასთან** მოახლოებული მატჩის სამზადისშია საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

შეხვედრა ეროვნულ სტადიონზე გაიმართება და უკვე დაიწყო ბილეთების გაყიდვა. 10 სალარო 11-დან 18 საათამდე იმუშავებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, გაყიდვაშია 24 088 5-ლარიანი, 11 484 10-ლარიანი, 9 935 7-ლარიანი და 2 961 20-ლარიანი ბილეთი.

ბილეთების ფერი ტრიბუნების ფერების მიხედვითაა შერჩეული: ლურჯი ბილეთები — დასავლეთი, წითელი — სამხრეთი და ასე შემდეგ.

სალაროებზე მითითებულია ფასი, იარუსი და სექტორი, რომლის ბილეთებიც იყიდება.

ქომაგთა გამოხმაურებანი: geo_geo_fan@hotmail.com და www.forum.ge

# კუპერი ვირს ემსგავსება: მუშაა და ჯიუტი

## რა იქნება 1 აპრილს — ცარიელი ტრიბუნები თუ გამაყრუებელი სტვენა?

**DATOKANDELAKI:** არ გვყავს საერთაშორისო დონის ფეხბურთელები, მეკარე, მცველები, ნახევარმცველებ/, თავდამსხმელი... 2-3 კაცი, რომელიც ევროპის დონეზე თამაშობს, არ კმარა. გვყავს უიღბლო მწვრთნელი, რომელიც ძალიან მეცოდება. აჯობებს, ამ კუპერს ბოდიში მოვუხადოთ და გავუშვათ სახლში. ის ფული, რაც ტოპ-მწვრთნელებში იხარჯება, აჯობებს, ბავშვთა ფეხბურთში ჩავდოთ. ამ თანხით დაახლოებით ათ კვალიფიციურ ბავშვთა მწვრთნელს ჩამოვიყვანთ. ამ გზით შანსი მაინც გვექნება, რომ ქართველები საერთაშორისო დონის ფეხბურთს ითამაშებენ. არ ღირს კუპერის დადანაშაულება. ახლა მე რომ „ასტონ მარტინზე" დამსვა, ჩემს მოწინააღმდეგე შუმახერი კი „ზაპოროჟეც"-„ჟიგულის" ნაჯვარზე, მიხაელი რამდენიც არ უნდა გაიჭაჭოს, მაინც გავასწრებ.

კუპერი თავს კი უშველის, ჩვენ რა ვქნათ, ის ვიფიქროთ. უფსკრულისკენ მიჰქრის ქართული ფეხბურთი. თვითონ შეაჯამეთ: ყველაზე ცუდი ნაკრები, რაც კი ოდესმე გვყოლია, ფეხბურთელების არარსებობა, ყველაზე უჯიგრო, არაორგანიზებული ფეხბურთი, ყველაზე უიღბლო მწვრთნელი, 2 ქულით ბოლო ადგილი ჯგუფში, რეიტინგში საშინელი მდგომარეობა, მკვდარი ეროვნული ჩემპიონატი...

ამ ყველაფრის მერე რაღაა გასაკვირი? ვილას უნდა მოვუგოთ?

**Raven:** ესეც კვიპროსი. ჰა, ჰა, ჰა. ნუ უყურებთ ქართულ ფეხბურთს და იცხოვრებთ მშვიდად.

**OTO-777:** ყოველ წელს ერთი და იგივეებზე ლაპარაკობენ. მშენებლობაა, მშენებლობაა. გახსენით მაშინ სამშენებლო კომპანია!

**NAPSTER:** გილოცავთ, მეგობრებო. მომავალი ევროშესარჩევის წილისყრაზე, ფარერებთან, ანდორასთან, ლუქსემბურგთან და სან მარინოსთან ერთად ვიქნებით კალათაში. ნამდვილად აღსანიშნავი ფაქტია.

პირველად მოხდება ჩემს ცხოვრებაში, რომ ნაკრებს თბილისში თამაში აქვს და სტადიონზე არ წავალ.

**Temozaurus:** კუპერის ნაკრებმა 8 მატჩი ითამაშა. 2 ამხანაგური და 6 შესარჩევი. 1 მოიგო, 2 ფრე გაათამაშა და 5 წააგო. აქამდე ვერ გაიგო, რომ გვყავს ლობჟანიძე-კვახაძე-რაზმაძე-ხმალაძე-გოცირიძეზე უკეთესი ფეხბურთელები. რისი თქმა მინდა: ვთქვათ, გყავს „რენო 19" და პირველი „მეგანი". რომლით ივლი? უარესს რატომ აყენებს, ვერ გამიგია. რომ უმართლებდეს და შედეგი იყოს — კი. ცალკეული ფეხბურთელების წინსვლას რომ ხედავდეს და მომავლის გუნდზე იყოს ორიენტირებული — კი. რომელი ერთია?!

რა არგუმენტებს ეყრდნობა კუპერი. ვთქვათ, გოგუა, გვაზავა, ამისულაშვილი და მუჯირი არ ჯდებიან სქემაში. გადავყვეთ ახლა ამ უშედეგო სქემას? არც თამაში ვარგა, არც შედეგი არის. მოკლედ, მიუხედავად კუპერისადმი დიდი პატივისცემისა, მიმაჩნია, რომ ან ძირეულად უნდა შეცვალოს სანაკრებო ფილოსოფია (და აქედან გამომდინარე კონტინგენტიც), ანაც გასაშვებია.

**სანდროFCB:** ძირითადში ვინც თამაშობდა, მაქსიმუმ კობი, გოცირიძე და კვახაძეა ღირსი, მიიწვიონ... რატომ გამოიყვანა უპრაქტიკო სირაძე, როცა მონდომებული და კარგ ფორმაში მყოფი გელაშვილი ჰყავდა?

**Unknown:** ჩავწერე და რა ვუყო ამ ნატანჯ თამაშს ახლა... იდოს მულტიმედიაში ეს სამარცხვინო ნაფაფხურალი... აბა, ამას თამაშს ვერ დავარქმევ.

**Gerard:** რა დავაშავეთ... ლობჟანიძეს რა უნდა ნაკრებში? გოცირიძეს რა უნდა? დაგვანებონ თავი, წავიდნენ და დაგვასვენონ. არც ამათი ტოპ-მწვრთნელი გვინდა და არც არაფერი. უნამუსო ვიყო, თუ ხურციძე და ძოძუაშვილი არ მენატრებოდეს. რევოლუცია გვინდა სასწრაფოდ და ფედერაციის შეცვლა, თორემ ესენი წამხდენები არ არიან...

**blaugranator:** ახლა რომ ნეხვშია ნაკრები, ეგრე არასდროს ყოფილა... თან უფრო და უფრო უკან მიდის ყველაფერი.

**sony2005:** სამარცხვინო ნაკრები გვყავს და ამ მწვრთნელებს როგორ ყველას ჩვენთან ელებათ ბოლო. რა უნდა ნაკრებში რაზმაძეს, როცა გყავს გოგუა, რა უნდა ნაკრებში კვახაძეს, როცა გყავს ასათიანი. რა უნდა ნაკრებში ოდიკაძეს საერთოდ! რატომ არ აკეთებ შეცვლებს, როცა შენი გუნდის ნახევარი უთავბოლოდ დადის! სკამზე ზის მერებაშვილი, რომელსაც რაღაც მაინც შეუძლია... აღარ გავაგრძელებ...

**kenji:** კუპერს რას ერჩით, ფეხბურთელები თუ არ გვივარგა, მისი რა ბრალია. გაყარონ ეს ნაკრების ძველი ნარჩენები და ათამაშონ გოცირიძე, ყენია და მათი თაობის ნიჭიერი მოთამაშეები.

**otofon3:** ბანძები ვართ და ვერც ვერავინ გვიშველის. თუმცა ეს არ ნიშნავს, თითქოს კუპერი არაფერ შუაშია. შეუძლია, უკეთესად შეარჩიოს ფეხბურთელები. შეცვლების უკეთესად გაკეთებაც შეიძლება... საქმეს არც ეს უშველის, იმიტომ, რომ უნიჭოები ვართ. ზოგადად, დაბალი დონის ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ აშკარაა, იმ მინიმალურსაც ვერ ვაჩვენებთ, რაც შეგვიძლია.

დავიღალე ამ უჯიგრობების ბლატრობით. საცოდავ გუნდთან წავაგეთ.

ისე კი, ცუდად ხომ არ გენიშნათ ჩვენების ყვითლები? ჩერნოგორიასთან თამაშის მერე კუპერს ალბათ გაუშვებენ. ჰოდა, 1 აპრილს ნაკრებმა ისე უნდა ჩაისვაროს, რომ ხალხმა მწვრთნელს აგინოს და მავანმაც თქვას, ხალხის ნებას წინ ვერ დავუდგებითო. წინასწარ დაწერილ სცენარს ხომ არ ჰგავს?

**Georgian-Legend:** კითხვა მაქვს იმათთან, ვინც კუპერის შეცვლას ითხოვს: უკეთესი მწვრთნელი რამდენია დღეს მსოფლიოში? და იმ უკეთესი მწვრთნელებიდან რამდენი დათანხმდება საქართველოში ჩამოსვლას? ან რა თანხად?

და კიდევ ერთი მთავარი კითხვა: ფაბიო კაპელოც რომ ჩამოვიყვანოთ, რამე ეშველება ნაკრებს? პრობლემა მწვრთნელში არ არის!

**vako-barca:** ერთი მითხარით, ჩვენ რა დავაშავეთ, გულშემატკივრებმა, ასე რომ გვაწამებენ. არ უნდათ და წავიდნენ. გეგონება, აფრიკელი თამაშობს საქართველოს სახელით. თავისი ქვეყანაა ბოლო-ბოლო და ერთი სული აქვთ, 90 წუთი როდის გავა, რომ წავიდნენ მერე ინგლისში, გერმანიაში და ასე შემდეგ.

გასაყრელები არიან ყველანი და ახლიდან უნდა აიყვანონ ფეხბურთელები. სხვა გამოსავალი არ არის.

ვინმე მიდის ოთხშაბათს თამაშზე? მე ვაპირებდი და გადავიფიქრე...

**tikoroma:** წავაგეთ იმიტომ, რომ არ გვყავს არც ფეხბურთელები და დავრწმუნდი... არც მწვრთნელი...

არა, მწვრთნელი კი მაგარია, მაგრამ მისთვის არაადეკვატურ გარემოში მოხვდა, არაადეკვატურ ფეხბურთს ათამაშებს და ჯერაც არ იცის ჩვენი ფეხბურთელების ძლიერ-სუსტი მხარეები...

ფეხბურთელს ვერ დავარქმევ, რომელიც 3 მეტრიდან გაგორებულ ბურთს ვერ იმორჩილებს ისე, რომ წინ არ გაუვარდეს... ბურთის მიღება არ იცის ფეხბურთელთა უმეტესობამ...

**geor-gien:** გასკდა გული ამ მარაზმის და საშინელების ყურებით, მაგრამ რომ ვერც ვეშვებით... როდემდე ასეთი უმსგავსობა, როდემდე ასეთ უსახურ ნაკრებებთან მარცხი?

უკვე ყველას შიშით და რიდით როგორ უნდა ვუყუროთ.

ამ კუპერმა კი შეცვლები არ იცის, რა როდის გააკეთოს. ვერ ხედავს, შე დალოცვილო, სირბილის მაგივრად დალოლავენ და შემოუშვი რა ვინმე. დავიჯერო, კვირკველია და მერებაშვილი იმაზე უარესად ითამაშებენ, ვიდრე რომელიმე ითამაშა?

გვეყო ამდენი მარაზმი და იდიოტიზმი. ჩვენც ხალხი ვართ და ჩვენც გვაქვს ნერვები.

**pucukia:** ნაკრების თამაშებზე დასწრების ბოიკოტის იდეა როგორ მოგწონთ? ან სტადიონზე საპროტესტო ტრანსპარანტები?

**Gunner-Nodo:** რომელი თამაშის მოგებას ვიმსახურებდით და ვერ მოვიგეთ? რატომ ითხოვთ მოგებას? სანამ ფულით მოწყობა იქნება კლუბებში, მანამ შენც არ მომიკვდე...

**QOMAGI:** კუპერი თანდათან ვირს ემსგავსება — მუშაა და ჯიუტი. ალბათ მალე გაუშვებენ და შეუძლია, თავის თავსაც დააბრალოს...

დაწუნებულ-დაბრაკული მეტ-ნაკლებად ნორმალური ფეხბურთელი და მათ ნაცვლად ამორჩეებული, გაურკვეველი შესაძლებლობის 4-5 კაცი, რომელთაც გამუდმებით ენდობა...

ფეხბურთელებიც დაბალ დონესთან ერთად, უხასიათოები და უდისციპლინოები რომ გვყავს, ეგეც ცხადია. მარტო ინტრიგები და ბუტიაობა-მარიაჟობები ეხერხებათ... თუმცა რაც გვყავს, იმათგანაც ვერ ირჩევს საუკეთესოებს.

პ.ს. გამოსავალი იქნებოდა, კუპერი დატოვონ და მან სელექციას გადახედოს, მაგრამ... მაგრამ ალბათ არ მოხდება ასე!

**zvintik:** დავიწყოთ ბავშვთა ფეხბურთიდან და შევეგუოთ, რომ 5-7 წელი არაფერს არ უნდა ველოდოთ. ამას ვერც კუპერი უშველის და ვერც ჰიდინკი. თუ რამე იქნა — ეს იქნება ერთეული წარმატება. ჯობია თანხების მობილიზება და ყველაფრის საძირკვლიდან შენება.

**sammolino:** წავიდეს კუპერი და მწყემსი მოუყვანონ ამათ. არც ამდენი ფული აღარ დაიხარჯება.

ისე, ვინმემ ძია კუპერს უთხრას, რომ სამი კაცის შეცვლა შეუძლია.

**Neo777:** გავგიჟდები რა. სიმართლე თქვით, აი, გამოვიდეს ერთი მაინც და თქვას, რომ მოგებას ელოდა. კარგით რა... თამაშს დიდხელფასიანი მწვრთნელი კი არ იგებს, თამაშს იგებს კარგი თამაში. ვითომ რამე ახალი მეთქვას... არც ველოდი მოგებას და არც რეაქცია მქონია.

მე ორი რამე გამიკვირდა ამ თამაშში: 1. პენალტი რომ დაინიშნა ჩვენი მოწინააღმდეგის კარში. 2. რომ არ ავაცილეთ.

ამ ნაკრებს ასეთი მიდგომით გამარჯვება არ ეღირსება.

**bazveli-lomi:** გამაგებინეთ, პროგრესი რაში იგრძნობა?

ალბათ ადრე 0:3 ვაგებდით ძალიან ხშირად, ახლა კი 1:2 ვაგებთ, მაგრამ უკვე კვიპროსთან...

გულს ნუ გაიტეხთ... კარგა ხანს ასე იქნება... მწვრთნელების კონსილიუმიც რომ მოიწვიონ, ფეხბურთს რეანიმაციიდან ვერ გამოიყვანენ...

**euroslutfucker:** ფეხბურთის ნაკრები საქართველოს ყველაზე დიდი სირცხვილია. თავისმომჭრელები არიან... ასე ერთიანად რამ დაუკარგათ თავმოყვარეობა, ვაჟკაცობა, მოგების ჟინი, ქვეყნის სიყვარული, საკუთარი ხალხის ელემენტარული პატივისცემა...

**BIG-EGO:** ხომ ვამბობდი, ტოპმიოლერის გაგდება იდიოტიზმია-მეთქი? ხომ ვამბობდი, ტოპმიოლერში კი არა, ფეხბურთელებშია პრობლემა-მეთქი?

ჰო და უყურეთ ახლა ამ საშუალოზე ბევრად დაბალი დონის ფეხბურთელების ხელში კუპერის ტანჯვას. სხვა მანდ არავინ მეცოდება, სიმართლე გითხრათ...

**basti87:** ჯერ კიდევ როდის ვამბობდი, ვინც არ უნდა მოიყვანონ, აგინებენ ბოლოს-თქო. მასას საქართველო ბრაზილია ჰგონია. დაეშვით, ხალხო, ღრუბლებიდან.

ვაღიაროთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ უმდაბლესი კლასის ფეხბურთელები გვყავს.

**Darkside:** სამწუხაროდ, დღესდღეობით საქართველოს ნაკრები ერთ-ერთი უსუსტესია ევროპაში. დასუსტები ვართ აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდოვის დონეზე. არ გაგვაჩნია წინსვლის არანაირი პოტენციალი. არც ფეხბურთელები გვივარგა და არც მწვრთნელები. ყველა ფულის კეთებაზეა გადასული. ჰოდა, ვიჯდეთ და ვიოცნებოთ, რომ ჯგუფში ბოლო ადგილზე არ გავიდეთ. არადა, უეჭველი ბოლოზე გავალთ...

**aljazeera:** ჩვენზე უბედური ნაკრები ვინმეს ჰყავს საერთოდ? 111-ეზე რატომ ვართ და არა 199-ეზე?

საერთოდ, არც ახალკაცი და არც კუპერი დამნაშავეები არ არიან. დამნაშავეები ჩვენ ვართ.

**chombe:** მკვდარი უნდა დაიმარხოს, თორემ აყროლებს გარშემო ყველაფერს...

ამ ადამიანებმა მოგვჭრეს თავი ყველგან და ყველა დონეზე. მე შედეგები ისე არ მაღელვებს, რამდენადაც მათი უჯიგრობა და პატრიოტიზმის სრული არქონა.

მორჩა, ამ ფუტბალერინებმა ამოწურეს ნდობის ლიმიტი.

მომავალი მატჩი თბილისში ცარიელი ტრიბუნებით უნდა ჩატარდეს. არ არიან ეგენი ქომაგობის ღირსნი!

ვერ ვისწავლე ჭკუა, დადე რა ფული. სანამ საქართველოს ნაკრები არსებობს, ჭკვიან კაცს პურის ფული არ მოაკლდება...

**HANS-06:** ფეხბურთი გახდა ბევრად უფრო სწრაფი და ინტელექტუალური და ზუსტად ამიტომ, ჩვენ პრაქტიკულად არ გვაქვს შანსი.

**geo-beo:** ჩვენ კი არ წავაგეთ, არამედ მოვიგეთ! დავანახეთ მთელ მსოფლიოს კვიპროსის ნამდვილი სახე. ეს უკვე დიდი გამარჯვებაა!

**kobakaxeti:** სენიორ კუპერ, თქვენ არ ხართ ის მწყემსი, ჩვენს გზაბნეულ ფარას სწორ გზაზე რომ დააყენებს და მგლებისგან დაიცავს. მგლები კი არა, ტურა-მელა გვჯიჯგნის უკვე. ამიტომ სანამ გაილანძღებით და თქვენი წინამორბედივით ჯოხი თქვენზე გადატყდება, აიკარით გუდა-ნაბადი და გაიქეცით საქართველოდან. ცოტა დაისვენეთ, მერე ნახეთ რომელიმე წესიერი გუნდი და იყავით თქვენთვის ჯიგრულად. რატომ იტკივებთ თავს და საიდან მოხვდით ამ გაუგებრობაში?

**baxabaxa:** ჩვენი ადგილი ამ ჯგუფში, მგონი, ყველამ ვიცით: ბოლოააააააააააააააააააააააა!

**GVS:** არ იქნება ჩვენი საშველი, არა... რა უნდა მოსთხოვო იმ ნაკრებს, რომლის მოთამაშეების უმეტესობამ პასის გაკეთება არ იცის...

**actionscript:** როდესმე მოვიგებთ?

**giog8t:** ამაზე ქვევით არაფერი აღარ არის. ახლა ფსკერზე ვართ. არანაირი ემოცია, არანაირი ფეხბურთი, არანაირი კომბინაცია, ფეხბურთელების დეფიციტი...

ვაღიაროთ, რომ ფეხბურთელები არ გვყავს. კიდევ კარგი, რომ კვიპროსი იყო, თორემ 0:5 გარანტირებული გვქონდა.

**achiflo:** სტადიონზე არ წავიდეთ 1 აპრილს. ყველას მოუწოდეთ.

**Va-:** სტადიონზე არ წავიდეთ!!! სამაგიეროდ გადავუხადოთ. არ არიან ღირსები, რომ სტადიონზე მივიდეთ.

**vip22:** არ შეიძლება, ეროვნული სტადიონი 50 წლით მორაგბეებს გადავცეთ? სირცხვილია მანდ ასეთი საქართველოს ნაკრების თამაში!

**footballersgirl:** საქართველო — ჩერნოგორია მაყურებლების გარეშე!!! ყველას ძალიან გთხოვთ, არ მიხვიდეთ 1 აპრილს სტადიონზე. ცარიელი ტრიბუნების წინ რომ მოუწევთ თამაში, იქნებ მაშინ მაინც მიხვდნენ, რომ უნამუსოდ იქცევიან!

**henry13:** წავიდეთ და მთელი თამაში ვუსტვინოთ!

## ამხანაგური მატჩი

# პირველი გამოცდა ცხადია

## საქართველომ ახალი გზა კუნძულიდან დაიწყო



კახა ცხადაძე

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ახალმა თავკაცმა კახა ცხადაძემ პირველი გამოცდა ჩააბარა — მოყოჩაღებულ კვიპროსის 21-წლამდელთა გუნდთან სტუმრად 1:1 მთლად ურიგო შედეგი არ უნდა იყოს.

ეს ამხანაგური მატჩი ლარნაკას „ჯი ვი ემ სტადიუმზე" გაიმართა და საკმაოდ საინტერესოც გამოდგა.

ჩვენს ახალგაზრდულ გუნდში მწვრთნელის გარდა კიდევ ექვს ფეხბურთელს ჰქონდა დებიუტი — ლაშა თოთაძეს, ზურაბ ცხადაიას, ირაკლი ძარიას, ირაკლი ხუციძეს, ვლადიმერ გაბედავას და ვახტანგ კვარაცხელიას. გარდა ამისა, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პირველად ითამაშა გიორგი განუგრავამ, ვინც ჩეხური „ბოლესლავიდან" წამოსვლის შემდეგ ჯერაც უგუნდოდაა...

მოკლედ, კახა ცხადაძეს ფეხის ფეხზე გადასადებად სულაც არ ჰქონდა საქმე. ბოლოს და ბოლოს, ამდენ ახალ ფეხბურთელს ხომ შეთამაშება სჭირდება...

შეხვედრა ქართველთა უპირატესობით დაიწყო და პირველივე წუთებზე ურეალურესი შანსი განიავდა — ამერელმა ბესიკ ჩიმაკაძემ ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ დაუმიზნა ბურთი კარს...

ამის შემდეგ თამაში გარდამავალი უპირატესობით გაგრძელდა და გოლი გატანა სტუმრებსაც შეეძლოთ და მასპინძლებსაც, თუმცა 100-პროცენტიანი მომენტები ვერ გამოიყენეს, ვერც ერთ გუნდზე იტყვი.

მეორე ტაიმი კი ჩვენებისთვის უიღბლოდ დაიწყო. საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთისთვის ბრძოლაში კვიპროსელი კოლოვკიდისი დაეცა და მსაჯმაც პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა. ამ ეპიზოდში კოლოვკიდისს დინამოელი გულვერდ თომაშვილი მეურვეობდა, რომელსაც არბიტრმა მეტოქის მაისურზე დაქაჩვა დასწამა და მასპინძლებმაც შანსი ხელიდან არ გაუშვეს.

თერთმეტი მეტრიდან თავი იმავ კოლოვკიდისმა გამოიჩინა...

საქართველოს ნაკრებს სხვა გზა არ დარჩენოდა, გასათანაბრებლად გაიწია და მალევე, 58-ე წუთზე საწადელსაც მიაღწია. ირაკლი ხუციძის აქტიურობისას ყველაზე უკეთ სიტუაციაში ჩიმაკაძე გაერკვა და 1:1.

დარჩენილ დროში გუნდები კიდევ ეცადნენ გატანას, თუმცა არაფერი გამოუვიდათ და საბოლოოდ, ფრე.

ასე დაიწყო მუშაობა კახა ცხადაძემ, ვისაც მალე მეორე გამოცდაც ელის — 1 აპრილს რუსთავში ბელარუსის საკმაოდ ძლიერ ნაკრებთან.

27 მარტი. 17.30 საათი

**კვიპროსი U21 — საქართველო U21 1:1**

ლარნაკა. ჯი ემ ვი სტადიუმი. 300 მაყურებელი

1:0 კოლოვკიდისი (483), 1:1 ჩიმაკაძე (58)

კვიპროსი: კისასი, პანაიოტუ, ეფტიმიუ (დრაკოსი 77), პელენტრიტისი (კასტანასი 87), ციაკლისი, კაცისი (კალისი 82), მარკოუ (ალკივიადისი 67), ქსენოფონტოსი, ზარნასი, ტოფა (სტავრუ 46), კოლოვკიდისი (სერაპონტოსი 72; კირიაკუ 88)

მწვრთნელი: ანდროს კულუმბრისი

საქართველო: რ. კვასხვაძე, თომაშვილი, თოთაძე, ხიდეშელი, სანაია, განუგრავა (ცხადაია 73), ბენაშვილი (ძარია 83), დაუშვილი, გაბედავა (ხუციძე 46), კლიმიაშვილი, ჩიმაკაძე (ვ. კვარაცხელია 67)

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

გაფრთხილება: განუგრავა, ციაკლისი

მსაჯი: ხ. ილია (კვიპროსი)

**კახა ზალამბერიძე**

# ბესიკ ჩიმაკაძე: ცხადაძის ტაქტიკა ძალიან მესიამოვნა

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები უკვე თბილისშია და ბელარუსებთან მატჩისთვის ემზადება. გუნდმა კვიპროსიდან ჩამოსვლის შემდეგ ერთი დღე დაისვენა და გუშინ სასტუმრო „მცხეთა-პალასში" დაბინავდა. კვიპროსის კარში გოლის გამტან ბესიკ ჩიმაკაძესაც შეკრებაზე მისვლამდე გავესაუბრეთ...**

— როგორ შეაფასებდი მთლიანად თამაშს?

— კარგი თამაში გამოვიდა. ორივე გუნდი მონდომებული იყო და, ვფიქრობ, ფრე მაინც ლოგიკური შედეგია. მწვრთნელების დავალება თითქმის შევასრულეთ, განსაკუთრებით, ეს მეორე ტაიმზე ითქმის...

— ანუ პირველი ტაიმით უკმაყოფილო ხარ?

— ასე ვიტყვი: მეორე ჯობდა. პირველ ტაიმში კვიპროსელთა მცირე უპირატესობა ჩანდა, მაგრამ შესვენების შემდეგ უკვე ჩვენ ავთამაშდით და მოგებაც შეგვეძლო.

— პენალტზე რას იტყვი?

— საშინელება იყო. ასეთ მოგონილ პენალტს ხშირად მართლა ვერ ნახავთ. თუმცა კარგია, რომ სიტუაციის გამოსწორება მოვახერხეთ და მატჩი გადავარჩინეთ.

— სანამ შენს გოლზე გვეტყვი, მანამდე პირველ წუთებზე გაცუდებულ მომენტზე ვთქვათ...

— გასატანი იყო, მაგრამ, საუბედუროდ, იმ ეპიზოდში ვერ ვივარგე. წვიმა იყო და ბურთის სისწრაფეს ვერ ავუღე ალღო... გოლი კი ირაკლი ხუციძის კარგი პასით გავიტანე.

— კახა ცხადაძეზე რისი თქმა შეგიძლია?

— ძალიან კარგი მწვრთნელია და იმედია, წარმატებებსაც მივაღწევთ. შეტევაზე აკეთებს აქცენტს, რაც მე ძალიან მსიამოვნებს.

— მაინც რითი განსხვავდება ნაკრების წინა მწვრთნელებისგან?

— როგორ გითხრათ... აი, წარმოიდგინეთ, კვიპროსთან სამი გამოკვეთილი თავდამსხმელით ვითამაშეთ. ასეთ დროს შეტევა ძალიან იოლია და იმედი მაქვს, ამ ტაქტიკას კიდევ უფრო დავხვეწავთ.

— მოკლედ, ახლა ბელარუსთან სათამაშოდ ემზადებით...

— სერიოზული მეტოქე გვყავს და ჩვენც მონდომებით ვემზადებით. კვიპროსთან დაშვებული შეცდომები ახლა უნდა გამოვასწოროთ და მჯერა, წარმატებით ვითამაშებთ.

— გამოდის, შესარჩევი ეტაპის დაწყებას იმედით ელოდები...

— აუცილებლად. ამ გუნდს შეუძლია, ჯგუფში კარგად გამოსვლა.

**კახა ზალამბერიძე**



# სამხრეთ ოსეთის ჩემპიონატი

### 1992-93-წლიანები

**I ჯგუფი**

გედა 3:0 XXI საუკუნე-1
მთ. გლობუსი 0:4 35-ე სკოლა
მეტალურგი 1:1 განთიადი
ბირმუხა 3:0 XXI საუკუნე-3
ნ. დინამო 6:2 სასკო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| XXI საუკუნე-1 | 12 | 9 | 1 | 2 | 45:20 | 28 |
| გედა | 12 | 8 | 3 | 1 | 30:10 | 27 |
| განთიადი | 12 | 8 | 2 | 2 | 26:13 | 26 |
| ბერმუხა | 12 | 7 | 1 | 4 | 33:19 | 22 |
| ნ.დინამო | 12 | 7 | 1 | 4 | 36:24 | 22 |
| მეტალურგი | 12 | 6 | 3 | 3 | 29:17 | 21 |
| 35-ე სკოლა | 12 | 5 | 0 | 7 | 33:43 | 15 |
| სასკო | 12 | 3 | 1 | 8 | 19:34 | 10 |
| XXI საუკუნე-3 | 12 | 1 | 0 | 11 | 15:39 | 3 |
| მთ. გლობუსი | 12 | 0. | 0 | 12 | 14:74 | 0 |

**II ჯგუფი**

თეთრი არწივი 3:0 ოლიმპიკი
იმედი 4:1 შავნაბადა
ერთობა 4:0 გეორგია
სკალდი 2:0 XXI საუკუნე-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იმედი (რ) | 10 | 8 | 1 | 1 | 34:9 | 25 |
| ერთობა | 10 | 6 | 1 | 3 | 27:15 | 19 |
| სკალდი | 11 | 6 | 1 | 4 | 21:24 | 19 |
| ნ. დინამო | 9 | 5 | 2 | 2 | 25:8 | 17 |
| თეთრი არწივი | 11 | 5 | 1 | 5 | 25:23 | 16 |
| შავნაბადა | 11 | 5 | 1 | 5 | 22:21 | 16 |
| XXI საუკუნე-2 | 10 | 4 | 1 | 5 | 12:17 | 13 |
| გეორგია | 11 | 1 | 3 | 7 | 8:24 | 6 |
| ოლიმპიკი | 11 | 0 | 3 | 8 | 11:44 | 3 |

### 1994-წლიანები

იმედი (რ) 2:1 35-ე სკოლა-1
ლომები 4:1 35-ე სკოლა-2
გედა 3:0 ნ. დინამო-1
შევარდენი 3:0 აიაქსი
XXI საუკუნე 3:0 ნ. დინამო-2
იმედი (თბ) 0:3 ავაზა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გედა | 13 | 11 | 1 | 1 | 65:11 | 34 |
| იმედი (რ) | 12 | 10 | 0 | 2 | 35:9 | 30 |
| განთიადი | 12 | 10 | 0 | 2 | 30:15 | 30 |
| ნ. დინამო-1 | 13 | 8 | 1 | 4 | 33:23 | 25 |
| ლომები | 13 | 7 | 3 | 3 | 33:21 | 24 |
| ავაზა | 13 | 7 | 1 | 5 | 31:21 | 22 |
| XXI საუკუნე | 13 | 5 | 4 | 4 | 23:20 | 19 |
| შევარდენი (რ) | 13 | 5 | 3 | 5 | 24:19 | 18 |
| ნ. დინამო-2 | 12 | 4 | 4 | 4 | 24:28 | 16 |
| 35-ე სკოლა-1 | 13 | 4 | 0 | 9 | 20:42 | 12 |
| იმედი (თბ) | 13 | 1 | 1 | 11 | 14:51 | 4 |
| 35-ე სკოლა-2 | 13 | 1 | 0 | 12 | 20:56 | 3 |
| აიაქსი | 13 | 1 | 0 | 12 | 7:45 | 3 |

### 1995-წლიანები

იბერია-ამერი 3:2 35-ე სკოლა
იმედი 1:4 35-ე სკოლა-1
მეტეხი-4 2:1 35-ე სკოლა-2
ოლიმპიკი 1:0 მეტეხი-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო-1 | 12 | 11 | 1 | 0 | 59:13 | 34 |
| ნ. დინამო-3 | 12 | 11 | 0 | 1 | 58:5 | 33 |
| ოლიმპიკი | 13 | 9 | 0 | 4 | 36:14 | 27 |
| მეტეხი-4 | 13 | 8 | 2 | 3 | 43:29 | 26 |
| იბერია-ამერი | 12 | 7 | 0 | 5 | 40:29 | 21 |
| ნ. დინამო-2 | 12 | 7 | 0 | 5 | 25:25 | 21 |
| 35-ე სკოლა | 13 | 4 | 0 | 9 | 17:54 | 12 |
| მეტეხი-3 | 13 | 3 | 1 | 9 | 24:36 | 10 |
| იმედი | 13 | 3 | 1 | 9 | 20:47 | 10 |
| 35-ე სკოლა-2 | 12 | 2 | 0 | 10 | 12:42 | 6 |
| 35-ე სკოლა-1 | 13 | 1 | 1 | 11 | 18:58 | 4 |

სარბიელელები 60 წლის იუბილეს ვულოცავთ ლეგენდარულ ფეხბურთელს მანუჩარ მაჩაიძეს. ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ვუსურვებთ!






# ახალკაცს ახალკაცისა!

## უეფას აღმასკომი არ გამოვიდა

**წარუმატებლად** დასრულდა ნოდარ ახალკაცის საარჩევნო ციებ-ცხელება. იყო შანსი, პირველად ჩვენს ისტორიაში, უეფას აღმასკომის ქართველი წევრი გვყოლოდა, თუმცა კოპენჰაგენში გამართულ კენჭისყრაში ახალკაცს არ გაუმართლა და რჩეულ ცხრა კანდიდატს ვეღარ აჯობა.

საბოლოოდ, უეფას აღმასკომი ასე დაკომპლექტდა: მარიოს ლეფკარიტისი (კვიპროსი), თეო ცვანციგერი (გერმანია), ჯანკარლო აბეტე (იტალია), ჯეფრი ტომპსონი (ინგლისი), ალან ჰანსენი (დანია), ფრანტიშეკ ლავრინეცი (სლოვაკეთი), მიხაელ ვან პრააგი (ჰოლანდია), აბრაამ ლუზონი (ისრაელი), ლიუტარიუს ვარანავიჩიუსი (ლიტვა).

ერთი შენიშვნაც: ლიტველი კანდიდატი 2 წლით იქნება უეფას აღმასკომის წევრი, დანარჩენები კი 4-4 წლით აირჩიეს.

გარდა ამისა, უეფამ იმ ოთხი პირის ვინაობაც გაარკვია, რომლებიც ამ ორგანიზაციას ფიფას აღმასკომში წარადგენენ.

ესენი არიან: მიშელ დჰუგი (ბელგია), შენეშ ერზიქი (თურქეთი), მარიოს ლეფკარიტისი (კვიპროსი) და ვიტალი მუტკო (რუსეთი).

მიუხედავად ამისა, ნოდარ ახალკაცი კოპენჰაგენიდან ხელცარიელი მაინც არ დაბრუნებულა. უეფამ ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის რამდენიმე პიროვნება დააჯილდოვა და მათ შორის მოხვდა ნოდარ ახალკაცის მამა, ცხონებული ნოდარ ახალკაცი.

თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული მწვრთნელი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი უეფამ ზურმუხტის ორდენით დააჯილდოვა.

უფროსი ახალკაცის გარდა ზურმუხტის ორდენი ერგოთ ედუარდ მალოფეევს (ბელარუსი), ანტე პავლოვიჩს (ხორვატია), ბობი რობსონს (ინგლისი) და ედი ბარს (ჩრდილოეთ ირლანდია).

ალმასის ორდენებით კი პოლონელი ლეშეკ რილსკი და რუსი ვიქტორ პონედელნიკი დაჯილდოვდნენ.

**კახა ზალამბერიძე**

# ყოველწლიური წიგნი გაყიდვაშია

## რევაზ შენგელიას ახალი საჩუქარი ქომაგებისთვის




**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციამ ქართული ფეხბურთის ქომაგებს სასიამოვნო საჩუქარი გაუკეთა: რევაზ შენგელიას ახალი, ყოველწლიური წიგნი უკვე გაყიდვაშია.

„ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი 2008-09“ რევაზ შენგელიას ავტორობით გამოსული საიუბილეო, მე-15 წიგნია.

გულშემატკივრები განვლილი, 2007-08 წლების სეზონის შედეგებს გაეცნობიან, ასევე მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბების განაცხადებს თუ სხვა საინტერესო სტატისტიკურ მონაცემებს.

გამოცემის საკმაო ნაწილი ეთმობა განვლილ სეზონში საქართველოს ეროვნული და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების თამაშებს, 2007-08 წლების ევროპის საკლუბო ტურნირებს და მასში ქართული კლუბების ასპარეზობას. ასევე, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატს: გულშემატკივრებს საშუალება ექნებათ, კონტინენტის პირველობის ყველა მონაწილე ნაკრების შესახებ საინტერესო ცნობები მოიძიონ, ასევე ფინალური ეტაპის სტატისტიკურ მასალას გაეცნონ.

შეგახსენებთ, რომ რევაზ შენგელიას ავტორობით „ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი“ 1993 წლიდან გამოდის.

*სფფ-ის პრესსამსახური*











# კახა კალაძეს ლამბორჯინი მეგობარმა დაუმტვრია

**20 მარტს** უჟგოროდის მახლობლად ავარია მოხდა — ძვირადღირებული „ლამბორჯინი“, რომელსაც უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის შვილი, ანდრეი სტრიჟაკი მართავდა, გზიდან გადავარდა და...

ყვითელი ფერის „ლამბორჯინი“ უკვე იტალიაშია, რამეთუ ის „მილანისა“ და საქართველოს ნაკრების მცველ კახა კალაძეს ეკუთვნის.

თავიდან უკრაინელი სამართალდამცავები ამ ამბის მიჩქმალვას აპირებდნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც ინფორმაციამ პრესაში გაჟონა, თავად კალაძემაც გააკეთა კომენტარი.

„მანქანა ჩემია, ეს მართალია. უბრალოდ, მეგობარმა მთხოვა და მეც, რა თქმა უნდა, ვათხოვე ცოტა ხნით“ — უთხრა კახამ „გაზეტა პო კიევსკის“.

არც უმცროს სტრიჟაკს და არც მამამისს ახსნა-განმარტება ჯერ არ გაუკეთებიათ, თუმცა უკრაინელი ჟურნალისტები წერენ, რომ ავარიის შემდეგ რატომღაც მილიციამ სწრაფადვე გააქრო კვალი, რაც ხელს შეუშლის გამოძიებას.

როგორც გაირკვა, მანქანაში სტრიჟაკი, ქალი და 11 წლის ბავშვი ისხდნენ. ავარიის შემდეგ კი მათ წასაყვანად მალევე გამოჩნდა არანაკლებ ძვირადღირებული „ფერარი“.

უჟგოროდის მილიციის პრესსამსახურის ცნობით, ვინაიდან მანქანა უკრაინაში არ იყო რეგისტრირებული (იტალიური ნომრები ჰქონდა), ამიტომ მძღოლს მხოლოდ ადმინისტრაციული ჯარიმა დაეკისრა.

„ძალიან მიყვარს მანქანები და როცა ვმოგზაურობ, ყოველთვის ჩემი მანქანით მივდივარ ხოლმე. მარტის შუა რიცხვებში ვიყავი უკრაინაში და თან ეს „ლამბორჯინიც“ ჩამოვიყვანე. მერე ჩემმა მეგობარმა მთხოვა, მათხოვე მანქანაო და მეც ვუთხარი, რა პრობლემაა, წაიყვანე და ისიამოვნე-თქო. მას არ უნდოდა ჩემი მანქანის შეძენა. დარწმუნებული ვარ, ამდენი ფული არა აქვს და ასეთი შემოთავაზება არც ყოფილა“ — განუმარტა კახა კალაძემ უკრაინელ ჟურნალისტებს.

როგორც შევიტყვეთ, კახამ ეს მანქანა იტალიაში შეიძინა 235 000 ევროდ.

„20 მარტს ანდრეიმ დამირეკა და მომხდარის თაობაზე მითხრა. ალბათ სიჩქარე ვერ გააკონტროლა. არ გავბრაზებულვარ. მთავარია, არავინ დაზარალებულა, რკინა კი ყოველთვის შეკეთდება“ — ამბობს კალაძე, ვინც ახლა ტრავმას იშუშებს და რამდენიმე დღით თბილისშიც გახლდათ მშობლების მოსანახულებლად.

**კახა ზალამბერიძე**

# ჰოლანდია დაიწყო



სარბიელის არქივიდან

გიორგი დევდარიანი

„ფონდი არველაძეს“ ხელშეწყობით საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ჰოლანდიაში ორ ამხანაგურ მატჩს რომ ჩაატარებს, ადრეც გაუწყეთ.

გიორგი დევდარიანის გუნდს შესარჩევი ეტაპი ოქტომბერში ეწყება და იქამდე მოსამზადებლად საკმაო დრო აქვს.

„ფონდი არველაძეს“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, საქართველოს ნაკრები 30 მარტს ჩავა ჰოლანდიაში და პირველ მატჩს 31-ში გამართავს ამსტერდამის „აიაქსის“ თანატოლებთან. 4 აპრილს კი გიორგი დევდარიანის გუნდი გერმანულ ესენის „როტ-ვაისს“ გაეჯიბრება.

საქართველო ჰოლანდიურ ტურნეში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა:

*მეკარეები: დავით ლევაშვილი (ნორჩი დინამოელი), ლაშა ბრაჭული (დინამო);*

*მცველები: ცოტნე ხარაბაძე (ტორპედო), გიორგი დრიაევი (გორი), ოთარ დოლიძე (საბურთალო), ლაშა პარუნაშვილი (საბურთალო), არჩილ ტყილდიანი (საბურთალო);*

*ნახევარმცველები: გიორგი ხუბუა (ბაია), სანდრო რეხვიაშვილი (საბურთალო), ვალერიან ყაზაიშვილი (საბურთალო), ლაშა ქვარაცხელია (ლოკომოტივი);*

*თავდამსხმელები: გიორგი ჭანტურია (ბარსელონა, ესპანეთი), ჯურამ სამუშია (ბაია), გიორგი ხარლამოვი (ოლიმპი), სანდრო ჩამფორია (საბურთალო), სერგო ქავთარაძე (საბურთალო), დავით ხოჭოლავა (საბურთალო).*

შეგახსენებთ, რომ გიორგი დევდარიანის გუნდი ჭაბუკთა ლიგაშიც თამაშობს, რათა უკეთ მოემზადოს და შეთამაშდეს მომავალი ოფიციალური მატჩებისთვის.

**კახა ზალამბერიძე**

# დოლიძე მძიმედაა?

**აზერბაიჯანული** „სიმურგის“ ქართველი ნახევარმცველი გრიგოლ დოლიძე ჯერაც მკურნალობს და, როგორც შევიტყვეთ, შესაძლოა, საკმაოდ მძიმე ტრავმასთანაც ჰქონდეს საქმე.

„სიმურგის“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, დოლიძეს ხელმეორე გამოკვლევა სჭირდება, რასაც რამდენიმე დღეში ჩაუტარებენ და ზუსტ დიაგნოზსაც დაუსვამენ.

შეგახსენებთ, რომ დოლიძეს ეს ტრავმა უკვე მეორე თვეა, თავს ახსენებს, „ყარაბახთან“ მატჩში კი ისე დაშავდა, რომ სიარულიც უჭირს...

**კახა ზალამბერიძე**

# მეორე ლიგა

## აღმოსავლეთი

ზოოვეტი 0:2 არაგველები
ალაზანი 1:0 ალგეთი
ერთობა 0:2 გარეჯი
ნ. დინამო 0:2 ლიახვი
ლოკომოტივი 2 4:1 35-ე სკოლა
დუშეთი 0:0 ამერი 2
ჰერეთი 2 0:0 სპარტაკი 2
სამგორი 6:2 იმედი
ბორჯომი 2 0:3 იბსუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი 2 | 21 | 14 | 3 | 4 | 42:13 | 45 |
| ლოკომოტივი 2 | 21 | 14 | 3 | 4 | 50:24 | 45 |
| დუშეთი | 21 | 13 | 3 | 5 | 41:22 | 42 |
| სპარტაკი 2 | 21 | 12 | 5 | 4 | 52:24 | 41 |
| იბსუ | 21 | 12 | 1 | 8 | 45:34 | 37 |
| 35-ე სკოლა | 21 | 11 | 4 | 6 | 41:32 | 37 |
| გარეჯი | 21 | 11 | 3 | 7 | 34:23 | 36 |
| ლიახვი | 21 | 10 | 4 | 7 | 37:31 | 34 |
| სამგორი | 21 | 7 | 6 | 8 | 39:35 | 27 |
| იმედი | 21 | 7 | 6 | 8 | 29:34 | 27 |
| ჰერეთი 2 | 21 | 8 | 2 | 11 | 39:35 | 26 |
| არაგველები | 21 | 7 | 5 | 9 | 25:29 | 26 |
| ერთობა | 21 | 7 | 2 | 12 | 25:47 | 23 |
| ბორჯომი 2 | 21 | 7 | 1 | 13 | 23:46 | 22 |
| ალგეთი | 21 | 6 | 4 | 11 | 26:44 | 22 |
| ალაზანი | 21 | 5 | 3 | 13 | 15:36 | 18 |
| ზოოვეტი | 21 | 4 | 4 | 13 | 23:45 | 16 |
| ნ. დინამო 2 | 21 | 3 | 3 | 15 | 15:47 | 12 |

## დასავლეთი

ადელი 3:0 ჭიათურა 2
გურია 2 1:3 მერცხალი
სქური 2:0 კოლხეთი 2
ნ. ტორპედო 2008 1:0 სამტრედია 2
მარგვეთი 1:0 ტორპედო 2
ბაია 2 3:1 მერანი 2 (მ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 14 | 11 | 3 | 0 | 30:10 | 36 |
| ბაია 2 | 14 | 8 | 4 | 2 | 31:14 | 28 |
| მერანი 2 (მ) | 14 | 8 | 2 | 4 | 22:15 | 26 |
| კოლხეთი 2 | 14 | 8 | 1 | 5 | 23:15 | 25 |
| სამტრედია 2 | 14 | 6 | 2 | 6 | 15:15 | 20 |
| გურია 2 | 14 | 6 | 1 | 7 | 24:21 | 19 |
| იმერეთი | 13 | 6 | 1 | 6 | 15:16 | 19 |
| ნ. ტორპედო 2008 | 14 | 5 | 2 | 7 | 11:16 | 17 |
| ადელი | 14 | 4 | 3 | 7 | 19:25 | 15 |
| მარგვეთი | 14 | 4 | 3 | 7 | 14:23 | 15 |
| ტორპედო 2 | 13 | 4 | 1 | 8 | 22:29 | 13 |
| სქური | 14 | 4 | 1 | 9 | 16:27 | 13 |
| ჭიათურა 2 | 14 | 4 | 0 | 10 | 17:34 | 12 |

**ყაზანის „რუბინის“ ახალწვეული ანრი ხაგუში აფხაზეთიდანაა, აქამდე ბელარუსულ ბატე-ში თამაშობდა და სწორედ ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობით მიიქცია რუსების ყურადღება. თუმცა „რუბინმა“ 22 წლის ხაგუში წლის ბოლომდე კრასნოდარის „ყუბანში“ გაანათხოვრა... „სპორტ-ექსპრესმა“ ხაგუშთან მოზრდილი ინტერვიუ გააკეთა და რახან ეს პიროვნება ჩვენთვის მთლად უინტერესო არ არის, ინტერვიუს მცირე ნაწილს შემოგთავაზებთ...**



# კინაღამ გაბელარუსებული გარუსებული აფხაზეთიდან

— როგორც ვიცით, ბელარუსები ბევრს ცდილობდნენ მათ ეროვნულ ნაკრებში თამაშზე თქვენს დაყოლიებას...

— ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციასთან ამ საკითხს მართლა განვიხილავდი. ბატე-დან თუ არ წამოვიდოდი, ალბათ ბელარუსის მოქალაქეობასაც მივიღებდი. ახლა კი ეს თემა უკვე დახურულია. პრემიერლიგაში გუნდის მოძებნა რუსული პასპორტით გაცილებით იოლია.

— თქვენი მშობლები ისევ აფხაზეთში ცხოვრობენ?

— დიახ. ეს ცხინვალში იყო შარშან ომი, თორემ გაგრაში, ღმერთის წყალობით, სიმშვიდეა.

— შინ პირდაპირ კრასნოდარიდან ჩადიხართ ხოლმე?

— სოჭამდე მატარებლით მივდივარ, იქიდან კი მანქანით.

— ანრი აფხაზეთში პოპულარული სახელია?

— ვერ ვიტყვი, რომ ძალიან პოპულარული სახელია. აქა-იქ შეხვდებით ამ სახელს. მამამ ანრი თავისი მეგობრის პატივსაცემად დამარქვა.

# რუსები ვიზას არ იძლევიან

**მახაჩყალის** „ანჟიმ“ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა და რუსეთის მეორელიგელი „სტავროპოლიე 2009“ 2:0 დაამარცხა.

დაღესტნელთა შორის გიორგი ნავალოვსკი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს, გოჩა ხოჯავამ საწყისი 60 წუთი გაატარა მოედანზე, ელიკ საჯაია კი შესვენების შემდეგ ჩაერთო თამაშში. „ანჟის“ დანარჩენ ქართველებს, ოთარ მარცვალაძეს, სანდრო იაშვილს, კახა ალადაშვილს და ზურაბ არზიანს არ უთამაშიათ.

ამათგან პირველ სამს სავიზო პრობლემები აქვთ — რუსეთი მათ ქვეყანაში შესვლის უფლებას ჯერჯერობით არ აძლევს და ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები.

მწვრთნელ ომარ თეთრაძის თქმით, კლუბის ხელმძღვანელობა ამ საკითხზე უკვე აქტიურად მუშაობს.

საინტერესოა, რომ „ანჟის“ ყველა დანარჩენ ქართველს რუსეთის მოქალაქეობა აქვს.

**კახა ზალამბერიძე**

# თამაზ პერტია: მწვრთნელობიდან უფროსობამდე და პირიქით



**უცნაური** გადაადგილებები მოხდა ლატვიურ „დინაბურგში“. გეცოდინებათ, ადრე თამაზ პერტია გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო, თუმცა ცოტა ხნის წინ ის გუნდის უფროსად გადაიყვანეს, მწვრთნელად კი იგორ გამულა დანიშნეს.

რამდენიმე დღის წინ ისევ მოხდა ახალი გადანაცვლება: გამულა მოხსნეს და პერტიამაც ძველი ადგილი დაიბრუნა.

„უმთავრესად, გუნდური თამაში უნდა გამოვასწოროთ. კარგი ფეხბურთელები გვყავს და მე მათი მჯერა. ახლა მათ საერთო ენა უნდა გამონახონ, ჩვენ კი გამარჯვებულის მენტალიტეტი უნდა ჩავუნერგოთ“ — უთხრა პერტიამ „დინაბურგის“ ოფიციალურ ვებგვერდს.

**კახა ზალამბერიძე**

# გრიგალავას თურქული პაუზა

**სანაკრებო** მატჩებით გამოწვეული რამდენიმედღიანი პაუზა რუსულმა „მოსკვამ“ თურქული ტურნირით ამოავსო.

მოსკოველები Gloria Golf Resort Cup-ში ჩაერთვნენ და პირველ მატჩი 4:0 გაანადგურეს ნორვეგიული „სალინგდალი“.

„მოსკვას“ ქართველმა ახალწვეულმა გია გრიგალავამ ამ შეხვედრაში 90 წუთი დაჰყო მოედანზე.

# მუჯირმა ხიმკისთან იამხანაგა

**მოსკოვის** „ლოკომოტივმა“ ამხანაგური მატჩი გამართა „ხიმკისთან“ და 2:1 იმარჯვა.



დავით მუჯირმა, ვინც საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა შესარჩევი მატჩებისთვის არ მიიწვია, მეორე ტაიმში ითამაშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამოს წილისყრა მსაჯმა გაუცუდა

## ტყავაძეს უცხოეთი არ გამოუვიდა



ბუბა ტყავაძე



**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგაში თასის ნახევარფინალის წილისყრა შედგა.

გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**ოლიმპი (რუსთავი) — ვიტ ჯორჯია (თბილისი)**

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, ზ. ფიფია, პ. დოგრაშვილი

**ლოკომოტივი (თბილისი) — დინამო (თბილისი)**

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია, ზ. ჯვარიძე, ლ. თოდრია, მ. ბეუქლიშვილი

პირველი მატჩები 14 აპრილს გაიმართება, საპასუხო კი 29 აპრილს.

წილისყრის შედეგით ყველაზე მეტად უკმაყოფილო „დინამოს" მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე დარჩა. ოღონდ არა იმით, რომ მისი გუნდის მეტოქე „ლოკომოტივი" იქნება, არამედ იმით, რომ „ლოკომოტივ" — „დინამოს" ლევან კვარაცხელია განსჯის.

აქვე განვმარტოთ: საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგისა და ფედერაციის გადაწყვეტილებით, მსაჯთა ბრიგადები წინასწარ იყო შერჩეული: პირველ წყვილს გიორგი ვადაჭკორიას ბრიგადა მოემსახურებოდა, მეორეს კი — კვარაცხელიასი.

ტყავაძეც ამან აღაშფოთა და გასულ სეზონს თუ გავიხსენებთ, როცა ჩემპიონობისთვის გადამწყვეტ მატჩში კვარაცხელიამ საეჭვო პენალტი დანიშნა „დინამოს" კარში „ვიტ ჯორჯიას" სასარგებლოდ, მისი უკმაყოფილების გაგებაც არ გაგვიჭირდება.

თუმცა წესი წესია და ახლა ვერც ტყავაძე შეცვლის რამეს და ვერც ვინმე სხვა.

ერთი კია: „დინამოს" ხელმძღვანელმა პროფლიგას უცხოელი მსაჯების მოწვევა და ამ ხარჯების საკუთარი სახსრებით დაფარვაც კი შესთავაზა, თუმცა პასუხად მაინც უარი მიიღო, ფინალს კი ეს ოთხეული განსჯის: ლ. სილაგავა, გ. ჩიგოგიძე, ზ. მენთეშაშვილი, დ. ხარიტონაშვილი.

მოკლედ, წილი ნაყარია და ვფიქრობთ, უინტერესო წყვილებიც არ შემდგარა.

შეგახსენებთ, რომ თასის ფინალი 28 მაისს ეროვნულ სტადიონზე გაიმართება.

**ოთარ მხეიძე**



# ვიქტორ კაშჩეი: გამოსავალს აუცილებლად მოვძებნით!

**„გაგრას" ახალი მწვრთნელი რომ ჰყავს, გეცოდინებათ. 62 წლის უკრაინელ ვიქტორ კაშჩეის უკვე სადებიუტო მატჩიც ჰქონდა ზუგდიდის „მგლებთან" (2:2), ახლახან კი პრესკონფერენციაც გამართა კლუბის ოფისში...**

**— საინტერესოა, როგორია თქვენ მიერ გავლილი საფეხბურთო გზა?**

— 1964 წლიდან კიევის „დინამოში" ვთამაშობდი. მერე დონეცკის „შახტიორშიც" ვიყავი... ორი წელი ვითამაშე კიროვოგრადის „ზვეზდაში", საიდანაც ზაპოროჟიეს „მეტალურგში" მივედი. ამის შემდეგ დავიწყე მწვრთნელობა — ორი წელი ჟიტომირის „სპარტაკში" ვიქტორ ჟიგინს ვეხმარებოდი. 1978 წლიდან კი კიევის „დინამოში" ვმუშაობდი... ვიყავი უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელიც. ჩემს ხელში გაიარეს ანატოლი ტიმოშჩუკმა და ანდრეი ვორონინმა. 2001 წლიდან 17-წლამდელებსაც ვხელმძღვანელობდი, თუმცა პარალელურად „დინამოს" აკადემიაშიც ვმუშაობდი.

**— საინტერესო გვარი გაქვთ და წარმოშობით საიდან ბრძანდებით?**

— სუფთა უკრაინული გვარი მაქვს. მამა ჩერნიგოვის ოლქიდანაა, დედა კი კიევიდან.

**— როგორ სათამაშო სტილს ანიჭებთ უპირატესობას?**

— არ არსებობს მწვრთნელი, რომელიც იტყვის, რომ ცუდი ფეხბურთი მოსწონს. მიყვარს კომბინაციური და ტექნიკური ფეხბურთი. ძალიან მომწონდა ის ფეხბურთი, რომელსაც კიევის „დინამო" აჩვენებდა 60-იან წლებში. თანამედროვე ფეხბურთში ძალიან მომწონს „ბარსელონა", „ლივერპული", „მანჩესტერი", „იუვენტუსი"... საბჭოთა პერიოდიდან კი მოსკოვის „სპარტაკი", თბილისის „დინამო" და, რა თქმა უნდა, კიევის „დინამო" მომწონდა ყოველთვის.

**— „გაგრაში" ახალგაზრდა და გამოუცდელი ფეხბურთელები დაგხვდათ. რას იტყვით ამ გუნდზე?**

— ეს ბიჭები ძალიან სიმპათიურები და ნიჭიერები არიან. შესაბამისად, ჩემი პირველი შთაბეჭდილებაც კარგია. სხვანაირად ვერც წარმომედგინა. ყოველთვის ვიცოდი, რომ ქართული ფეხბურთი ცნობილი იყო ნიჭიერი და ტექნიკური ფეხბურთელებით. სხვა საკითხია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ ინფრასტრუქტურა მოშალა. ასე მოხდა უკრაინაშიც. იქ მხოლოდ გრიგორი სურკისის ფედერაციაში მისვლის შემდეგ გამოსწორდა სიტუაცია... დარწმუნებული ვარ, მალე ქართული ფეხბურთიც გამოცოცხლდება...

**— შეძლებთ „გაგრას" უმაღლეს ლიგაში დატოვებას?**

— ჩვენ მხოლოდ უმაღლეს ლიგაში ფეხის მოკიდებას არ ვგეგმავთ. კლუბის პრეზიდენტთან საუბრისას დავრწმუნდი, რომ ის ამბიციური კაცია და ახლა ხელების ჩამოშვება არ ღირს. გამოსავალს აუცილებლად მოვძებნით.

**— თუმცა ჩემპიონატის დამთავრებამდე ძალიან ცოტა დრო კი გრჩებათ...**

— რას ვიზამთ... ვეცდებით, თანდათან გამოვასწოროთ სიტუაცია...

**— „გაგრაში" დარჩენას დიდი ხნით აპირებთ?**

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით. მუშაობაა საჭირო და დანარჩენს დრო გამოაჩენს.

**— კონტრაქტი როდემდე გააფორმეთ?**

— ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მე და კლუბის პრეზიდენტი დიდი ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ, ვენდობი, ისიც მენდობა და სხვა იურიდიული თუ ტექნიკური საკითხები ნაკლებად მაღელვებს.

**— თქვენი თაობის რომელ ქართველ ფეხბურთელებთან გქონდათ ურთიერთობა?**

— მეგობრული ურთიერთობა ბევრთან მქონდა, მაგრამ გამორჩეულად ვინმეს დასახელება არ შემიძლია...

**— საქართველოში ოჯახთან ერთად ჩამოხვედით?**

— არა. მეუღლეც მუშაობს და ვაჟიც. მათ არ შეეძლოთ, ასე ხელაღებით ყველაფრის მიტოვება. მეუღლე სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელია და ზაფხულის არდადეგებზე აუცილებლად ჩამომაკითხავს...

**ოთარ მხეიძე**

# დინამოური ტრავმები

## ვაწაძეს სეზონი დაუმთავრდა



**თბილისის** „დინამოს" ახალგაზრდა თავდამსხმელ მათე ვაწაძეს ლავიწის ძვალი ისევ საოპერაციო რომ გაუხდა, ადრეც ვწერდით.

20 წლის ფეხბურთელი შარშან შემოდგომაზე დაშავდა, ოპერაცია გაიკეთა, თუმცა ძვალი ისევ გაებზარა და...

ვაწაძემ ხელმეორე ოპერაცია უკვე გაიკეთა და, სამწუხაროდ, მისთვის ეს სეზონი უკვე დასრულებულია.

შეგახსენებთ, რომ მათეს ამ სეზონში 10 გოლი აქვს გატანილი და ახლახან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც გამოიძახეს, მაგრამ...

**ბაჩა ზალამბერიძე**

## კრშკო ოპერაციით კმაყოფილი დარჩა



www.forum.ge

**ცხინვალის** „სპარტაკთან" მატჩში დაშავებულმა მილოშ კრშკომ ოპერაცია გაიკეთა.

თბილისის „დინამოს" სლოვაკმა მცველმა წვივი მოიტეხა და სეზონი ნაადრევად დაასრულა.

კრშკო 23 მარტს გაემგზავრა სამშობლოში და მეორე დღეს გაიკეთა ოპერაცია.

აი, რა უთხრა ფეხბურთელმა „დინამოს" ოფიციალურ ვებგვერდს: „ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ვიმედოვნებ, რომ გართულებებს თავიდან ავიცილებ. ყველას დიდი მადლობა მინდა, ვუთხრა თანადგომისთვის".

**ბაჩა ზალამბერიძე**

## ფირცხალავას გერმანული კურსი



**თბილისის** „დინამოს" ნახევარმცველმა ნიკა ფირცხალავამ მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ახლა სარეაბილიტაციო კურსს გერმანიაში, რუიტის ბაზაზე გადის.

„დინამოს" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, საფეხბურთო კლუბ „შტუტგარტის" ექიმ თომას ფლიურიხის რეკომენდაციით, ქართველი ფეხბურთელი გერმანიაში 8 აპრილამდე დარჩება.

მედიკოსები ჯერჯერობით ვერ ამბობენ, ზუსტად რამდენ ხანში შეძლებს 21 წლის ფირცხალავა მოედანზე გასვლას...

**ბაჩა ზალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უცობელო დინამო

## ლაშა დეკანოსიძე არ გადაწყვეტილა


სარბიელის არქივიდან

კახა კაჭარავა

**გუშინ** დიღმის ბაზაზე ამხანაგური მატჩი გაიმართა — თბილისის „დინამო“ „გაგრას“ შეხვდა და 4:1 დაამარცხა.

დინამოელებმა გადახალისებული შემადგენლობით ითამაშეს, რადგან ფეხბურთელები ნაკრებებში ჰყავთ გაშვებული, თუმცა ამის მიუხედავადაც, მოგება არ გასჭირვებიათ.

სხვათა შორის, გერმანელი რაინერ ცობელის წასვლის შემდეგ ეს „დინამოს“ პირველი თამაში იყო და გუნდი კახა კაჭარავამ დაარიგა.

**დინამო 4:1 გაგრა**

1:0 ნემსაძე (12), 2:0 ჯიუსი (38), 3:0 კოშკაძე (47პ), 4:0 ჯიუსი (56), 4:1 სუხიშვილი (74)
**დინამო:** ლორია, ლ. დეკანოსიძე, ნერგაძე, ჩადუნელი, კაკუბავა, შ. კაშია, დილმელაშვილი, ნემსაძე, ნ. ჯიშკარიანი, კოშკაძე, ჯიუსი.
შეცვლაზე შევიდნენ: ტომიჩი, აკირემი
**გაგრა:** კოტრიკაძე, კუპრეიშვილი, გიგაური, კოზლენკო, ტყეშელაშვილი, ოვონიკოკო, შარიქაძე, ნოზაძე, ჩარგეიშვილი, ძაგანია, ცხადაძე.
შეცვლაზე შევიდნენ: სუხიშვილი, გიორგაძე, ლ. სეთურიძე, ქერივიშვილი, ფილია, ხელაძე.

ერთიც: „დინამოში“ პირველად ითამაშა ბელარუსული ბატე-დან წამოსულმა ლაშა დეკანოსიძემ, „გაგრაში“ კი ექსდინაბურგელი ბაქარ გიორგაძე გამოჩნდა. მათი საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა...

**კახა შალამბერიძე**

# აკაკი ხუბუტიას კაუნასი მესამე ლიგაში გაუგდეს

**უცნაური** ამბავი მოხდა ლიტვაში: ფეხბურთის ფედერაციასთან დაპირისპირების გამო ქვეყნის საუკეთესო კლუბი „კაუნასი“ კლაიპედის „ატლანტასთან“ ერთად მე-3 ლიგაში გააძევეს. ვილნიუსის „ვეტრა“ კი ახალ სეზონს პირველ ლიგაში შეხვდება.

„კაუნასის“ ხელმძღვანელობამ ერთი კვირის წინ ოფიციალური განაცხადი შეიტანა ფედერაციაში, სადაც პირველ ლიგაში ნებაყოფლობით ჩასვლას ითხოვდა. კლუბის ხელმძღვანელობამ ეს ამბავი ფედერაციასთან არასაიმედო ურთიერთობით ახსნა, თუმცა აღმასკომმა გაცილებით მკაცრი გადაწყვეტილებები გამოიტანა.

მოკლედ, თუ სადმე წასვლა ვერ მოასწრო, ქართველ მცველ აკაკი ხუბუტიას ძალიან დაბალ, მესამე ლიგაში მოუწევს თამაში.

შეგახსენებთ, რომ „კაუნასს“ კიდევ ორი ქართველი ჰყავდა, თუმცა ორიოდ თვის წინ ორივე გაასხვისა — ნახევარმცველი გივი კვარაცხელია მინსკის „მტზ-რიპოში“, მცველი ნუკრი მანჩხავა კი ჟოდინოს „ტორპედოში“.

**კახა შალამბერიძე**

# ხიზანეიშვილი გამოჩნდა

**ხანგრძლივი** პაუზის შემდეგ გერმანიის მეორე ბუნდესლიგელ „აუგსბურგში“ პირველად ითამაშა ოთარ ხიზანეიშვილმა.

გერმანელებმა ამხანაგურ მატჩში 3:2 დაამარცხეს ავსტრიული „ზალცბურგი“ და ჩვენდა გასაკვირად, 27 წლის ქართველი მცველი სრულად გაისარჯა.

შეგახსენებთ, რომ „ფრაიბურგიდან“ „აუგსბურგში“ გადასვლის შემდეგ ხიზანეიშვილს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა საოცნებოდ გაუხდა.

**კახა შალამბერიძე**

# ამისულაშვილი დინამოს ცუდ ათეულში მოხვდა

**უკრაინულმა** „ფუტბოლმა“ კიევის „დინამოს“ ათ ყველაზე ცუდ ტრანსფერს შორის ალექსანდრე ამისულაშვილიც დაასახელა.

ქართველი მცველი მეათე ადგილზე გავიდა.

ამისულაშვილი 2004 წელს თბილისის „დინამოდან“ გადავიდა კიევურ გუნდში და აი, რას წერენ უკრაინელი ჟურნალისტები:

„ამისულაშვილმა 2004 წლის მარტში, „დნეპროსთან“ სათასო მატჩში გადაუსვა თავის კიევურ მომავალს ხაზი. მას შემდეგ მხოლოდ სარეზერვო გუნდში თამაშობდა, სადაც თავი წარმოაჩინა, როგორც უხეშმა და ტაქტიკურად არცთუ ძლიერმა ფეხბურთელმა. მოგვიანებით ის გაანათხოვრეს თბილისის „დინამოში“, სიმფეროპოლის „ტავრიაში“, იაროსლავლის „შინიკში“. ახლა კი ნალჩიკის „სპარტაკშია“, სადაც თავს კარგად გრძნობს“.



„ფუტბოლი“ ოთარ მარცვალაძის, კახა ალადაშვილისა და დავით იმედაშვილის ტრანსფერებზეც აკეთებს კომენტარს — მათზე კიევში დიდ იმედებს ისედაც არ ამყარებდნენ და აკი სამივეს შეელივნენო...

**კახა შალამბერიძე**

# მჟავანაძემ ჩერნომორეცს სასამართლო მოუგო



**ოდესის** „ჩერნომორეცის“ ყოფილმა ფეხბურთელმა კახა მჟავანაძემ უკრაინულ კლუბს პროფლიგის სადისციპლინო კომიტეტში უჩივლა და საქმეც მოიგო.

მჟავანაძე „ჩერნომორეცისგან“ საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულებას და კუთვნილი თანხის გადახდას ითხოვდა, რაშიც დისციპლინარების თანხმობაც მიიღო და კლუბს უახლოეს ვადაში დაევალა ვალის გადახდა.

შეგახსენებთ, რომ მჟავანაძე ოდესურ კლუბში წინა სეზონში თამაშობდა, ახლა კი მოლდოვურ „დაჩიაში“ ირიცხება.

**კახა შალამბერიძე**


ერნესტ აკუასაგა და ალენ ჟირესი მაროკოს ძლევას ხარობენ

# ალენ ჟირესი და ჩვენი გაბონელები

**2010 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის აფრიკულ ზონაში მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა გაბონის ნაკრებმა.

ჩვენთვის კარგად ნაცნობი ალენ ჟირესის გუნდმა სტუმრად 2:1 დაამარცხა მაროკო.

გაბონის ნაკრებში სრულად ითამაშეს თბილისის „დინამოს“ მეკარემ დიდიე ოვონომ, რუსთავის „ოლიმპის“ მცველმა ერნესტ აკუასაგამ (ყვითელი ბარათი მიიღო) და „ზესტაფონიდან“ სკანდალურად აბარგებულმა პოლ კესანიმ.

A ჯგუფის მეორე მატჩში ტოგომ 1:0 სძლია კამერუნს და ამგვარად, პირველი ტურის შემდეგ „ქართველი“ გაბონელები ლიდერები არიან.

**კახა შალამბერიძე**

SBM
ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა
PEPSI

# ქულების კარგვა

**ბიზნესის** ჩემპიონთა ლიგის უმაღლეს ლიგაში შაბათს მეორე ტური ჩატარდა და ყველაზე გამორჩეული მატჩი საქართველოს ბანკისა და საქართველოს უნივერსიტეტის გუნდებმა ჩაატარეს. როგორი საქმეა, თამაშის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ანგარიში 0:0-ია, დარჩენილ ოთხ წუთში კი გუნდებს წყვილ-წყვილი გოლი გააქვთ...

გუშინ კი სუპერლიგის თამაშები ჩატარდა და ლიდერებიც გამოიკვეთნენ — „ალგორითმმა“ „პეპსის“ მოუგო, 6 ქულა მოაგროვა და სეუსთან ერთად თანალიდერია. თანაც ალგორითმელებს ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

თუმცა ცხრილში ისეთი დაძაბულობაა და იმდენი ქულა იკარგება, ფავორიტობაზე ლაპარაკი ნაადრევია.

აი, თუნდაც, არჩილ არველაძის, გიორგი ნემსაძის და გოჩა ჯამარაულის „იბერია“, რომელმაც მიჯრით მესამე ფრე ითამაშა, ანუ სამ ტურში უკვე 6 ქულა დაკარგა.

ამ ტურამდე ლიდერი სპორტის დეპარტამენტი იყო, რომელიც „სარბიელთან“ დამარცხდა. I ტურში წაგების მერე კი ბიზნესის თასის მფლობელმა სეუ-მ ძალა მოიკრიბა და ზედიზედ ორი თამაში მოიგო.

გუშინ ტრადიციული საქველმოქმედო აქციაც მოეწყო. „პეპსის“ და „ალგორითმის“ მატჩის წინ „ალგორითმის“ (LG-ს წარმომადგენელი საქართველოში) გენერალურმა დირექტორმა გიორგი კორახაშვილმა (ვინაც ამავდროულად ტაეკვანდოს ფედერაციის პრეზიდენტია) და გენერალურმა მენეჯერმა გიზო ფხოველიშვილმა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილ ბავშვებს სპორტული ეკიპირება და სხვა საჩუქრები გადასცეს.

### სუპერლიგა

**სარბიელი 3:2 სპ. დეპარტამენტი**
0:1 კასრაძე (5), 1:1 მიგრიაული (16), 2:1, 3:1 ჩიხრაძე (23, 27), 3:2 ამბიძე (30)

**პატრული 0:0 ვისოლი**

**პეპსი 1:2 ალგორითმი-1**
1:0 მეკოკიშვილი (13), 1:1 ფურცელაძე (14), 1:2 კავთელაშვილი (21)

**ოლ. ვარსკვლავი 3:4 სეუ**
0:1, 0:2 გოგოლაძე (1, 5), 0:3 ჩალაძე (6), 0:4 რევაზიშვილი (9), 1:4, 2:4 გოგშელიძე (13, 27), 3:4 ახალმოსულაშვილი (28)

**იბერია ბ/ჯ 2:2 პალიტრა**
1:0, 2:0 ა. არველაძე (10, 11), 2:1, 2:2 კბილაძე (14, 17)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალგორითმი-1 | 2 | 2 | 0 | 0 | 8:2 | 6 |
| სეუ | 3 | 2 | 0 | 1 | 11:11 | 6 |
| ვისოლი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| სარბიელი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:6 | 5 |
| დეპარტამენტი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| პალიტრა | 3 | 0 | 3 | 0 | 7:7 | 3 |
| იბერია ბ/ჯ | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| პატრული | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ოლ. ვარსკვლავი | 3 | 0 | 2 | 1 | 6:7 | 2 |
| პეპსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| შერატონი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:9 | 0 |

### უმაღლესი ლიგა

**სტანდარტბანკი 5:1 AMTS**
1:0 მამარდაშვილი (1), წილოსანი (7), 3:0, 4:0 მუმლაძე (20, 23), 5:0 მამარდაშვილი (24), 5:1 ქვლივიძე (29)

**დინამო 2:1 ალგორითმი-2**
0:1 ბედიაშვილი (4), 1:1 ნადირაძე (16), 2:1 მაისურაძე (21)

**თი ბი სი 0:1 იუ ჯი თი**
0:1 ალექსიძე (17)

**საქ. ბანკი 2:2 საქ. უნივერსიტეტი**
1:0, 2:0 ჭინჭველაშვილი (27, 28), 2:1, 2:2 კობიძე (29, 30)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუ ჯი თი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 6:4 | 6 |
| საქ. ბანკი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:4 | 4 |
| თიბისი ბანკი | 2 | 1 | 0 | 1 | 8:2 | 3 |
| უნივერსიტეტი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| სპორტმედია | 1 | 0 | 0 | 1 | 3:4 | 0 |
| ალგორითმი-2 | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |
| AMTS-JAMC | 2 | 0 | 0 | 2 | 2:13 | 0 |

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა. 22 ტური

### აღმოსავლეთი

**ნორჩი დინამო 1:2 დილა**

0:1 ფოცხვერია (29), 1:1 აფხაზავა (45), 1:2 მეტრეველი (83პ)

**ნორჩი დინამო:** გაბრიჩიძე, ბოკუჩავა, ღვთისავრიშვილი, ლაპარტყავა, ტოხტიაშვილი, მიქელაძე, ზ. ხიზანიშვილი (გურაბანიძე 46), აფხაზავა, ედიშერაშვილი, ი. ქავთარაძე, ჩუთლაშვილი (ა. კობახიძე 78)

*სათადარიგონი:* სეხნიაშვილი, ს. თურმანიძე, ავაქოვი, დაბრუნდაშვილი

მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე

**დილა:** დგებუაძე, მეტონიძე, მინდიაშვილი, გ. თარგამაძე, სორდია, გ. ჩიხრაძე, ქარდავა (ცერცვაძე 46), დაჩანიძე, ბეგლარიშვილი, ანდღულაძე (მაჭავარიანი 74), გ. ფოცხვერია (გ. მეტრეველი 55)

*სათადარიგონი:* გ. მაისურაძე, მსხვილიძე, კანდელაკი, იჩქითი

მწვრთნელი: პაატა მეტრეველი

გაფრთხილება: მიქელაძე, ქავთარაძე, ღვთისავრიშვილი, თარგამაძე

მსაჯი: ი. ურუშაძე

100 მაყურებელი

**პერეთი 0:0 ჩიხურა**

**პერეთი:** ჯალიაშვილი, კ. წვერავა (ლ. კობერიძე 88), ა. აბაშიძე, ტაკაშვილი, ხარაიშვილი, ყორღანაშვილი, გერმანიშვილი, თანდაშვილი, ი. რეხვიაშვილი (ი. ტაბატაძე 41), თაბუკაშვილი, ყაველაშვილი (ოქრუაშვილი 66)

*სათადარიგონი:* კურტანიძე, ლ. ნადირაძე, ბ. ფოფხაძე

მოთამაშე-მწვრთნელი: კარლო წვერავა

**ჩიხურა:** დოლაძე, დოლონაძე, ცარციძე, ზივზივაძე, ტყებუჩავა, ზაბახიძე, ჭილლაძე, ლ. ჩიკვაიძე, ქამუშაძე (პეტრიაშვილი 57), მ. მიქაძე, ლ. კობახიძე

*სათადარიგონი:* მწყერაშვილი, ხვედელიძე, როგავა, მაჭარაშვილი, გ. ენუქიძე, ივანიშვილი

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: ტაბატაძე, თანდაშვილი

მსაჯი: ვ. გუმბერიძე

150 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 2 1:0 დინამო 2**

1:0 ზაქრაძე (27)

**ვიტ ჯორჯია 2:** ა. მიქაბერიძე, ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, გამრეკლიძე, იოსელიანი, მაისაშვილი, ვასაძე, ზაქრაძე (ვეკუა 82), ზ. დათუნაშვილი (ლანიაშვილი 84), ი. სვანიძე (ცხოვრებაძე 86)

*სათადარიგონი:* ეზიეშვილი, ფურცელაძე, გოგიაშვილი, ხოკერაშვილი

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

**დინამო 2:** ლოსაბერიძე, მინდორაშვილი, გეთიაშვილი, ჩადუნელი, კეკელია (გ. ჯოხაძე 69), მამუჩიშვილი, ნემსაძე, ვ. ბოლქვაძე, ტომიჩი (ი. სიხარულიძე 69), ზ. ქანთარია (ლევვთაძე 65), ნ. ჯიშკარიანი

*სათადარიგონი:* გ. ნადირაძე, გ. ოთარაშვილი, კოპაძე, გ. ქავთარაძე

მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

გაფრთხილება: ვასაძე, ზაქრაძე, ჩადუნელი

მსაჯი: ლ. სილაგავა

100 მაყურებელი

**თბილისი 5:2 კახეთი**

0:1 იმერლიშვილი (29), 1:1 კორიფაძე (30), 2:1 ტორონჯაძე (45), 3:1, 4:1 კორიფაძე (49, 58), 5:1 სებისკვერაძე (61), 5:2 ბიძინაშვილი (77პ)

*ტორონჯაძემ ვერ გაიტანა პენალტი (68)*

**თბილისი:** გედენიძე, სარაჯიშვილი, დ. ამისულაშვილი, ჭაფოძე, სებისკვერაძე, ნ. გოგოხია, გურეშიძე, კორიფაძე (ი. დევდარიანი 70), ზვიადაძე, ხოხონიშვილი (ბროლაძე 62), ტორონჯაძე (ჯაში 73)

*სათადარიგონი:* მ. ოთარაშვილი, ბ. ბაბუნაშვილი, ოდიშარია, შუშიაშვილი

მწვრთნელი: გელა გომელაური

**კახეთი:** კობრიაშვილი, გერგიშვილი (ბ. მჭედლიშვილი 46), ტარულაშვილი, მურველაშვილი, ლ. აბდულაევი, გ. კევლიშვილი (ხამხაძე 80), ი. კობაიძე (ი. ხუციშვილი 81), იმერლიშვილი, ბიძინაშვილი, ძამუკაშვილი, ლ. ტეტიაშვილი

*სათადარიგო:* ბორჩაშვილი

მწვრთნელი: გივი კობაიძე

გაფრთხილება: ი. კობაიძე, მჭედლიშვილი, კობრიაშვილი, ჯაში

გაძევება: სარაჯიშვილი (77)

მსაჯი: ლ. კვარაცხელია

100 მაყურებელი

**ამერი 1:1 სიონი 2**

1:0 ხუციძე (20), 1:1 გიგინეიშვილი (49)

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, თ. სანიკიძე, გ. ნადირაშვილი, ელბაქიძე, ხატიაშვილი, ი. მოდებაძე, ხუციძე, დ. მჭედლიშვილი (ღვინიაშვილი 40), ჩიმაკაძე, ტიკურიშვილი, დ. ჯანელიძე (ნ. ქებაძე 62)

*სათადარიგონი:* გვენცაძე, ლაფერაშვილი, მელიქიშვილი, ცხოვრებაშვილი, ბოჯგუა

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

**სიონი 2:** ბობლიაშვილი, პატარქალაშვილი (გიორბელიძე 58); ნაყოფია, კახნიაშვილი, ლ. ჩხეტიანი, ვ. უგრეხელიძე, გაბრიჭიძე, უგულავა, ალფაიძე, გიგინეიშვილი (ლ. ჯოხაძე 89), რუსეიშვილი

*სათადარიგონი:* გურგენიძე, დემურაძე, არლევლიანი, ქობულაძე, კ. ასათიანი

მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

გაფრთხილება: გ. ნადირაშვილი

მსაჯი: გ. დოგრაშვილი

500 მაყურებელი

### XXIII ტური

29 მარტი

პერეთი 2:1 ვიტ ჯორჯია 2
ნორჩი დინამო 1:3 თბილისი
ამერი 2:1 გაგრა 2
სიონი 2 2:1 კახეთი
დილა 1:3 დინამო 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 21 | 14 | 5 | 2 | 35:9 | 47 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 21 | 13 | 5 | 3 | 32:8 | 44 |
| ჩიხურა | 20 | 13 | 4 | 3 | 38:13 | 43 |
| დინამო 2 | 21 | 11 | 7 | 3 | 34:16 | 40 |
| დილა | 21 | 8 | 6 | 7 | 27:20 | 30 |
| თბილისი | 21 | 9 | 3 | 9 | 35:31 | 30 |
| სიონი 2 | 21 | 6 | 5 | 10 | 25:45 | 23 |
| გაგრა 2 | 21 | 5 | 3 | 13 | 28:44 | 18 |
| პერეთი | 21 | 2 | 8 | 11 | 16:44 | 14 |
| ნ. დინამო | 20 | 2 | 7 | 11 | 21:36 | 13 |
| კახეთი | 20 | 2 | 5 | 13 | 12:37 | 11 |

### დასავლეთი

**სამტრედია 1:0 გურია**

1:0 ხაჭიპერაძე (90)

**სამტრედია:** ი. შენგელია, გოგია, კირთაძე, კ. ძაგანია, ნინუა, ბაკურაძე, ვ. ტყემალაძე, ეცადეიშვილი (ზ. ხაჭიპერაძე 46), ადეიშვილი, ჯიქიძე, ბეგოიძე (ი. ძლენტი 46)

*სათადარიგონი:* ბანძავა, გუბელაძე, ი. შალიკაშვილი, თ. შალიკაშვილი, მუკბანიანი

მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი

**გურია:** კეკელიძე, გოგიბერიძე, ვ. ბრეგაძე, ქურიძე, იმნაძე (იმნაიშვილი 68), ი. კილაძე, ხ. მგელაძე, უგლავა, ჯაყელი (შენირული 56), ტ. კუკულაძე (ლ. ციკოლია 82), კვერენჩხილაძე

*სათადარიგონი:* გოგუაძე, ურუშაძე, ჯორბენაძე, ფირცხალაიშვილი

მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

გაფრთხილება: გოგიბერიძე, ხაჭიპერაძე

მსაჯი: ჯ. ბუიშვილი

1 500 მაყურებელი

**ბაია 4:2 კოლხეთი**

1:0 ნურნუმია (2), 1:1 გელაჭეიშვილი (7), 2:1 ქირია (12), 2:2 გულუა (16), 3:2 ჟვანია (48), 4:2 ნურნუმია (62პ)

**ბაია:** ზარქუა, პაჭკორია, გ. ჟვანია, ქვარცხავა, გუგუჩია (სიხარულია 88), ეხვაია, რაფავა (ქაშაკაშვილი 67), ვართაგავა, ნურნუმია, ქირია, სვირავა (კაკუშაძე 46)

*სათადარიგონი:* მაქაცარია, ნ. შონია, დ. კუტალია, კ. შონია

მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი

**კოლხეთი:** გ. შენგელია (ჩემია 55), თურქია, ლვანია, გ. სიჭინავა (ცხვიტარია 51), გელაჭეიშვილი, ლუსტა, აბურჯანია, გ. ციკოლია, გოგონაია (წიქარიშვილი 59), ლემონჯავა, გულუა

*სათადარიგონი:* მ. რუსია, გვიჩია, გოგნაძე, გვალია

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

გაფრთხილება: გოგონაია, სიჭინავა

მსაჯი: ხ. გაგნიძე

400 მაყურებელი

**ხობი 2:0 მეშახტე**

1:0, 2:0 ლომაია (9, 76)

**ხობი:** ჭურღულია, ლ. გოგენია, გ. გოგენია, ა. კვირკველია, ჯამბურია, ბ. ბუკია (მ. შონია 77), ალანია, ლეფსაია, ფირცხელავა, გ. ლომაია (ნულაია 80), ცობეხია (გაგუა 67)

*სათადარიგონი:* ხარძეიშვილი, კ. გოგენია, რ. ჩიტაია, ჩაჩიბაია

მწვრთნელი: ლევან ნოდია

**მეშახტე:** დ. მემარნიშვილი, გოგუა (წიქორიძე 68), დონაძე, მაჩალაძე, ჯიშიაშვილი, გ. სიჭინავა, გოდერიძე, ი. კუტალია, სულაბერიძე, ლ. ჯოხაძე, ავალიშვილი

*სათადარიგონი:* ი. ორბელაძე, გ. გვენეტაძე, რ. კალანდაძე, ხაბურზანია, მერკვილაძე

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

გაფრთხილება: ავალიშვილი, კუტალია

მსაჯი: თ. გვანცელაძე

100 მაყურებელი

**მერანი (მ) 1:0 ბათუმი**

1:0 ციცხვაია (38პ)

**მერანი (მ):** ქვილითაია, ფარცვანია, ვ. იობაშვილი, ლომიძე, კვიტატიანი, წოწორია, გ. ილურიძე, ლ. ტორაძე (პაპადოპულოსი 89), ჩომახიძე (ა. ნოზაძე 70), დ. თოდუა (დ. ჩხიკვაძე 61), ციცხვაია

*სათადარიგონი:* ენდელაძე, გ. სილაგავა, ო. ტორაძე, შეროზია

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

**ბათუმი:** თოთლაძე, მ. ფარტენაძე, ლ. მახარაძე, თედორაძე, რამიშვილი, გ. გოგიტიძე (ლ. კალანდაძე 61), ე. გრიგალაშვილი, ბ. მახარაძე, სამსეიშვილი, მ. ჯორბენაძე, ტულუში (მამეიშვილი 74)

*სათადარიგონი:* მერაბიშვილი, გოგიტაური, თ. კაკალაძე

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: რამიშვილი, თოთლაძე, წოწორია, იობაშვილი, თედორაძე, სამსეიშვილი, ლ. ტორაძე

მსაჯი: გ. ვადაჭკორია

300 მაყურებელი

**ზესტაფონი 2 1:2 ტორპედო 2008**

1:0 ბერიძე (5), 1:1 იმედაძე (23), 1:2 ქუთათელაძე (48)

**ზესტაფონი 2:** ძაძამია, კვესიეშვილი, კაჭკაჭიშვილი, ხიხაძე, ი. ხვადაგიანი, ბერუაშვილი (არეშიძე 61), ბერიძე (კვირიკეიშვილი 46), ჯულელი, კენჭოშვილი, ჩასემი (ა. ლაბაძე 75), ჭანკოტაძე

*სათადარიგონი:* მდივანი, ც. ბუკია, ვ. ტაბატაძე, გ. ხაჩიძე

მწვრთნელი: მალხაზ ლონლაძე

**ტორპედო 2008:** მიგინეიშვილი, ჩხარტიშვილი, ბიბილაშვილი, ხარებავა, ბესარაშვილი, ლომაშვილი (ჭანკვეტაძე 87), მ. კობერიძე (ლ. კორკოტაძე 69), ბ. ჩხეტიანი, ზ. ქუთათელაძე (ღლონტი 67), იმედაძე, გურული

*სათადარიგონი:* კუჭუხიძე, ვაჩიბერაძე, ცაგარეიშვილი, ჩიხლაძე

მწვრთნელი: კახა კარანაძე

გაფრთხილება: ჩხარტიშვილი

მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი

100 მაყურებელი

### XXIII ტური

29 მარტი

მერანი (მ) 1:0 ზესტაფონი 2
ხობი 0:2 ბაია
სამტრედია 4:0 ჭიათურა
გურია 1:0 კოლხეთი
მეშახტე – ტორპედო 2008 ჩაიშალა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 21 | 15 | 2 | 4 | 39:16 | 47 |
| ბაია | 21 | 14 | 5 | 2 | 39:11 | 47 |
| მერანი (მ) | 21 | 13 | 6 | 2 | 31:15 | 45 |
| კოლხეთი | 21 | 9 | 4 | 8 | 28:23 | 31 |
| ხობი | 21 | 9 | 3 | 9 | 24:33 | 30 |
| ტორპედო 2008 | 20 | 8 | 2 | 10 | 18:15 | 26 |
| გურია | 21 | 7 | 4 | 10 | 28:32 | 25 |
| ჭიათურა | 21 | 7 | 2 | 12 | 27:34 | 23 |
| ბათუმი | 20 | 6 | 4 | 10 | 23:32 | 22 |
| ზესტაფონი 2 | 21 | 5 | 5 | 11 | 19:29 | 20 |
| მეშახტე | 20 | 1 | 3 | 16 | 9:45 | 6 |

# ელიტ-ლიგა

### 1992-წლიანები

აკადემია 2:4 ამერი-2
აკადემია-92 0:1 ნ. დინამო
ავაზა 3:0 შევარდენი
ამერი 1:1 გორი
35-ე სკოლა 1:2 დინამო
გარეჯი 2:1 იმედი
ოლიმპიკი 1:1 თბილისი

გადადებული მატჩი

ქართლი 2:2 35-ე სკოლა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 14 | 1 | 0 | 63:6 | 43 |
| ამერი | 15 | 10 | 2 | 3 | 35:14 | 32 |
| ქართლი | 14 | 9 | 5 | 0 | 29:13 | 32 |
| ნ. დინამო | 15 | 8 | 2 | 5 | 33:27 | 26 |
| ავაზა | 14 | 8 | 1 | 5 | 31:18 | 25 |
| ოლიმპიკი | 15 | 7 | 4 | 4 | 26:21 | 25 |
| თბილისი | 15 | 7 | 3 | 5 | 32:22 | 24 |
| 35-ე სკოლა | 15 | 6 | 2 | 6 | 25:19 | 20 |
| იმედი | 15 | 5 | 2 | 8 | 21:32 | 17 |
| შევარდენი | 15 | 4 | 3 | 8 | 21:27 | 15 |
| გარეჯი | 15 | 4 | 3 | 8 | 18:39 | 15 |
| აკადემია-92 | 15 | 4 | 1 | 10 | 17:33 | 13 |
| ამერი-2 | 15 | 3 | 0 | 12 | 20:54 | 9 |
| აკადემია | 15 | 0 | 1 | 14 | 8:54 | 1 |

### 1993-წლიანები

აკადემია-2 2:0 ვეფხვები-2
შევარდენი 2:1 ავაზა
იმედი 2:0 მთ. გლობუსი
ქუთაისი 1:3 ოლიმპიკი
35-ე სკოლა-2 0:0 საბურთალო
35-ე სკოლა-3 0:4 35-ე სკოლა-4
ნ.დინამო-1 5:1 აკადემია-1
ნ.დინამო-2 1:5 35-ე სკოლა-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო-1 | 15 | 13 | 1 | 1 | 66:7 | 40 |
| აკადემია-1 | 15 | 12 | 0 | 3 | 54:25 | 36 |
| შევარდენი | 15 | 11 | 2 | 2 | 35:16 | 35 |
| 35-ე სკოლა-1 | 15 | 11 | 1 | 3 | 49:19 | 34 |
| ავაზა | 15 | 9 | 1 | 5 | 37:23 | 28 |
| საბურთალო | 15 | 8 | 4 | 3 | 37:17 | 28 |
| ოლიმპიკი | 15 | 7 | 4 | 4 | 36:19 | 25 |
| მთ. გლობუსი | 14 | 6 | 4 | 4 | 36:22 | 22 |
| ვეფხვები-2 | 15 | 5 | 4 | 6 | 21:22 | 19 |
| 35-ე სკოლა-2 | 15 | 5 | 4 | 6 | 31:36 | 19 |
| ნ.დინამო-2 | 14 | 5 | 3 | 6 | 26:22 | 18 |
| ამერი | 14 | 5 | 2 | 7 | 20:33 | 17 |
| 35-ე სკოლა-4 | 15 | 4 | 2 | 9 | 15:26 | 14 |
| აკადემია-2 | 15 | 4 | 1 | 10 | 21:49 | 13 |
| ქუთაისი | 14 | 3 | 2 | 9 | 15:33 | 11 |
| ვეფხვები | 14 | 2 | 2 | 10 | 17:46 | 8 |
| იმედი | 15 | 2 | 2 | 11 | 16:53 | 8 |
| 35-ე სკოლა-3 | 14 | 0 | 1 | 13 | 13:77 | 1 |

### 1994-წლიანები

#### I ჯგუფი

ერთობა 0:3 35-ე სკოლა-1
ავაზა 0:1 35-ე სკოლა-3
საბურთალო 0:7 ლოკომოტივი
ვეფხვები 7:0 აკადემია-1
ამერი 0:1 ნ. დინამო-1
თბილისი-2 1:2 აკადემია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 14 | 13 | 1 | 0 | 72:3 | 40 |
| 35-ე სკოლა-1 | 13 | 12 | 1 | 0 | 49:8 | 37 |
| ნ. დინამო-1 | 14 | 10 | 1 | 3 | 36:11 | 31 |
| ამერი | 14 | 8 | 0 | 6 | 30:20 | 24 |
| აკადემია | 14 | 6 | 5 | 3 | 20:19 | 23 |
| საბურთალო | 12 | 7 | 1 | 4 | 33:27 | 22 |
| თბილისი-2 | 14 | 6 | 1 | 7 | 26:34 | 19 |
| ვეფხვები | 14 | 5 | 3 | 6 | 21:33 | 18 |
| 35-ე სკოლა-3 | 14 | 4 | 2 | 8 | 22:31 | 14 |
| ერთობა | 13 | 1 | 1 | 11 | 8:33 | 4 |
| ავაზა | 13 | 1 | 0 | 12 | 11:51 | 3 |
| აკადემია-1 | 13 | 0 | 0 | 13 | 1:59 | 0 |

#### II ჯგუფი

გორი 0:1 ამერი-2
ოლიმპიკი 5:0 35-ე სკოლა-2
ვეფხვები-2 3:0 ნ. დინამო-2
შევარდენი 3:1 35-მეტეხი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 12 | 11 | 0 | 1 | 31:8 | 33 |
| იმედი | 11 | 8 | 0 | 3 | 36:12 | 24 |
| აკადემია-94 | 11 | 7 | 2 | 2 | 28:10 | 23 |
| თბილისი-1 | 11 | 6 | 4 | 1 | 26:11 | 22 |
| ოლიმპიკი | 11 | 6 | 2 | 3 | 22:13 | 20 |
| 35-მეტეხი | 12 | 5 | 1 | 6 | 24:23 | 16 |
| ვეფხვები-2 | 10 | 3 | 3 | 4 | 16:23 | 12 |
| 35-ე სკოლა-2 | 12 | 3 | 0 | 9 | 14:48 | 9 |
| ამერი-2 | 11 | 2 | 2 | 7 | 15:23 | 8 |
| გორი | 10 | 2 | 1 | 7 | 12:22 | 7 |
| ნ. დინამო-2 | 11 | 0 | 1 | 10 | 6:37 | 1 |

### 1995-წლიანები

საბურთალო 0:3 ნ. დინამო
ავაზა-1 0:3 აკადემია-95
აკადემია-1 4:0 35-ე სკოლა-1
ავაზა-2 4:1 35-ე სკოლა-2
35-ე სკოლა-3 2:2 პერეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო | 12 | 11 | 0 | 1 | 55:4 | 33 |
| აკადემია-95 | 12 | 8 | 1 | 3 | 35:10 | 25 |
| აკადემია-1 | 12 | 8 | 0 | 4 | 20:9 | 24 |
| ავაზა-2 | 12 | 7 | 0 | 5 | 24:25 | 21 |
| პერეთი | 12 | 6 | 3 | 3 | 23:24 | 21 |
| საბურთალო | 12 | 6 | 2 | 4 | 37:27 | 20 |
| 35-ე სკოლა-1 | 12 | 5 | 1 | 6 | 34:29 | 16 |
| ავაზა-1 | 12 | 3 | 0 | 9 | 18:30 | 9 |
| 35-ე სკოლა-2 | 12 | 1 | 1 | 10 | 9:59 | 4 |
| 35-ე სკოლა-3 | 12 | 0 | 2 | 10 | 18:56 | 2 |

### 1996-წლიანები

ნ. დინამო-2 1:11 ჩემპიონი
აკადემია-2 3:8 აკადემია-1
ლოკომოტივი 4:4 ნ. დინამო-1
ოლიმპიკი 5:1 იმედი
ვეფხვები-1 7:0 საბურთალო
ვეფხვები-2 0:8 თბილისი
ამერი 0:0 შევარდენი
35-ე სკოლა 0:0 გორი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გორი | 14 | 11 | 2 | 1 | 50:17 | 35 |
| 35-ე სკოლა | 14 | 10 | 4 | 0 | 60:13 | 34 |
| ჩემპიონი | 14 | 9 | 3 | 2 | 59:26 | 30 |
| შევარდენი | 14 | 8 | 2 | 4 | 30:13 | 26 |
| ნ. დინამო-1 | 14 | 8 | 2 | 4 | 56:42 | 26 |
| ოლიმპიკი | 13 | 8 | 1 | 4 | 36:15 | 25 |
| ოლიმპი | 14 | 8 | 0 | 6 | 43:16 | 24 |
| აკადემია-1 | 14 | 7 | 3 | 4 | 46:32 | 24 |
| ამერი | 15 | 6 | 5 | 4 | 36:37 | 23 |
| თბილისი | 14 | 7 | 1 | 6 | 32:27 | 22 |
| ვეფხვები-1 | 13 | 6 | 1 | 6 | 41:21 | 19 |
| აკადემია-2 | 14 | 4 | 3 | 7 | 24:36 | 15 |
| იმედი | 14 | 4 | 0 | 10 | 23:34 | 12 |
| საბურთალო | 14 | 3 | 2 | 9 | 28:56 | 11 |
| ლოკომოტივი | 14 | 2 | 2 | 10 | 20:43 | 8 |
| ვეფხვები-2 | 15 | 2 | 0 | 13 | 6:83 | 6 |
| ნ. დინამო-2 | 14 | 0 | 1 | 13 | 18:97 | 1 |

### 1997-წლიანები

ავაზა 5:1 საბურთალო
თბილისი-1 7:1 ნ. დინამო-1
თბილისი-2 7:0 ამერი
35-ე სკოლა-2 1:1 ლოკომოტივი
ნ. დინამო-2 2:4 იმედი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი-1 | 13 | 13 | 0 | 0 | 62:10 | 39 |
| 35-ე სკოლა-2 | 13 | 9 | 2 | 2 | 37:11 | 29 |
| ლოკომოტივი | 13 | 7 | 3 | 3 | 41:23 | 24 |
| იმედი | 13 | 6 | 3 | 4 | 33:24 | 21 |
| ავაზა | 13 | 6 | 3 | 4 | 24:20 | 21 |
| თბილისი-2 | 13 | 5 | 4 | 4 | 31:26 | 19 |
| საბურთალო | 13 | 6 | 0 | 7 | 35:33 | 18 |
| ნ. დინამო-1 | 13 | 5 | 2 | 6 | 31:42 | 17 |
| 35-ე სკოლა-1 | 12 | 5 | 0 | 7 | 23:39 | 15 |
| აკადემია | 12 | 3 | 3 | 6 | 24:29 | 12 |
| ამერი | 13 | 3 | 3 | 7 | 18:41 | 12 |
| ნ. დინამო-3 | 12 | 2 | 1 | 9 | 17:29 | 7 |
| ნ. დინამო-2 | 13 | 1 | 0 | 12 | 21:70 | 3 |

### 1998-წლიანები

ნ.დინამო-3 4:0 ამერი
აკადემია 3:0 ნ. დინამო-2
შევარდენი 0:0 გორი
ლოკომოტივი 3:1 ნ. დინამო-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 12 | 8 | 1 | 3 | 41:18 | 25 |
| გორი | 11 | 7 | 3 | 1 | 34:20 | 24 |
| აკადემია | 12 | 7 | 1 | 4 | 28:20 | 22 |
| ნ. დინამო-1 | 11 | 6 | 3 | 2 | 30:20 | 21 |
| ავაზა | 11 | 6 | 0 | 5 | 32:28 | 18 |
| შევარდენი | 12 | 5 | 1 | 6 | 25:26 | 16 |
| ნ. დინამო-3 | 11 | 4 | 1 | 6 | 24:36 | 13 |
| ამერი | 12 | 3 | 1 | 8 | 27:35 | 10 |
| ნ. დინამო-2 | 12 | 0 | 1 | 11 | 3:41 | 1 |





ქართველმა „ბორჯღალოსნებმა“ ვაჟკაცურად იბრძოლეს, ნამატჩევს კი ხატთან დაიჩოქეს...

# შორია იტალიამდე?

## საქართველო მეორეში სტუმარია

**საქართველოს** ნაკრებმა ერთა თასის პირველი წრე პირველ ადგილზე დაასრულა. გასამართი კი ერთი თამაში დარჩა — 2 აპრილს რუსები დებიუტანტ გერმანელებს ესტუმრებიან და დიდზე დიდი სასწაული უნდა მოხდეს, გამარჯვება გერმანელებს რომ დარჩეთ.

ანუ უკვე ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსები პორტუგალიელებს მეორე ადგილიდან ჩამოაბრძანებენ.

წინ კი მეორე წრეა და იმასაც შეგახსენებთ, რომ ერთა თასის ეს გათამაშება ამავე დროს მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპიცაა.

დებულებით, ერთა თასზე პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები ახალ ზელანდიაში პირდაპირ გაემგზავრებიან, ხოლო მესამეადგილოსანს ამ უფლების მოპოვება რეპეშაჟში მოუწევს.

მეორე წრის კალენდრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საუკეთესო განრიგი რუსებს აქვთ, რაკი პორტუგალიას და რუმინეთს მასპინძლობენ, საქართველოს ნაკრებს კი თბილისის ნაცვლად ნეიტრალურ მოედანზე, საფრანგეთში ეთამაშებიან.

ჩვენი კალენდარი უფრო რთულია, რაკი პორტუგალიასაც და რუმინეთსაც სტუმრად ვხვდებით. საკუთარი მოედნის ფაქტორი კი ზოგადად სპორტში და მით უფრო რაგბიში, უმნიშვნელო სულაც არ არის.

მეორე წრე გაისადაა, მარიუპოლში რუსების დამარცხების მერე კი ქართულ რაგბიში სამი ყურადსაღები ამბავი მოხდა: მსოფლიო რეიტინგში წავიწიეთ, მთავრობა ნაკრებს ყოველ მოგებაში პრემიას დაჰპირდა და მორაგბეებს დილომში ბაზაც გადაეცათ.

რეიტინგში მე-13 ადგილზე ვართ, რაც საუკეთესო მაჩვენებელია ქართული რაგბის ისტორიაში.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ რეიტინგში გვარიანი სიმჭიდროვეა — იტალია ოდენ 0,84 ქულით გვისწრებს, ტონგა კი 0,34 ქულით ჩამოგვრჩება.

იმედი ვიქონიოთ, რომ რაღა ტონგელები გადაგვისწრებენ — ჩვენ გადავუსწროთ იტალიელებს, რაც ფრიად სამწუხარო ამბავი უნდა გამოდგეს ექვსი ერის გათამაშების მომწყობთათვის.

რუსების დამარცხების მერე თბილისში დაბრუნებულ ჩვენს ნაკრებს აეროპორტში ზღვა ხალხთან ერთად სპორტის მინისტრი ნიკა რურუაც დახვდა და თქვა, თითო მორაგბეს 5 ათასი დოლარი ერგება პრემიის სახით.

მინისტრის თქმით, საპრემიო ფონდი მორაგბეთა ნაკრებისთვის მუდმივად იარსებებს და თუ გაიზრდება, თორემ შემცირება გამორიცხულია.

### სადღეისო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 5 | 4 | 1 | 0 | +90 | 14 |
| პორტუგალია | 5 | 3 | 1 | 1 | +40 | 12 |
| რუსეთი | 4 | 3 | 0 | 1 | +32 | 10 |
| რუმინეთი | 5 | 2 | 0 | 3 | +16 | 9 |
| ესპანეთი | 5 | 1 | 0 | 4 | -74 | 7 |
| გერმანია | 4 | 0 | 0 | 4 | -104 | 4 |

### რეიტინგი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ახალი ზელანდია | 92.68 |
| 2 | სამხრეთ აფრიკა | 89.45 |
| 3 | ავსტრალია | 85.86 |
| 4 | ირლანდია | 83.27 |
| 5 | არგენტინა | 81.56 |
| 6 | ინგლისი | 80.96 |
| 7 | უელსი | 80.59 |
| 8 | საფრანგეთი | 79.94 |
| 9 | ფიჯი | 75.24 |
| 10 | შოტლანდია | 75.23 |
| 11 | სამოა | 72.57 |
| 12 | იტალია | 71.23 |
| 13 | **საქართველო** | 70.39 |
| 14 | ტონგა | 70.05 |
| 15 | კანადა | 69.12 |
| 16 | იაპონია | 68.05 |
| 17 | რუსეთი | 66.18 |
| 18 | რუმინეთი | 64.26 |
| 19 | აშშ | 63.55 |
| 20 | ურუგვაი | 62.78 |
| 21 | პორტუგალია | 62.16 |
| 23 | ესპანეთი | 59.01 |
| 26 | გერმანია | 55.74 |



ქართული ლელო და, ტრიბუნაზე ქართველები ახმაურდნენ...



# Лело, лело, Сакартвело

**ერთი** კვირის წინ ქართველმა „ლელოებმა“ რუსეთის ნაკრები დაამარცხეს და ერთა თასის პირველი წრე — რომელიც ამავდროულად მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპია — პირველ ადგილზე ჩაამთავრეს.

რუსეთ — საქართველო უბრალო თამაში არასდროს ყოფილა და ცხადია, ახლაც ასე იყო. უკრაინულ მარიუპოლში ჩატარებული ეს მატჩი ტელევიზორშიც ვნახეთ და ჩვენეული მიმოხილვაც შემოგთავაზეთ. დღეს კი რუსული sports.ru-ს გამოხმაურებას გაგაცნობთ, რომელმაც მიმოხილვას ასეთი სათაური წაუმძღვარა: **Лело, лело, Сакартвело...**

ქართველებთან მატჩს მართლა მოუთმენლად ველოდით. ქართველები ჩვენი პრინციპული მეტოქეები არიან და საქმე რეალურად პოლიტიკაში კი არა, სტატისტიკაშია. ქართველებზე უხერხული მეტოქე ჩვენ არ გვყავს: არც ერთი მოგება ბოლო 16 წელიწადში, ხოლო 2001 წლის მერე მათთან მატჩში 20 ქულაზე მეტი არ აგვიღია.

ქართველებთან მოგება კი რეალურად მოჩანდა — ჩვენ ძალიან კარგად დავიწყეთ ერთა თასის წლევანდელი გათამაშება. შინ ესპანელები გავანადგურეთ, პორტუგალიას და რუმინეთს კი სტუმრად ვძლიეთ. ჰოდა, მადა ჭამაში მოდისო...

სხვათა შორის ქართველებიც გვიფრთხილდნენ. მათი რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ თქვა: „ჩვენ საკმაოდ მძიმე სიტუაციაში ვართ, თუმცა მიზანი მუდამ ერთი გვაქვს — მოვდივართ, რომ მოვიგოთ და სხვა შედეგს არც განვიხილავთ.“

არ გვგონია, რომ ეს უბრალო კომპლიმენტი ყოფილიყოს. ქართველებმა რუმინეთს დაძაბულ ბრძოლაში მოუგეს, პორტუგალიასთან კი ფრე ითამაშეს... ჩვენთან მატჩში ქართველებს ოპტიმალური შემადგენლობა ჰყავდათ — 13 მორაგბე საფრანგეთში თამაშობს.

თავისი საქმე პოლიტიკოსებმაც გააკეთეს — რუსეთის და საქართველოს ორივე მატჩი ნეიტრალურ მოედანზე იმართება. ეს უკრაინაში ჩატარდა, მეორე კი საფრანგეთში გაიმართება.

რუსეთმა მატჩის ადგილად მარიუპოლი აირჩია. მშვენიერი სტადიონი, კარგი ამინდი... ai, რუსი გულშემატკივრებისთვის კი იქ ჩაღწევა გაჭირდა. ბევრი გულშემატკივარი ვერ ჩავიდა, ზოგს შეაგვიანდა და მატჩი დაწყებული იყო, სტადიონზე რომ მივიდა.

ქართველთა გულშემატკივრები უფრო მეტნიც იყვნენ და ორგანიზებულებიც. თბილისიდან 100 ქომაგი ჩავიდა. 2 000 კაციც დონეცკიდან, ხარკოვიდან, კიევიდან ჩავიდა, ერთი წუთით არ გაჩერებულან და მთელი თამაში ლელო, ლელო, საქართველოს გაბმულად იძახდნენ.

ადგილობრივი მცხოვრებლები, როგორც ჩანს, პირველად მოხვდნენ რაგბიზე და როგორც ხდება ხოლმე, იმ გუნდს ქომაგობდნენ, რომელიც უკეთესად თამაშობდა — ქართველებს.

შესვენებაზე (19:6) ქართველები არხეინად გავიდნენ და ღრმად იყვნენ დარწმუნებულები საკუთარ გამარჯვებაში. სხვაგვარად როგორ ავხსნათ ქართული დელეგაციის ოთახიდან გამოსული მხიარული შეძახილები და სიმღერები, რაც ძალიან კარგად გვესმოდა პრესცენტრში მყოფ ჟურნალისტებს.

მეორე ტაიმი ჩვენებმა შესანიშნავად დაიწყეს და ზედიზედ 15 ქულა მოაგროვეს. ბოლოსკენ იმედიც გაგვიჩნდა, რომ თამაში სასურველი ანგარიშით დასრულდებოდა, მაგრამ ქართველთა ბოლო შეტევა (ჩვენი უკანა ხაზის სრულად მოშლის თანხლებით) ირაკლი მაჩხანელის ლელოთი დასრულდა — რევანში არც ამჯერად შედგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

WORLD FIGURE SKATING CHAMPIONSHIPS LOS ANGELES 2009

# ელენე გედევანიშვილის

მსოფლიოს ჩემპიონატი თავისთავად ხომ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრია და ლოს ანჯელესში დასრულებულ ამ ტურნირს დამატებითი მნიშვნელობაც ჰქონდა: აქ წყდებოდა გაისად ვანკუვერის ოლიმპიადაზე რომელ ქვეყანას რამდენი სპორტსმენის გაყვანის უფლება მიეცემოდა. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შეზღუდვა დააწესა. ერთეულთა თანრიგებში 30-30 მოსრიალე, 20 სპორტული წყვილი და 24 მოცეკვავე წყვილი — ვანკუვერში ამდენი სორტსმენი გავა ყინულზე. თუმცა ქვოტების გადანაწილება ჩვენ ნაკლებად გვადარდებს. ელენე გედევანიშვილი ათეულში შევიდა, რითაც საქართველოს ორი ადგილი ერგება ვანკუვერში, მაგრამ, აბა, სად გვყავს ორი სპორტსმენი გოგონა?



ელენე გედევანიშვილი

## სასწაული, რომელიც ვერ მოხდებოდა



ალიონა სავჩენკო და რობინ შოლკოვი

### წყვილები

მოკლე პროგრამა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ალიონა სავჩენკო/რობინ შოლკოვი | გერმანია | 72.30 |
| 2 | იუკო კავაგუტი/ალექსანდრ სმირნოვი | რუსეთი | 68.94 |
| 3 | დან ჟანგი/ჰაო ჟანგი | ჩინეთი | 67.42 |
| 4 | მარია მუხორტოვა/მაქსიმ ტრანკოვი | რუსეთი | 66.88 |
| 5 | კინგ პანგი/ჟიან ტონგი | ჩინეთი | 65.18 |
| 6 | ტატიანა ვოლოსოჟარი/სტანისლავ მოროზოვი | უკრაინა | 64.10 |
| | თავისუფალი პროგრამა | | |
| 1 | ალიონა სავჩენკო/რობინ შოლკოვი | გერმანია | 131.18 |
| 2 | დან ჟანგი/ჰაო ჟანგი | ჩინეთი | 119.10 |
| 3 | იუკო კავაგუტი/ალექსანდრ სმირნოვი | რუსეთი | 117.45 |
| 4 | კინგ პანგი/ჟიან ტონგი | ჩინეთი | 115.90 |
| 5 | ტატიანა ვოლოსოჟარი/სტანისლავ მოროზოვი | უკრაინა | 111.51 |
| 6 | ჯესიკა დუბე/ბრიუს დევისონი | კანადა | 111.02 |
| | საბოლოო შედეგი | | |
| 1 | ალიონა სავჩენკო/რობინ შოლკოვი | გერმანია | 203.48 |
| 2 | დან ჟანგი/ჰაო ჟანგი | ჩინეთი | 186.52 |
| 3 | იუკო კავაგუტი/ალექსანდრ სმირნოვი | რუსეთი | 186.39 |
| 4 | კინგ პანგი/ჟიან ტონგი | ჩინეთი | 181.08 |
| 4 | მარია მუხორტოვა/მაქსიმ ტრანკოვი | რუსეთი | 177.89 |
| 5 | ტატიანა ვოლოსოჟარი/სტანისლავ მოროზოვი | უკრაინა | 175.61 |

**ალიონა სავჩენკოს** და რობინ შოლკოვის დამმარცხებლები მეორე წელია, არავინაა. გერმანელებმა შარშანდელი შედეგი გაიმეორეს და უკვე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებად იწოდებიან.

მოკლე პროგრამის შემდეგ სავჩენკო და შოლკოვი პირველები იყვნენ და თავისუფალ პროგრამაში ბოლოსწინა გამოდიოდნენ. ბოლო გამოსვლა მათი უახლოესი მდევრების, გარუსებული იაპონელის იუკო კავაგუტის და ალექსანდრ სმირნოვის იყო.

თუმცა, როცა რუსების გამოსვლის დრომ მოაწია, უკვე ცხადი იყო, რომ სავჩენკოს და შოლკოვის დამწევნი აღარ იყვნენ. გერმანულმა წყვილმა პრაქტიკულად უნაკლოდ შეასრულა თავისუფალი პროგრამა „შინდლერის სიის“ საუნდტრეკის თანხლებით. ერთი ეგ იყო, რომ შოლკოვს ერთ მომენტში ფეხი აერია, მაგრამ შეცდომა უმალ გამოასწორა. პროგრამის დასრულების მერე კი მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ტაშს დასასრული კარგა ხანს არ უჩანდა.

131.18 — გერმანელების პირადი რეკორდიც გამოდგა და როგორც მოგახსენეთ, კავაგუტის და სმირნოვს სასწაულებიც რომ ჩაედინათ, მათი ჩემპიონობა წარმოუდგენელი იყო.

ჰოდა, ამას რომ გრძნობდნენ, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მათ სრიალს ხალისი დააკლდა და ჯამში მეორე ადგილიც დაკარგეს.

## ელენე გედევანიშვილს

საოცრად გაუმართლა — წილისყრისას ბოლო ადგილი ერგო, რაც უმნიშვნელო უპირატესობა არ არის და ელენეს ეს უპირატესობა ურიგოდაც არ გამოუყენებია. მერვე ადგილი მოკლე პროგრამის მერე, დაგვეთანხმებით, სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგია.

მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ ელენეს თავისუფალ პროგრამაში ტრადიციულად უჭირს ხოლმე. თუნდაც თვის დასაწყისში ჩატარებული მსოფლიოს იუნიორთა ჩემპიონატი გავიხსენოთ, სადაც მოკლე პროგრამის მერე ელენე სულაც ლიდერი იყო და მერე ისე ცუდად ისრიალა, ოდენ მეექვსე ადგილზე გავიდა.

ახლაც, ლოს ანჯელესში, ელენეს თავისუფალ პროგრამაში უარესი შედეგი ჰქონდა და ჯამურ მეათე ადგილს დასჯერდა.

ოღონდაც, ერთხელაც ვთქვათ, რომ მსოფლიოში მეათე სპორტსმენობა, უდავოდ წარმატებაა.

მსოფლიოს ჩემპიონი კი კორეელი იუ-ნა კიმი გახდა, რომელმაც პრაქტიკულად, მოკლე პროგრამის მერევე გაინაღდა პირველობა — იმხელა უპირატესობა მოიპოვა, რომ სასწაული იქნებოდა, ჩემპიონი ვერ გამხდარიყო.

ერთმა რუსმა მწვრთნელმა მასზე ისიც თქვა, ამ გოგოს რომ ვუყურებ, ვგრძნობ, რომ მწვრთნელი ველარაფერს ასწავლის, სრულყოფილებისთვის მიღწეული აქვსო.

იუ-ნა კიმი წინა ორ ჩემპიონატზე მესამე იყო.

შარშანწინდელი და შარშანდელი ჩემპიონები, მიკი ანდო და მაო ასადა მესამე-მეოთხე ადგილებზე გავიდნენ.

ვერცხლი კანადელმა ჟოან როშეტმა მოიგო, ვინაც შარშან მე-5 იყო.

ჩემპიონატის იმედგაცრუება კი იტალიელი კაროლინა კოსტნერი გახლდათ. შარშანდელმა ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა თავისუფალ პროგრამაში ოდენ მე-15 ადგილი დაიკავა და ჯამში მე-12 ადგილზე გავიდა.

**გიორგი დარჯანია**

## სრულყოფილება

### ქალები

მოკლე პროგრამა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | იუ-ნა კიმი | ს. კორეა | 76.12 |
| 2 | ჟოან როშეტი | კანადა | 67.90 |
| 3 | მაო ასადა | იაპონია | 66.06 |
| 4 | მიკი ანდო | იაპონია | 64.12 |
| 5 | კაროლინა კოსტნერი | იტალია | 63.18 |
| 6 | ლაურა ლეპისტო | ფინეთი | 59.66 |
| 8 | ელენე გედევანიშვილი | საქართველო | 58.82 |
| | თავისუფალი პროგრამა | | |
| 1 | იუ-ნა კიმი | ს. კორეა | 131.59 |
| 2 | მიკი ანდო | იაპონია | 126.26 |
| 3 | ჟოან როშეტი | კანადა | 123.39 |
| 4 | მაო ასადა | იაპონია | 122.03 |
| 5 | რეიჩელ ფლატი | აშშ | 113.11 |
| 6 | ალიონა ლეონოვა | რუსეთი | 110.73 |
| 11 | ელენე გედევანიშვილი | საქართველო | 103.66 |
| | საბოლოო შედეგი | | |
| 1 | იუ-ნა კიმი | ს. კორეა | 207.71 |
| 2 | ჟოან როშეტი | კანადა | 191.29 |
| 3 | მიკი ანდო | იაპონია | 190.38 |
| 4 | მაო ასადა | იაპონია | 188.09 |
| 5 | რეიჩელ ფლატი | აშშ | 172.41 |
| 6 | ლაურა ლეპისტო | ფინეთი | 170.07 |
| 10 | ელენე გედევანიშვილი | საქართველო | 162.48 |

### ვინ რამდენი მოიხვეჭა

მსოფლიოს ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 710 ათასი დოლარი იყო და ოთხივე დისციპლინაში 12-12 საუკეთესოზე გადანაწილდა. ჩამონათვალში პირველი თანხა კაცების და ქალების დისციპლინებში გამარჯვებულთა ჰონორარებია, მეორე თანხა კი წყვილებისა

| | | |
|---|---|---|
| I ადგილი: 45 000; 67 500 | V ადგილი: 10 000; 15 000 | IX ადგილი: 3 500; 5 250 |
| II ადგილი: 27 000; 40 500 | VI ადგილი: 7 000; 10 500 | X ადგილი: 3 000; 4 500 |
| III ადგილი: 18 000; 27 000 | VII ადგილი: 6 000; 9 000 | XI ადგილი: 2 500; 3 750 |
| IV ადგილი: 13 000; 19 500 | VIII ადგილი: 5 000; 7 500 | XII ადგილი: 2 000; 3 000 |




# მსოფლიო ტოპ-ათეული



## რუსული ოქრო სომხური სპარტაკით

**რუსებმა**, ოქსანა დომნინამ და მაქსიმ შაბალინმა თავისუფალი ცეკვა არამ ხაჩატურიანის „სპარტაკის" თანხლებით შეასრულეს და 100.85 ქულა მიიღეს, რაც სეზონის საუკეთესო მაჩვენებელია. სწორედ ამ შედეგის გამოისობით გადაასწრეს ამერიკელებს და მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ.

ცეკვა

| | | | |
|---|---|---|---|
| | სავალდებულო ცეკვა | | |
| 1 | ოქსანა დომნინა/მაქსიმ შაბალინი | რუსეთი | 40.27 |
| 2 | ტატინ ბელბინი/ბენჯამინ აგოსტო | აშშ | 39.65 |
| 3 | ტესა ვირტუე/სკოტ მოირი | კანადა | 39.37 |
| 4 | მერილ დევისი/ჩარლი უაითი | აშშ | 37.73 |
| 5 | იანა ხოხლოვა/სერგეი ნოვიცკი | რუსეთი | 37.34 |
| 6 | ნატალი პეშალატი/ფაბიან ბურზა | საფრანგეთი | 36.54 |
| | ორიგინალური ცეკვა | | |
| 1 | ტატინ ბელბინი/ბენჯამინ აგოსტო | აშშ | 65.16 |
| 2 | ოქსანა დომნინა/მაქსიმ შაბალინი | რუსეთი | 64.68 |
| 3 | მერილ დევისი/ჩარლი უაითი | აშშ | 62.60 |
| 4 | ნატალი პეშალატი/ფაბიან ბურზა | საფრანგეთი | 61.83 |
| 5 | იანა ხოხლოვა/სერგეი ნოვიცკი | რუსეთი | 61.68 |
| 6 | ტესა ვირტუე/სკოტ მოირი | კანადა | 61.05 |
| | თავისუფალი ცეკვა | | |
| 1 | ოქსანა დომნინა/მაქსიმ შაბალინი | რუსეთი | 100.85 |
| 2 | ტატინ ბელბინი/ბენჯამინ აგოსტო | აშშ | 100.27 |
| 4 | მერილ დევისი/ჩარლი უაითი | აშშ | 100.03 |
| 3 | ტესა ვირტუე/სკოტ მოირი | კანადა | 99.98 |
| 6 | ნატალი პეშალატი/ფაბიან ბურზა | საფრანგეთი | 95.99 |
| 5 | იანა ხოხლოვა/სერგეი ნოვიცკი | რუსეთი | 94.39 |
| | საბოლოო შედეგი | | |
| 1 | ოქსანა დომნინა/მაქსიმ შაბალინი | რუსეთი | 206.30 |
| 2 | ტატინ ბელბინი/ბენჯამინ აგოსტო | აშშ | 205.08 |
| 3 | ტესა ვირტუე/სკოტ მოირი | კანადა | 200.40 |
| 4 | მერილ დევისი/ჩარლი უაითი | აშშ | 200.36 |
| 6 | ნატალი პეშალატი/ფაბიან ბურზა | საფრანგეთი | 194.36 |
| 5 | იანა ხოხლოვა/სერგეი ნოვიცკი | რუსეთი | 193.41 |

კაცები

| | | | |
|---|---|---|---|
| | მოკლე პროგრამა | | |
| 1 | ბრაიან ჟუბერი | საფრანგეთი | 84.40 |
| 2 | ევან ლისაჩეკი | აშშ | 82.70 |
| 3 | პატრიკ ჩანი | კანადა | 82.55 |
| 4 | ტომაშ ვერნერი | ჩეხეთი | 80.36 |
| 5 | ტაკაჰიკო კოზუკა | იაპონია | 79.35 |
| 6 | სამუელ კონტესტი | იტალია | 78.50 |
| 40 | ბექა შანყულაშვილი | საქართველო | 42.80 |
| 45 | გიორგი კენჭაძე | ბულგარეთი | 39.90 |
| | თავისუფალი პროგრამა | | |
| 1 | ევან ლისაჩეკი | აშშ | 153.59 |
| 2 | პატრიკ ჩანი | კანადა | 155.03 |
| 3 | ბრაიან ჟუბერი | საფრანგეთი | 151.57 |
| 4 | ტომაშ ვერნერი | ჩეხეთი | 151.35 |
| 5 | სამუელ კონტესტი | იტალია | 148.47 |
| 6 | დენის ტენი | ყაზახეთი | 142.89 |
| | საბოლოო შედეგი | | |
| 1 | ევან ლისაჩეკი | აშშ | 242.23 |
| 2 | პატრიკ ჩანი | კანადა | 237.58 |
| 3 | ბრაიან ჟუბერი | საფრანგეთი | 235.97 |
| 4 | ტომაშ ვერნერი | ჩეხეთი | 231.71 |
| 5 | სამუელ კონტესტი | იტალია | 226.97 |
| 6 | ტაკაჰიკო კოზუკა | იაპონია | 222.18 |

## ამერიკა 13 წლის მერე

**ამერიკა** ამ დღეს მთელი 13 წელი ელოდა. 1996-ში ტოდ ელდრიჯმა ამერიკას მსოფლიოს ჩემპიონის ოქრო რომ მოუტანა, მას მერე კაცებში მსოფლიოს ჩემპიონი აღარ ჰყოლიათ.

ახლა კი ჩემპიონი ევან ლისაჩეკი გახდა და თანაც ის ლოს ანჯელესიდანაა. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რაც ხდებოდა დარბაზში, როცა ლისაჩეკმა მიჯრით და უნაკლოდ შეასრულა ყველა სალტო თუ ექსელი. დარბაზი ისე ღრიალებმა, რომ გერშვინის „რაფსოდია ბლუზის სტილში" ლამის გადაფარა — ჩემპიონმა ამ მუსიკაზე შეასრულა თავისუფალი პროგრამა.

ლისაჩეკს აქამდე ორი ბრინჯაო ჰქონდა მოგებული მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ოქროსმედალოსნად ქცეულმა კი ეს თქვა: „თავიდან არც ჩემპიონობაზე ვფიქრობდი და არც პოდიუმზე. თანაც განთესვაშიც არ გამიმართლა — მოკლე პროგრამისას პირველ ჯგუფში მოვხვდი. ერთადერთი, ის მინდოდა, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე კარგად მესრიალა და არ შევრცხვენილიყავი."

ბრაიან ჟუბერმა კი კოლექცია სრულად შეაგროვა. მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს ვერცხლიც ჰქონდა და სისრულისთვის ბრინჯაო აკლდა.

# მოლოდინი დიდი დაბრუნებისა


მიშელ კვანი

**წინა კვირაში**, იმის გარდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა, ფიგურულ სრიალში ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც მოხდა: მიშელ კვანი ყინულს დაუბრუნდა.

ფიგურული სრიალის დიდების დარბაზი რომ არსებობდეს, ჩინური წარმოშობის ამერიკელ მოსრიალეს იქ ფართოდ გაუღებდნენ კარს. სხვა რომ არაფერი, კვანი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია. ამის გარდა, ცხრაჯერ იყო ამერიკის ჩემპიონი, და ერთი ევაა, ოლიმპიური ჩემპიონი ვერაფრით გახდა: ნაგანოში (1998) მეორე ადგილზე გავიდა, ოთხი წლის მერე სოლტ ლეიკ სიტიში კი მესამე იყო.

მიშელ კვანი ყინულს ტრავმამ ჩამოაშორა, მკურნალობამ დიდი დრო წაიღო და ბარემ მისი დაბრუნების იმედიც გადაეწურა.

ახლა კი კვანი ვარჯიშს ისევ შეუდგა და იმედიც გაჩნდა, რომ გაისად ვანკუვერის ოლიმპიადაზე გამოვა.

კვანის დაბრუნების სურვილს ის ფაქტიც აძლიერებს, რომ მისი საქმეს ჩამოშორების მერე ამერიკელებს ამ სახეობაში ღირებული არაფერი გაუკეთებიათ. ქალთა თანრიგში ამერიკელები ფაქტობრივად იმავე ვითარებაში აღმოჩნდნენ, როგორშიც რუსი კაცები — ევგენი პლუშჩენკოს წასვლის მერე ადარაფრად ვარგიან.

მიშელ კვანმა კი თქვა: „პირველად, დიდი ხნის მერე, ტკივილს აღარ ვგრძნობ და სრიალი უზარმაზარ სიამოვნებას მანიჭებს. ჯერჯერობით ოლიმპიადისთვის არ ვემზადები, უბრალოდ მინდა გავიგო, შევძლებ თუ ვერა, ძველებური ფორმის აკრეფას. 17-18 წლის გოგო აღარ ვარ და ესეც გასათვალისწინებელია." მიშელ კვანი 28 წლისაა.

ამერიკაში კი საშა კოენის დაბრუნებაზეც ალაპარაკდნენ. ეს გოგო, შეგახსენებთ, ტურინის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანია.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე კოენი სამოყვარულო სპორტს ჩამოშორდა და მას მერე ყინულის შოუებში იღებს მონაწილეობას. ახლა კი უთქვამს, ზაფხულში ერთი თვე სრულფასოვნად უნდა ვივარჯიშო და შევამოწმო, მიღირს თუ არა დიდ სპორტში დაბრუნებაო.


საშა კოენი

# ვითარდება, მაგრამ იქ მაინც ჯობია...

**„ენერჯი ინვესტის" ფორვარდი რევაზ დიდია იმედისმომცემ კალათბურთელად ითვლება და ერთ ხანს ფრანგულ „პარი ბასკეტ რასინგში" თამაშობდა. ამ სეზონში კი 203 სმ სიმაღლის კალათბურთელი ჩემპიონატის ლიდერს ყოველ მატჩში საშუალოდ 11 ქულით ეხმარება...**



**—„ენერჯი ინვესტით" დავიწყოთ. რას იტყვი შენს გუნდზე?**

— ძალიან ძლიერი კალათბურთელებით არის დაკომპლექტებული. სწორ, თანამედროვე კალათბურთს ვთამაშობთ. ჯერჯერობით, სუპერლიგის ლიდერებიც ვართ, თუმცა სერიოზული კონკურენტებიც გვყავს, „ავიას" და ნტდ-ს სახით.

**— რასაც ახლა აკეთებ მოედანზე, ეს შენი მაქსიმუმია?**

— ბუნებით მაქსიმალისტი ვარ და აქედან გამომდინარე, სულ უფრო და უფრო მეტის მიღწევა მინდა. ამიტომ, შედეგი არასდროს მაკმაყოფილებს და ვთვლი, რომ მეტიც შემიძლია.

**— ახლა ქართულ გუნდში ხარ. რამდენად მნიშვნელოვანია საკუთარი მაყურებლის წინ თამაში?**

— თავისთავად, ქართველი გულშემატკივრისთვის თამაში სასიამოვნოა, მეორე მხრივ კი, უცხოეთში მეტი პერსპექტივაა. ვფიქრობ, უცხოური გამოცდილებით უფრო მეტს მივაღწევ.

**— ნაკრებზე რას იტყვი?**

— შეკრებაზე გამომიძახეს, მაგრამ განაცხადში ველარ მოვხვდი. არა უშავს, ყველაფერი წინ მაქვს და თავს არ დავზოგავ.

**— საყვარელი კალათბურთელი?**

— კობი ბრაიანტი. ძალიან მომწონს მისი თამაში. ისე, ნბა-ს ნებისმიერი კალათბურთელის გვერდით სიამოვნებით ვითამაშებდი.

**— როგორ აფასებ ქართულ კალათბურთში დღეს არსებულ მდგომარეობას?**

— ვფიქრობ, საქართველოში კალათბურთი ვითარდება და პერსპექტივაც აქვს. თუნდაც ამ სეზონის სუპერლიგა ავიღოთ: საკმაოდ მაღალ დონეზეა ორგანიზებული და დაძაბული თამაშებიც მიდის.

**— კალათბურთმა ცნობად ადამიანად თუ გაქცია?**

— კალათბურთში ჩახედული ადამიანები, რა თქმა უნდა, მიცნობენ. ეს დისკომფორტს არ მიქმნის. პირიქით, სასიამოვნოცაა ხალხის ყურადღება.

**— განტვირთვის და გართობის საშუალებებზე რას გვეტყვი?**

— თავისუფალ დროს უმეტესად მეგობრებთან ერთად ვატარებ. მეტნაკლებად ყველანაირი გართობა მომწონს განწყობის მიხედვით. აი, სასმელს და სიგარეტს არ ვეტანები.

**ანა მახარაშვილი**

**5 აპრილს** ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართება სუპერლიგის „ყველა ვარსკვლავის" მატჩი-აქცია. „ოლ-სტარის" გამართვა თავიდან თბილისის სპორტის სასახლეში იგეგმებოდა, თუმცა ეს არენა აპრილში ძიუდოში ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს და სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის დროებით დაიხურა. „ყველა ვარსკვლავის" მატჩისთვის კალათბურთელთა შერჩევა 3 აპრილის 12 საათამდე გაგრძელდება ვებგვერდზე www.superleague.ge.

## საქართველოს მე-19 ჩემპიონატი
### სუპერლიგა. ბოლო ტური

**სუპერლიგის** რეგულარული ჩემპიონატი რუსთაველი მატჩით დასრულდა, რაც სიმბოლურიცაა. გათამაშების უდავო ფავორიტმა „ენერჯი-ინვესტმა" ოფიციალურად „გამოაცხადა" მცირე შესვენება, რის შემდეგაც გუნდები პლეი ოფებით გააგრძელებენ ტიტულისკენ სვლას და ვნახოთ, ვინ რისი მაქნისი იქნება ჩემპიონატის ბოლომდე...

თბილისი. 25 მარტი

**შსს 78:69 დინამო**

9:16 19:17 26:12 24:24

**შსს:** შენგელია (19), მიქაბერიძე (1), ბ. ნოზაძე, პატარაია (6), ფაიქრიძე (19); ბერუაშვილი (10), არველაძე, ქვილითაია, გოლეთიანი (4), ამაშუკელი, აბულაძე (11), ბაქრაძე (8)

**დინამო:** სორდია (12), ლაფანაშვილი (22), სიგუა (5), ქადარია (5), ხანიაშვილი (14); ბაქრაძე (2), ნანიტაშვილი (3), ი. დოლიძე, ვ. ბოლქვაძე, კორკოტაძე (3), კობიძე, ხიზანიშვილი (3)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე
კომისარი: როლანდ გელოვანი

თბილისი. 25 მარტი

**თსუ 95:82 ნტდ**

30:21 21:22 13:25 31:14

**თსუ:** გაფრინდაშვილი (12), კობრეიძე, მარკოიშვილი (12), ხეცურიანი (25), ახალკაცი (6); ივანეიშვილი, ფანჩულიძე, ელანიძე, შანიძე (22), ლობაბერიძე (15), კუქავა (3), დეკანოიძე

**ნტდ:** ფაშაევი (9), ნიფთალიევი (8), ბახშიევი (13), ბარბაქაძე (13), ათუაშვილი (21); ტიტელაშვილი, ჩიტაშვილი (6), სარიევი, გლოველი, როდუმტა (2), კოლუაშვილი, სუხიშვილი (10)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

თბილისი. 25 მარტი

**ავიამშენი 70:73 სასოფლო**

17:8 16:19 12:24 25:22

**ავიამშენი:** ი. ბერიშვილი (16), ნიკოლაძე (8), მათიაშვილი (13), პირველაშვილი (4), ბოისა (2); ბერაია, მოსეშვილი, კვიმსაძე, ს. შერმადინი, ნინაშვილი (18), დ. ბერიშვილი

**სასოფლო:** გულისაშვილი, მარხვაშვილი (18), წიწნიაძე (16), ათანელიშვილი (7), გ. ბარბაქაძე (9); თვაური, გასიტაშვილი, ცერცვაძე, ტყეშელაშვილი (9), ჩაჩიბაია (10), ყველაშვილი (4), ბოქოლიშვილი

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

რუსთავი. 27 მარტი

**ენერჯი 130:52 ბათუმი**

28:7 27:11 33:15 42:19

**ენერჯი:** მაჭავარიანი (17), ბაბიაშვილი (10), ლეჟავა, ტულუში (5), უგრეხელიძე (12); დვალიშვილი (10), დიდია (20), ცეკვავა (5), აბაიშვილი (10), ხმელიძე (24), ტუჯანი, ქოჭუა (17)

**ბათუმი:** მაისურაძე (19), თავართქილაძე, მ. ბოლქვაძე (12), კეშელავა (9), გ. დოლიძე (6); გვაზავა (1), ჩხატარაშვილი (2), ნ. ნოზაძე (2), ჩხაიძე, ელიაშვილი (1)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე
კომისარი: მერაბ რატიშვილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ენერჯი | 16 | 16 | 0 | +445 | 32 |
| სასოფლო | 16 | 12 | 4 | +161 | 28 |
| თსუ | 16 | 11 | 5 | +313 | 27 |
| ავიამშენი | 16 | 11 | 5 | +243 | 27 |
| ნტდ | 16 | 10 | 6 | +182 | 26 |
| ბათუმი | 16 | 5 | 11 | -368 | 21 |
| დინამო | 16 | 4 | 12 | -150 | 20 |
| შსს | 16 | 3 | 13 | -224 | 19 |
| მაკაბი | 16 | 0 | 16 | -602 | 16 |

### მეოთხედფინალი

**ენერჯი — შსს**
**სასოფლო — დინამო**
**თსუ — ბათუმი**
**ავიამშენი — ნტდ**

*პირველი მატჩები 10 აპრილს გაიმართება, საპასუხო კი — 11 აპრილს. გამონაკლისი იქნება „ბათუმი" — თსუ, რომელიც 12 აპრილს შედგება*

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**23 მარტი**

საკრამენტო 100:112 ფილადელფია
ნიუ ორლეანი 99:89 გოლდენ სტეიტი
ნიუ ჯერსი 88:96 კლივლენდი

**24 მარტი**

პორტლენდი 108:114 ფილადელფია
ფინიქსი 118:115 დენვერი
ნიუ იორკი 102:106 ორლანდო
მაიამი 94:82 მემფისი
ბოსტონი 90:77 კლიპერსი
ვაშინგტონი 99:101 ჩიკაგო
ატლანტა 109:97 მინესოტა

**25 მარტი**

იუტა 99:86 ჰიუსტონი
სან ანტონიო 107:106 გოლდენ სტეიტი
ოკლაჰომა 89:107 ლეიკერსი
ჩიკაგო 99:91 დეტროიტი

**26 მარტი**

ფინიქსი 118:114 იუტა
დალასი 128:106 გოლდენ სტეიტი
ორლანდო 84:82 ბოსტონი
ნიუ ორლეანი 88:101 დენვერი
ნიუ იორკი 135:140 კლიპერსი
*ძირითადი დრო 127:127*
ვაშინგტონი 95:93 შარლოტი
ტორონტო 115:106 მილუოკი
ფილადელფია 96:88 მინესოტა
ინდიანა 90:88 მაიამი
კლივლენდი 89:87 ნიუ ჯერსი
ატლანტა 92:102 სან ანტონიო

**27 მარტი**

პორტლენდი 129:109 ფინიქსი
ჩიკაგო 106:87 მაიამი
დეტროიტი 77:92 ლეიკერსი

**28 მარტი**

ჩიკაგო 112:106 ინდიანა
საკრამენტო 95:113 მემფისი
სან ანტონიო 111:98 კლიპერსი
დალასი 101:103 დენვერი
ნიუ იორკი 103:93 ნიუ ორლეანი
ნიუ ჯერსი 95:103 ლეიკერსი
კლივლენდი 107:85 მინესოტა
ატლანტა 93:99 ბოსტონი
ტორონტო 112:96 ოკლაჰომა
ფილადელფია 95:100 შარლოტი
ორლანდო 110:94 მილუოკი



ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ" წინა კვირაში პლეი ოფში გასვლა გაინაღდა

### ზაზა ფაჩულიას კვირის მონაგარი

მინესოტასთან (სასტარტო ხუთეულში არ იყო): 22 წუთი, 6 ქულა, 2 პასი, 2 პერსონალური ჯარიმა, 10 მოხსნა.

სან ანტონიოსთან (სასტარტო ხუთეულში არ იყო): 15 წუთი, 5 ქულა, 0 პასი, 2 პერსონალური ჯარიმა, 7 მოხსნა.

ბოსტონთან (სასტარტო ხუთეულში იყო): 19 წუთი, 7 ქულა, 0 პასი, 4 პერსონალური ჯარიმა, 2 მოხსნა.

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 55 | 19 | 74,3 |
| ფილადელფია | 37 | 34 | 52,1 |
| ნიუ ჯერსი | 30 | 42 | 41,7 |
| ნიუ იორკი | 29 | 44 | 39,7 |
| ტორონტო | 27 | 45 | 37,5 |
| **ცენტრალური** | | | |
| კლივლენდი | 59 | 13 | 81,9 |
| ჩიკაგო | 36 | 38 | 48,6 |
| დეტროიტი | 35 | 37 | 48,6 |
| მილუოკი | 31 | 43 | 41,9 |
| ინდიანა | 30 | 43 | 41,1 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 54 | 18 | 75,0 |
| ატლანტა | 42 | 31 | 57,5 |
| მაიამი | 39 | 34 | 53,4 |
| შარლოტი | 33 | 40 | 45,2 |
| ვაშინგტონი | 17 | 57 | 23,0 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 48 | 24 | 66,7 |
| ჰიუსტონი | 48 | 26 | 64,9 |
| ნიუ ორლეანი | 44 | 27 | 62,0 |
| დალასი | 43 | 29 | 59,7 |
| მემფისი | 18 | 54 | 25,0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| დენვერი | 48 | 26 | 64,9 |
| პორტლენდი | 46 | 27 | 63,0 |
| იუტა | 45 | 27 | 62,5 |
| ოკლაჰომა | 20 | 52 | 27,8 |
| მინესოტა | 20 | 53 | 27,4 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 58 | 14 | 80,6 |
| ფინიქსი | 40 | 33 | 54,8 |
| გოლდენ სტეიტი | 25 | 48 | 34,2 |
| კლიპერსი | 18 | 56 | 24,3 |
| საკრამენტო | 15 | 56 | 21,1 |

მუქი შრიფტით — დივიზიონების ჩემპიონები; დახრილი შრიფტით — პლეი ოფში გასულები

## ევროლიგა

### მეოთხედფინალი

24 მარტი

**ცსკა 77:50 პარტიზანი**
**ოლიმპიაკოსი 88:79 რეალი**
**პანათინაიკოსი 90:85 სიენა**
**ბარსელონა 75:84 ტაუ ვრესი**

26 მარტი

**ცსკა 56:47 პარტიზანი**
**ოლიმპიაკოსი 79:73 რეალი**
**პანათინაიკოსი 79:84 სიენა**
**ბარსელონა 85:62 ტაუ ვრესი**

*შეხვედრები სამ მოგებამდეა*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რაფაელი, სერენა და დანარჩენები



**ცოტათი** კი დააგვიანეს, მაგრამ ამას პრინციპული მნიშვნელობა არც აქვს — ხუთშაბათს მაიამიში 2008 წლის საუკეთესო ქალი ჩოგბურთელები დააჯილდოვეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, წლის ჩოგბურთელი სერენა უილიამსი გახდა, ვინაც რეიტინგშიც პირველ ადგილზეა.

საუკეთესო წყვილად კარა ბლეკი და ლიზელ ჰუბერი მიიჩნიეს.

დინარა საფინამ „წლის პროგრესის“ ნომინაციაში გაიმარჯვა. რუსმა გოგომ წინა სეზონი მეტისმეტად უხეიროდ დაიწყო, მერე კი როლან გაროსის და ოლიმპიადის ფინალებში გააღწია და რეიტინგში მესამე ადგილზე აღზევდა.

კიდევ ერთი რუსი, ელენა დემენტიევა კარენ კრანცკეს პრიზით დაჯილდოვდა სპორტის ერთგულებისთვის.

„წლის ახალბედას“ ნომინაციაში დანიელმა კაროლინ ვოზნიაცკიმ იმარჯვა. შარშან მან სამი ტურნირი მოიგო და რეიტინგში მე-12 ადგილს უწია.

უიმბლდონის ნახევარფინალისტი ჩინელი ჟენ ცჟიე „წლის დაბრუნების“ ლაურეატი გახდა, ხოლო სერბ ანა ივანოვიჩს „წლის ჰუმანისტის“ ტიტული უბოძეს საქველმოქმედო აქციებში აქტიური მონაწილეობისთვის.

კაცთა შორის კი საუკეთესოდ ესპანელი რაფაელ ნადალი დაასახელეს. საუკეთესო წყვილი დანიელ ნესტორი და ნენად ზიმონიჩი გახდა.

სპორტის ერთგულებისთვის როჯერ ფედერერმა სტეფან ედბერგის პრიზი მიიღო, რაც მისთვის მეხუთე ასეთი ჯილდოა.

„წლის პროგრესის“ ნომინაციაში ფრანგმა ჟო-ვილფრიდ ცონგამ გაიმარჯვა.

# ლაზარე პირამიდებთან

**ეგვიპტეში** მიმდინარე 10-ათასდოლარიან ტურნირზე ქართველი ლაზარე კუხალაშვილიც გამოდიოდა.

ლაზარე კვალიფიკანტთა შორის მე-2 ნომრად იყო განთესილი და პირველი წრე გამოტოვა. მეორე საკვალიფიკაციო წრეში ეგვიპტელ იბრაჰიმ შამსს 4:6 6:1 6:2 სძლია.

ქართველი ჩოგბურთელის მომდევნო მეტოქე ბერძენი ვლადიმეროს მავროპულოსი გახლდათ და ლაზარემ ისიც დაამარცხა (7:6 6:1), რითაც ძირითად ბადეში გააღწია.

აქ კი კუხალაშვილს აღარ გაუმართლა და ესპანელ კარლოს კალდერონ-როდრიგესთან ორ სეტში, 4:6 2:6 დამარცხდა.

კუხალაშვილი ეგვიპტურ ტურნირზე წყვილთა შორისაც გამოდიოდა, მეწყვილედ კი ერთეულებში დაჩაგრული ბერძენი ჰყავდა.

ქართველმა და ბერძენმა პირველივე მატჩი დათმეს — რუსი კუზნეცოვის და მაროკოელი რაშიდის წყვილთან 3:6 4:6 წააგეს.

**ოთარ მხეიძე**

ტაეკვანდო

# 9 მედალი ერევნიდან

**ერევანში** დასრულებულ საერთაშორისო ტურნირზე ქართველები წარმატებულად გამოვიდნენ და 9 მედალი მოიპოვეს.

50-55 კგ: ბექან ქვანია — I ადგილი.
60-65 კგ: ტიტე ვაშაკიძე — I ადგილი.
60-65 კგ: ლევან ტყებუჩავა — III ადგილი.
75 კგ: ავთო მამაგეიშვილი — I ადგილი.
75 კგ: ბექა ბუცხრიკიძე — II ადგილი.
აბსოლუტური: გიორგი უფლისაშვილი — I ადგილი.
აბსოლუტური: ვალერი სალარიძე — II ადგილი.

გარდა ამისა, საჩვენებელ გამოსვლებში პირველი ადგილი აიღეს ლაშა გამგონეიშვილმა და ლევან ბენაშვილმა.

**ოთარ მხეიძე**

# და მაინც ქართველები წინ მიიწევენ

**ქართველი** ჩოგბურთელებისთვის წინა კვირას წარმატებულს ვერაფრით დავარქმევთ, მაგრამ მსოფლიო რეიტინგში ვერც მათმა უშუალო მეზობლებმა ივარგეს და ამ მხრივ საინტერესო ცვლილებებიც მოხდა.



ოქსანა კალაშნიკოვა

თავდაპირველად კი ტურნირებზე ვთქვათ...

სოფო შაფათავა და ოქსანა კალაშნიკოვა მოსკოვში, 25-ათას დოლარიან ტურნირზე იბრძოდნენ. კალაშნიკოვამ შეჯიბრი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო, სადაც პირველ ნომრად იყო განთესილი, ხოლო შაფათავა პირდაპირ ძირითად ბადეში მოხვდა მე-8 ნომრად.

თუმცა განთესვას გადამწყვეტი მნიშვნელობა რომ არ აქვს, აქაც გამოჩნდა. კალაშნიკოვამ პირველივე მატჩი დათმო რუს პოლინა როდიონოვასთან — 7:5 4:6 3:6.

კალაშნიკოვა წყვილთა თანრიგშიც გამოვიდა, სადაც მისი პარტნიორი თურქი ოზგანი იყო და პირველივე წრე დათმო ბელარუსი მილენვსკაიას და უკრაინელი ტეპლიაკოვას დუეტთან — 1:6 1:6

სოფო შაფათავამაც პირველივე მატჩი წააგო. მისი მეტოქე რუსი ნადეჟდა გუსკოვა გახლდათ — 6:7 5:7.

სამი ქართველი გოგონა კი ესპანურ ლას პალმასში ცდიდა ბედს, სადაც, მოსკოვის დარად, 25-ათასიანი საპრიზო ფონდი იყო დაწესებული.

• სოფო ქვაცაბაიამ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი გამოტოვა, მეორეში კი ფრანგ ნატალი პიკიონთან დამარცხდა — 3:6 4:6.

ეკატერინე გორგოძე ცოტათი უფრო წინ წავიდა — ორი საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლია და მესამეში დამარცხდა. ეკატერინემ ჯერ გერმანელი ვოერი დაამარცხა — 6:4 6:3, მერე ინგლისელ სმიტს სძლია, თავად მისი დამმარცხებელი კი ბულგარელი ელიცა კოსტოვა გამოდგა — 6:2 2:6 4:6.

კანარის კუნძულებზე ყველაზე შორს მაკა ჩახნაშვილი გავიდა. ერთეულთა თანრიგში მაკა ძირითად ბადეში იყო და პირველივე მატჩი დათმო სერბ ანა იოვანოვიჩთან (3:6 6:7), რომელთანაც მაკამ წელს უკვე მესამედ წააგო. სამაგიეროდ, მაკა ესპანელ სოლერ-ესპინოსასთან ერთად წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალში გავიდა და იქ ფრანგულ-ესპანურ წყვილთან, ტორპესთან და კაპდევილასთან დამარცხდნენ.

ხოლო როგორი ცვლილებებია რეიტინგში ცხრილიდან შეიტყობთ. ერთი კი ვთქვათ, ყველაზე წინ ნიკოლოზ ბასილაშვილმა და ოქსანა კალაშნიკოვამ წაიწიეს.

**ირაკლი ნინიძე**

## ქართველთა რეიტინგი

### კაცები

| | | |
|---|---|---|
| 515 (+5) | ირაკლი ლაბაძე | 96 |
| 909 (+3) | ლაზარე კუხალაშვილი | 24 |
| 1005 (+2) | ლადო ჩიხლაძე | 17 |
| 1018 (+173) | ნიკოლოზ ბასილაშვილი | 16 |
| 1312 (+7) | ნოდარ ითონიშვილი | 6 |
| 1555 (+7) | ბექა ბუჩუკური | 2 |
| 1644(+9) | დემეტრე თაქთაქიშვილი | 2 |

### ქალები

| | | |
|---|---|---|
| 150 (+4) | ანა ტატიშვილი | 392 |
| 206 (+6) | მაკა ჩახნაშვილი | 270 |
| 244 (-1) | სოფო შაფათავა | 212 |
| 351 (+34) | ოქსანა კალაშნიკოვა | 128 |
| 600 (+1) | ეკატერინე გორგოძე | 46 |
| 658 (+3) | სოფო ქვაცაბაია | 38 |
| 714 (-24) | მანანა შაფაქიძე | 31 |
| 739 (-2) | სალომე დევიძე | 28 |
| 903 (+2) | სოფო მელიქიშვილი | 16 |

# ჟუსტინ ენინის 12 საქციელი





**მსოფლიოს** ყოფილი პირველი ჩოგანი ბელგიელი ჟუსტინ ენინი ფეხბურთის მოედანზე გავიდა და სრულფასოვანი ვარჯიშიც ჩაატარა.

საქმე ის არის, რომ ერთ-ერთი ბელგიური ტელეკომპანია ენინზე დოკუმენტურ ფილმს იღებს, რომელსაც „ჟუსტინ ენინის 12 საქციელი“ ერქმევა და სცენარით, პირველ სერიაში ყოფილი ჩოგბურთელი ფეხბურთს თამაშობს.

ენინმა იმ გუნდთან ერთად ივარჯიშა, რომლის გულშემატკივარიც გახლავთ: „ანდერლეხტთან“.

სირბილი, ხტომა, აჭიმვები, ბურთის ტარება, დარტყმები... — მოკლედ, ვარჯიში სრულფასოვანი გამოდგა, ენინმა კი თქვა, უზარმაზარი სიამოვნება მივიღეო.

მეორე სერიაში ჟუსტინ ენინი პოდიუმზე გაივლის.

**კოტე კეკელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მომავალი ღმერთის დამმარცხებელი კოკაი

## გმადლობთ კოკაი-ძეკი ბანაობის უფლებისთვის

**ლევან ცაგურია** 16-17 წლისა იქნებოდა, როცა ევროსპორტის არხზე პირველად უნახავს სუმო. ამ დროს უკვე ფიზკულტურის ინსტიტუტში ვარჯიშობდა, ვაკეში. იქვე ვარჯიშობდა ლევან (ისევ ლევანი!) ებანოიძეც, რომელიც უკვე კარგად იყო ცნობილი სამოყვარულო სუმოს სამყაროში.

— მანამდე ლევან ებანოიძეც თავისუფალს ჭიდაობდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც იყო. მე რომ გავიცანი, თავისუფალსაც ჭიდაობდა და სუმოშიც ვარჯიშობდა. სწორედ იმ პერიოდში გერმანიაში წავიდა მოყვარულთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც ფინალში იაპონელი დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ისე მოხდა, რომ მან გერმანიაშივე გაიცნო სამოყვარულო სუმოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, რომელსაც დიდი ავტორიტეტი აქვს პროფესიონალურ სუმოშიც. ბევრი სკოლის ხელმძღვანელი მისი რეკომენდაციით არის მოსული სტუდენტური სუმოდან. ჩემი შიშიოც უნივერსიტეტიდან წამოვიდა. თავის დროზე მეორე მაეგაშირა იყო...

მოყვარულ სუმოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელზეც კოკაი ლაპარაკობს, 1999 წლის 4-5 დეკემბერს გაიმართა დრეზდენთან ახლოს მდებარე ქალაქ რიესაში. აქ ლევან ებანოიძემ აბსოლუტური პირველობის ფინალში დაამარცხა ტოორუ კაკიძოე, რომელიც მომდევნო წელს სტუდენტური იოკოძუნა (არის იაპონიაში ასეთი ტიტულიც) გახდა, მერე კი, 2001 წელს, ლევან ცაგურიასთან ერთად მივიდა დიდ სუმოში, მალე ელიტაში გადავიდა და 2004 წლის მარტში კომუსუბიც კი იყო. წლევანდელ მარტის ბაშოზე კაკიძოე აღმოსავლეთის მე-12 მაეგაშირას რანგში გამოვა.

— ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ებანოიძემ გერმანიაში მოყვარულების პრეზიდენტი გაიცნო, ჰიდეტოში ტანაკა. იმას უთქვამს, ვინმე თუ არის თქვენთან ახალგაზრდა, ვისაც სუმო აინტერესებს, გამაცანიო. იმ დროს მე უკვე 130 კილოგრამს ვიწონიდი და თავისუფალში საჭიდაოდ დაკლება მიწევდა. ამიტომ სუმოში ძალების ცდას სიამოვნებით დავთანხმდი. ლევანმა ჩემი თავი ტანაკას გააცნო, მან კი თავის ამხანაგთან — ოიტაკაძესთან წარმადგინა.

ასე დაიწყო ყველაფერი. მერე, რაკი იცოდა, რომ საქართველოდან იყო, ოიტაკაძემ რუკას დახედა და ახალწვეულს „შავი ზღვა" — კოკაი დაარქვა. ქვედა დივიზიონებში იაპონელები საკუთარი სახელებით გამოდიან, უცხოელებს კი ოიაკატები თავიდანვე არქმევენ ფსევდონიმს. მალე მთელმა იაპონიამ გაიგო, სად არის შავი ზღვა და რა არის საქართველო.

ამასობაში იაპონურსაც დაეუფლა, რომელსაც დღემდე შიშიოს მეუღლე ასწავლის. მერე „კოკაი-ძეკი" გახდა — ასე მიმართავენ სეკიტორებს, რაც პატივისცემის გაცილებით მაღალი ფორმაა, ვიდრე ჩვეულებრივი, საერთო-იაპონური „კოკაი-სან".

მარტის ამ ბაშომდე კოკაიმ სულ 602 ორთაბრძოლა გამართა და 324 გამარჯვება მოიპოვა. მან ორჯერ დაამარცხა მომავალი ღმერთი — იოკოძუნა ასაშორიუ და ამისთვის ორი ოქროს ვარსკვლავი — კინბოში დაიმსახურა. გარდა ამისა, მან ორჯერ მიიღო კანტოშიო — წამახალისებელი პრემია შეჯიბრისას გამოვლენილი მებრძოლი სულისკვეთებისთვის.

2003 წლის ნოემბერში, როცა კოკაიმ ზედიზედ 14 ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და მაკუუჩიმდე ამაღლდა, მას ჯილდოდ 2 მილიონი იენი გადაეცა.

პურისჭამას მოვრჩით კი არა, ბრინჯისჭამას მოვრჩით და საუბარი ჰოლში გავაგრძელეთ. მე იმ სარეკლამო თუ საქველმოქმედო გამოსვლებზე ვკითხე, რომლებსაც კოკაი ხშირად მართავს სხვა სეკიტორებთან ერთად. ბევრი ეჭვს გამოთქვამს, რომ სეკიტორები ასეთი გამოსვლებისას სრული ძალით არ იბრძვიან.

— ეს გამოსვლები არავითარ გავლენას არ ახდენს ბანძუკეზე — ჩვენს რეიტინგზე, ამიტომ მეტ-ნაკლებად ვფრთხილობთ, ვცდილობთ, რომ ერთმანეთს ტრავმა არ მივაყენოთ. ტრავმები ჩვენთვის კარიერის დასასრულს თუ არა, სერიოზულ უკუსვლას ნიშნავს...

ამ დროს ლევანს ტელეფონზე დაურეკეს. მეორე ლევანი იყო, გორგაძე. მე მომიკითხა, ხომ მშვიდობით მოვიდა შენამდეო. ბოდიში მომიხადე-მეთქი, კოკაის ვთხოვე, შუა ვარჯიშში იყო, აქეთ რომ წამოვედით და ვერ გამოვემშვიდობე-მეთქი. რიუოს ამბავიც ვკითხე. კუნთი გაუწყვეტია საწყალს.

— აი, ამას გეუბნებოდი — გააგრძელა ლევანმა — ძლიერი, პერსპექტიული ბიჭია ეს რიუო. ახლა კი ძურიოა, მაგრამ ზემოთაც უჭიდავია და ვიცი. სანამ დღევანდელ ფორმას და რანგს დაიბრუნებს, სულ ცოტა, ორი წელი გავა. ამასობაში, არ არის გამორიცხული, ფსიქოლოგიურად გატყდეს... 95 პროცენტით შეიძლება ითქვას, რომ მისი კარიერა დამთავრდა. ალბათ, არსად არ არის ტრავმა ისეთი დამღუპვე-

ლი, როგორც სუმოში.

— შენ თუ გქონია რაიმე სერიოზული ტრავმა?

— სერიოზული? — ლევანი ჩაფიქრდა - ისეთი, რომ დიდი გავლენა მოეხდინა ჩემს კარიერაზე, მოტეხილობა ან რაღაც ასეთი, არ მქონია. კისრის ტრავმა მაქვს, ხერხემლის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე დისკოები მაქვს დაზიანებული. ეს ყველაფერი ქრონიკულშია გადასული და ყოველი ვარჯიშის მერე დისკოები მივარდება. ამიტომ ორ-სამ დღეში ერთხელ, ზოგჯერ ყოველდღეც, მასაჟები მჭირდება. ერთი მაგარი პროფესიონალი მასაჟისტი მყავს, კუნძულ კიუშიუდან არის და ის მშველის ხოლმე. სამი წლის წინ დამემართა ეს ყველაფერი და მასაჟისტი რომ არა, ჭიდაობას ვეღარ შევძლებდი.

— რა იყო ყველაზე რთული, რაც იაპონიაში ცხოვრებისას შეგხვდა?

— ყველაზე რთული ენის ბარიერი იყო პირველ ხანებში. შედარებით ნაკლებად, მაგრამ აქაურ საჭმელთან შეგუებაც გამიჭირდა. ჰო, კიდევ რა: იაპონიაში რომ ჩამოვედი, პირდაპირ ჰეიაში ამოვყავი თავი. მთელი ორი წელიწადი საქართველოში გავეშვი კი არა, იაპონია როგორი იყო, არ ვიცოდი, გარეთ არ გამიხედია. კარგა ხანი გავიდა, სანამ სუმოს იერარქიულ სისტემაში გავერკვიე. როგორია, სეკიტორი, ვისაც მე მაშინ ვემსახურებოდი, როგორც ცუკებიტო, 15 წლისა იყო, მე კი — 19-ის! პირველი ორი დივიზიონიდან რომ ამოვძვერი, ცოტათი მაშინ გამოვიხედე თვალებში. აქ ისეთი მკაცრი კლუბებიც არის, რომ სანამ ელიტაში არ გადახვალ, საერთოდ არ გიშვებენ გარეთ. ერთი ჩეხი ბიჭია, მთელი 7-8 წელია, აქ არის და ერთხელ არ ყოფილა სახლში.

ამ დროს ჰოლში ერთმა ცუკებიტომ შემოიხედა და ლევანს მდაბლად დაუკრა თავი. რა უნდა-მეთქი. ახლა იბანავა და ამისთვის მადლობა მითხრაო!..

— ყველაზე სასიამოვნო მომენტი რომელი იყო შენს სპორტულ კარიერაში?

— ყველაზე სასიამოვნო ის მომენტი იყო, როცა ზუსტად ექვსი წლის წინ ძურიოში ამოვედი. ეს მოხდა 2003 წლის მარტში, ოსაკის ბაშოზე. ის წარმატება ჩემთვის უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე მერე მაკუუჩიში გადასვლა და გინდაც იოკოძუნასთან მოგება. ბოლო ჰიდაონა კატაძაკურასთან მოვინდა, ის ჩამოვგდე და მე შევედი ელიტაში. ის მერე დაბრუნდა, კარგა ხანს იჭიდავა და ბოლო ბაშოზე ისევ ჩავარდა ქვემოთ. 34 წლისაა. საერთოდ, იქ, ქვემოთ ცხოვრება, მით უმეტეს უცხოელისთვის, მეტისმეტად ძნელია. ამიტომაც არის, რომ უცხოელები ერთმანეთს მხარში ვუდგავართ და უფრო მოტივირებულებიც ვართ.

რუსებზე ვეკითხები, იმ ცნობილ სკანდალზე, რუს, უფრო სწორად — ოს სეკიტორებს რომ შეემთხვათ: შარშან აგვისტოში ვაკანოჰოს (სოსლან გაგლოევი) სისხლში მარიხუანას კვალი აღმოუჩინეს და სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს. სექტემბერში ძურიოსა და მაკუუჩის კიდევ 69 რიკიში შეამოწმეს, მათ შორის კოკაი და ტოჩინოშინიც და კიდევ ორი ოსი ჩავარდა: როჰო (სოსლან ბარაძოვი) და ჰაკუროზანი (ბატრას ბარაძოვი). მათ საქმეს დიდხანს იძიებდნენ და ამ ცოტა ხნის წინათ ორივენი მოუკვეთავთ. ასე რომ, რუსეთის ოთხი წარმომადგენლიდან ახლა პროფესიონალური სუმოს ელიტაში ერთი ალანიღაა. ეს ალანიც ოსია — ალან გაბარაევი, რომელიც დასავლეთის მე-11 მაეგაშირა იქნება მარტის ბაშოზე.

დისკვალიფიკაციის საშიშროების წინაშე კოკაიც იდგა, თუმცა სრულიად სხვა რამის გამო: მაშინ, როცა ავადმყოფობის გამო იგი საჩვენებელ გამოსვლებში არ მონაწილეობდა, ამდგარა და, რუსეთის საელჩოს წინ გამართულ საპროტესტო აქციაში მიუღია მონაწილეობა. კოკაის ორი ბაშოს გამოტოვება ელოდა, მაგრამ პროფესიული სუმოს მამებმა მხოლოდ საყვედური და გაკიცხვა აკმარეს, თუმცა მათ არ დაინდეს იოკოძუნა ასაშორიუ, რომელმაც ბაშოზე გამოსვლას თავი აარიდა, თითქოს ტრავმის გამო და ამ დროს თავის სამშობლოში ფეხბურთი უთამაშია. ამ ფაქტში კარგად ირეკლება მომავალი ღმერთისადმი იაპონელთა არცთუ მაინცდამაინც კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, რასაც ასაშორიუს უხიაგ ხასიათს აბრალებენ.

— ლევან, ასაშორიუს ორჯერ მოუგე, მეორე იოკოძუნაც — ჰაკუჰოც დაგიმარცხებია. მესმის, რომ ყველა სეკიტორისთან სხვადასხვა ბალანსი გაქვს, ზოგთან უარყოფითი, ზოგთან დადებითი, ზოგთან საყაიმო. თუ არის ვინმე ელიტაში, ვისთვისაც არცერთხელ არ მოგიგია?

— დღეს უკვე არავინ! წინა ბაშომდე ერთი იყო ასეთი — 23 წლის იაპონელი კისენოსატო, რომელთანაც ხუთჯერ ვიყავი შენახვედრი და არც ერთი მოგება არ მქონდა. ჰოდა, წინა ბაშოზე მოვუგე, თუმცა ის ბაშო საერთოდ საზიზღრად ჩავატარე... ასე რომ, ვისაც შევხვედრივარ, თითო მოგება მაინც ყველასთან მაქვს.

10 მარტს ლევან ცაგურიას დაბადების დღეა. 28 წლისა გახდა.

— ოჯახის შექმნაზე არ ფიქრობ?

— ვეკითხები.

— ვფიქრობ, რა თქმა უნდა, ვფიქრობ. უკვე მივაღწიე იმ დონეს, რომ ამაზე ფიქრის უფლებაც მაქვს და გაკეთებისაც. აქ როგორ არის, იცი, თუ გარანტირებული არ ხარ, რომ კვლავ ქვევით ჩამოვარდები, ცოლის მოყვანას ვერ გარისკავ.

— კანდიდატურა თუ არსებობს?

— არა, კანდიდატურა ჯერ არ არსებობს.

— მაინც სად ეძებ საცოლეს, საქართველოში თუ იაპონიაში?

- იაპონიაში რომ მეძებნა, აქამდე მოვძებნიდი. ჩემმა ძმამ ამ ორი თვის წინ მოიყვანა ცოლი და ძალიან გახარებული ვარ. ძირითადად უდროობა მიშლის ხელს და საქართველოსგან სიშორე. ისე, უკვე სერიოზულად ვფიქრობ ამ თემაზე.

თუ გინდა, შენი ი-მეილი მომეცი და გაზეთში დავბეჭდავ-მეთქი, შევთავაზე.

ლევანმა ისე ხმამაღლა გადაიხარხარა, ჰოლში ორი ცუკებიტო შემოვარდა, ჩვენს ბატონს ვინმემ რამე ხომ არ დაუშავაო!

ლევანს ვინ რა უნდა დაუშავოს!

— როცა 1957 წელს ქართველებმა პირველად მოირგეს კიმონო და ძიუდოში სცადეს ძალა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგ ძიუდო ლამის ქართულ ეროვნულ სახეობად იქცეოდა, ხოლო ქართველი ძიუდოისტები უძლიერესის სახელს დაიგდებდნენ მსოფლიოში. მე რატომღაც მგონია, რომ რაღაც მსგავსი სუმოს შემთხვევაშიც შეიძლება განმეორდეს. მით უმეტეს, რომ ქართველთა პირველი ნაბიჯები სუმოში უფრო ძალუმია, ვიდრე ძიუდოში იყო...

— ვინ იცის, იქნებ ეს პირველი ნაბიჯები მართლა ის ბილიკი იყოს, რომელსაც მერე სხვები გაჰყვებიან და უფრო დიდ წარმატებებსაც მიაღწევენ. თანაც უკვე აქტიური ლაპარაკია იმაზე, რომ 2020 წლისთვის სუმო შეიძლება ოლიმპიურ სახეობადაც აღიარონ...

— თუ ტოკიომ 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მოიპოვა, შეიძლება ეს მანამდეც მოხდეს.

— შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ოლიმპიური აღიარება დიდად გაზრდის სუმოს პოპულარობას მთელ მსოფლიოში და დარწმუნებული ვარ, საქართველო სპორტის ამ სახეობაშიც, წონიან სიტყვას იტყვის. მოხარული ვიქნები, თუ ჩემს მიერ გაკვალულ ბილიკს კიდევ ბევრი ქართველი დაადგება პროფესიონალურ სუმოში დღეს თუ ოლიმპიურ სარბიელზე წლების შემდეგ.



ტოჩინოშინი

ამასობაში გამომშვიდობების დრო მოვიდა და მე ლევანს საქართველოდან სპეციალურად ჩამოტანილი ჩურჩხელები მივართვი. ჩემი ბიზნეს-კარდიც დავუტოვე. მანაც თავისი ი-მეილი დამიწერა ფურცელზე. ჩემთვის, არა გაზეთში გამოსაქვეყნებლად. მერე მომიბოდიშასავით, სადღაცას ტოკიოში კი მაქვს ბიზნეს-კარდები, მაგრამ იაპონიაში არასოდეს დამჭირვებია, ჩემი ბიზნეს-კარდი აი, ეს არისო, — თმაზე მოისვა ხელი.

რა თქმა უნდა, პერსონალური პარიკმახერი გყავს-მეთქი.

პერსონალური პარიკმახერი კი მყავს, მაგრამ წვერის გაპარსვას მაინც არ ვენდობი და თავად ვიპარსავო.

ბოლოს ლევანს ის საფოსტო მარკებიც მივეცი, საქართველო-იაპონიის მეგობრობას რომ ეძღვნება.

არ ვიცოდი ამ მარკების არსებობაო, ძალიან გაუხარდა. მე რომ აქ ჩამოვედი, საქართველოს სახელი არავის გაეგონა. ახლა კი ორ თვეში ერთხელ, მთელი 15 დღის მანძილზე პირდაპირ ეთერში საქართველოს დროშასა და გერბს ვაფრიალებო.

როგორ-მეთქი.

როგორ და, კეშიო-მავაშიზე ლავახატინე დროშაც და გერბიც. ერთზე ერთი და მეორეზე მეორეო. თუ გინდა, გაჩვენებო.

როგორ არ მინდა-მეთქი.

ლევანმა ცუკებიტოებს გასძახა.

კეშიო-მავაში საფასადო, მოხატული, საალლუმო სამოსია, წინსაფრის მსგავსი, რომლითაც სეკიტორები ყოველი საშეჯიბრო დღის წინ დოჰიოზე სარიტუალოდ გამოდიან.

მართლა დიდებული ნაქარგი იყო, სულ ოქრომკედით მოსირმული. ცუკებიტოებმა დიდი მოწიწებით გაშალეს კეშიო-მავაშები იატაკზე.

მოდი, ამ მავაშებითაც გადაგიღებ სურათს-მეთქი, კოკაის ვთხოვე.

კარგი სურათი გამოვიდა.

სურათი სურათად, მთავარია მარტის ბაშო გამოვიდეს კარგი კოკაისთვის.

ტოჩინოშინისთვისაც.

ჩვენთვისაც.

**პაატა ნაცვლიშვილი**

**ოსაკა-თბილისი**



ტორუ კაძიოს და ლევან ებანოიძის ორთაბრძოლა

სარბიელელები თანავუგრძნობთ პაატა ნაცვლიშვილს
**მამის**
გარდაცვალების გამო




წასაღები ნივთების სიაში ეს აბრაც შედის

# თან წაიღე...

**გრან პრიზე გამგზავრება უბრალო საქმე არ არის. ჩავიდა პილოტი, ირბოლა და სახლში დაბრუნდა — ძალიან გულუბრყვილო და პრიმიტიული აღქმაა.**

**ქვემოთ ერთი კონკრეტული საჯინიბოს, „ფორს ინდიას" მაგალითზე მოგახსენებთ, თუ რა მიაქვთ თან გუნდებს მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპებზე.**

**თავდაპირველად კი იმას მოგახსენებთ, რომ „ფორს ინდიას" — ავსტრალიაში 33 ტონა ტვირთი მიაქვს. ამათგან 25 ტონა თვითმფრინავით, დანარჩენი კი გემით. ისიც შევნიშნოთ, რომ „ფერარი" ან „უილიამსი" უფრო მეტი ოდენობით ტვირთსაც დაატარებს, მაგრამ საშუალო მაჩვენებლის გამოსაყვანად „ფორს ინდია" კარგი მაგალითია...**

## 100 000 ყავის მარცვალი

მექანიკოსებისთვის გრან პრი უძილო ღამეებს ნიშნავს. უძილობის წამლად კი ყავა მიიჩნევა. ჰოდა, საჯინიბოს მელბურნში 12 კილო ყავა მიაქვს, რაც ჩხირკედელა მონგარიშეების გამოთვლით 100 000 ყავის მარცვალს შეადგენს.

## 19 სახრახნისი

ბოლიდს, მოგეხსენებათ, ოთხი ბორბალი აქვს, რომლებსაც რბოლის დროს ცვლიან-ხოლმე. ბორბლები ერთი ჭანჭიკით არის დამაგრებული და მის მოხსნას და ახლის დამაგრებას ელექტროსახრახნისით რამდენიმე წამი სჭირდება.

ცხადია, საჯინიბოს ბოქსში სახრახნისებიც უნდა ინახებოდეს: ძირითადი კომპლექტი, სათადარიგო, და სათადარიგოს სათადარიგო — ყოველი შემთხვევისთვის...

გუნდებმა გამოცდილებით იციან, რომ ყველა შესაძლო შემთხვევის გათვლით, სულ 19 სახრახნისია საჭირო.

## 44 ბოთლი შამპანური

რატომ 44 და არა, ვთქვათ, 45 ან 40? საჯინიბოს ბოსების გარდა ეს არავინ იცის.

თუმცა იგივე „ფერარი", რომელიც პოდიუმისთვის აცხადებს პრეტენზიას, ალბათ, უფრო მეტ ბოთლს იმარაგებს, „ფორს ინდიასთვის" კი 44 ბოთლიც სავსებით საკმარისია.

## 1800 ბოთლი წყალი

პაპანაქება სიცხეში ორგანიზმის გამოფიტვას დიდი ოდენობით სითხის მიღებით ებრძვიან. ცხადია, სითხეში ზემოთ ნახსენები 44 ბოთლი შამპანური არ იგულისხმება.

საჯინიბოს ფიზიოთერაპევტი საგანგებო ნაზავს ამზადებს, რომელსაც წყალში ურევენ და ბოქსში დგამენ.

დალიეთ, წყლის ძალა მოგცეთ ღმერთმა!

## 1600 ლიტრი საწვავი

საწვავის ქიმიური ფორმულა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს FIA-ში სეზონის წინ გაგზავნილ მონაცემებს. 1600 ლიტრი კი ორი ბოლიდისთვის ერთი უიკენდისთვის სამყოფი მარაგია...

ჩხირკედელა მონგარიშეებმა კი ესეც გამოთვალეს: 1600 ლიტრი ჩვეულებრივ მსუბუქ მანქანას მელბურნიდან ლონდონამდე ჩაიყვანდა — ბუნებრივია, ასეთი ტრასა რომ არსებობდეს...

## 80 მოსაპირკეთებელი პანელი

რა ხდება ბოქსში, მთელი მსოფლიო ტელევიზორში უყურებს. შესაბამისად, ბოქსის ინტერიერი სოლიდურად უნდა გამოიყურებოდეს. ბოქსის შიშველ კედლებზე გუნდები ფერად, სარეკლამო წარწერებით აჭრელებულ პანელებს აკრავენ, რასაც რამდენიმე საათი სჭირდება.

## 14 მონიტორი

ბოქსი, ინჟინრების ოფისი, პილოტების მოსასვენებელი ოთახი — ყველგან მონიტორები უნდა ეკიდოს, საჭირო ხალხს საჭირო ინფორმაცია დაუყოვნებლივ რომ მიეწოდებოდეს. 14-დან 8 მონიტორი კი VIP-სტუმრებისთვისაა განკუთვნილი.

## 3 სავალი ნაწილი

მეორე სეზონია, წესები ბოქსში სათადარიგო, მესამე ბოლიდის ყოლას კრძალავს. ამიტომაც გუნდებს ბოქსში მესამე კომპლექტი სავალი ნაწილიც აქვთ, ოღონდ დაშლილ მდგომარეობაში, რომლის აწყობასაც, ან მისი ცალკეული ნაწილების გამოყენებას უმოკლესი დრო სჭირდება.

## 96 რადიოგადამცემი

საჯინიბოს თითოეულ წევრს საკუთარი რაცია აქვს, რაციები აქვთ VIP-სტუმრებსაც. რამდენიმეც სამარქაფოა.

## 6 წინა და 10 უკანა ანტიფრთა

რატომ არის რაოდენობაში ასეთი სხვაობა? რატომ და, წინა ანტიფრთა ერთი კონფიგურაციისა, ხოლო უკანა ფრთებს რამდენიმე კონფიგურაცია აქვს — ნესტიანი, მშრალი და ასე შემდეგ ამინდებისთვის.

## 4 შლემი

გუნდში ორი პილოტია და თითოეულს ორი შლემი აქვს — ძირითადი და სათადარიგო. ამათგან თითო შლემს მინა ისე აქვს მოწყობილი, რომ ავდარისას წვიმის წვეთები მასზე არ ჩერდებოდეს და პილოტს ხედვაში ხელს არ უშლიდეს.

## 40 კომბინიზონი

თითო პილოტს ხუთი კომბინიზონი აქვს, დანარჩენები კი მექანიკოსებისთვისაა. შევნიშნოთ: საწვავის ჩამსხმელებისთვის საგანგებო ცეცხლგამძლე კომბინიზონები და შლემები FIA-ს სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს.

ამ სეზონიდან კი კომპლექტაციაში სპეციალური ელექტროგაუმტარი ხელთათმანებიც შედის.

**გიორგი დარჯანია**

## საჯინიბოები

### ვოდაფონ მაკლარენ მერსედესი

| | |
|---|---|
| ბოლიდი: MP4-24 | გრან პრი: 162 |
| ძრავა: მერსედესი | პოული: 141 |
| საბურავები: ბრიჯსტოუნი | კონსტრუქტორთა პრიზი: 8 |
| დაარსდა: 1963 | ჩემპიონი: 12 |

### სკუდერია ფერარი მალბორო

| | |
|---|---|
| ბოლიდი: F-60 | გრან პრი: 209 |
| ძრავა: ფერარი | პოული: 203 |
| საბურავები: ბრიჯსტოუნი | კონსტრუქტორთა პრიზი: 16 |
| დაარსდა: 1929 | ჩემპიონი: 15 |

### BMW-ზაუბერი F 1

| | |
|---|---|
| ბოლიდი: F1.09 | გრან პრი: 1 |
| ძრავა: BMW | პოული: 1 |
| საბურავები: ბრიჯსტოუნი | კონსტრუქტორთა პრიზი: 0 |
| დაარსდა: 2006 | ჩემპიონი: 0 |

### ING რენო F 1

| | |
|---|---|
| ბოლიდი: R-29 | გრან პრი: 35 |
| ძრავა: რენო | პოული: 50 |
| საბურავები: ბრიჯსტოუნი | კონსტრუქტორთა პრიზი: 2 |
| დაარსდა: 1977 | ჩემპიონი: 2 |

### პანასონიკ ტოიოტა რასინგი

| | |
|---|---|
| ბოლიდი: TF 109 | გრან პრი: 0 |
| ძრავა: ტოიოტა | პოული: 2 |
| საბურავები: ბრიჯსტოუნი | კონსტრუქტორთა პრიზი: 0 |
| დაარსდა: 2002 | ჩემპიონი: 0 |

### სკუდერია ტორო როსო

| | |
|---|---|
| ბოლიდი: STR 4 | გრან პრი: 1 |
| ძრავა: ფერარი | პოული: 1 |
| საბურავები: ბრიჯსტოუნი | კონსტრუქტორთა პრიზი: 0 |
| დაარსდა: 2005 | ჩემპიონი: 0 |

### რედ ბულ რასინგი

| | |
|---|---|
| ბოლიდი: RB 5 | გრან პრი: 0 |
| ძრავა: რენო | პოული: 0 |
| საბურავები: ბრიჯსტოუნი | კონსტრუქტორთა პრიზი: 0 |
| დაარსდა: 2004 | ჩემპიონი: 0 |

### AT&T უილიამსი F1

| | |
|---|---|
| ბოლიდი: FW 31 | გრან პრი: 113 |
| ძრავა: ტოიოტა | პოული: 125 |
| საბურავები: ბრიჯსტოუნი | კონსტრუქტორთა პრიზი: 7 |
| დაარსდა: 1977 | ჩემპიონი: 9 |

### ფორს ინდია F1

| | |
|---|---|
| ბოლიდი: VJM 02 | გრან პრი: 0 |
| ძრავა: მერსედესი | პოული: 0 |
| საბურავები: ბრიჯსტოუნი | კონსტრუქტორთა პრიზი: 0 |
| დაარსდა: 2007 | ჩემპიონი: 0 |

### ბრაუნ GP

| | |
|---|---|
| ბოლიდი: MP4-24 | გრან პრი: 0 |
| ძრავა: მერსედესი | პოული: 0 |
| საბურავები: ბრიჯსტოუნი | კონსტრუქტორთა პრიზი: 0 |
| დაარსდა: 2009 | ჩემპიონი: 0 |

## პილოტები

| გუნდი | მრბოლი | ასაკი | ქვეყანა |
|---|---|---|---|
| მაკლარენი | ლუის ჰემილტონი | 24 | დ. ბრიტანეთი |
| | ჰეიკი კოვალაინენი | 27 | ფინეთი |
| რენო | ფერნანდო ალონსო | 27 | ესპანეთი |
| | ნელსონიო პიკე | 23 | ბრაზილია |
| ფერარი | ფელიპე მასა | 27 | ბრაზილია |
| | კიმი რაიკონენი | 29 | ფინეთი |
| ფორს ინდია | ადრიან სუტილი | 26 | გერმანია |
| | ჯანკარლო ფიზიკელა | 36 | იტალია |
| BMW-ზაუბერი | რობერტ კუბიცა | 24 | პოლონეთი |
| | ნიკ ჰაიდფელდი | 32 | გერმანია |
| ტოიოტა | იარნო ტრული | 34 | იტალია |
| | ტიმო გლოკი | 27 | გერმანია |
| რედ ბული | მარკ ვებერი | 32 | ავსტრალია |
| | სებასტიან ფეტელი | 21 | გერმანია |
| უილიამსი | ნიკო როსბერგი | 23 | გერმანია |
| | კაზუკი ნაკაჯიმა | 24 | იაპონია |
| ტორო როსო | სებასტიან ბურდე | 20 | საფრანგეთი |
| | სებასტიენ ბუემი | 20 | შვეიცარია |
| ბრაუნი | ჯეისონ ბატონი | 29 | დ. ბრიტანეთი |
| | რუბენს ბარიკელო | 26 | ბრაზილია |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აჰა, იხილეთ საოცრება!

**ცამდე** მართლები იყვნენ „რენოს", „ფერარის" და „რედ ბულის" საჯინიბოები, ძალიან რომ ეშინოდათ „ბრაუნის" გუნდისა და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციაშიც კი უჩიოდნენ.

საქმე ის გახლდათ, რომ „ბრაუნს" განსხვავებული დიფუზორის ძარა აქვს და სხვა საჯინიბოების მტკიცებით, ეს დამატებით უპირატესობას აძლევს ბრაუნელებს.

ფედერაციამ საჩივარი უარყო, თუმცალა საქმის ხელახალი განხილვა 14 აპრილსაა დანიშნული.

თუმცა, გინდ აქედან მოუდექი, გინდ იქიდან და რასაც გინდა დააბრალე, ფაქტია: ფორმულა I-ის დებიუტანტმა გუნდმა, რომელიც „ჰონდას" ჩაენაცვლა, მე-60 სეზონის პირველი ეტაპი ფენომენალური შედეგით დაასრულა — პირველ-მეორე ადგილებზე „ბრაუნის" პილოტები გავიდნენ.

თუმცა ისიც ვთქვათ, რომ „ბრაუნი" კია ახალი გუნდი, მაგრამ პილოტები ახალბედები სულაც არ ჰყავს.

ჯენსონ ბატონი: 156 რბოლა კარიერაში, 4 პოულ-პოზიცია, 2 გრან პრი, 16 პოდიუმი და 242 ჯამური ქულა.

რუბენს ბარიკელო: 272 რბოლა, 13 პოული, 9 გრან პრი, 63 პოდიუმი და 538 ჯამური ქულა.

„ეს ზღაპარი იყო — თქვა ჯენსონ ბანტონმა — ეგებ, ვილაცას გულიც წყდება, რომ ფინიშისას ტრასაზე პეის-კარი გამოვიდა, მაგრამ ეს ჩემი პრობლემა არ არის. მე გრან პრი მოვიგე და მეტი არაფერი მაინტერესებს."

და მოქმედი ჩემპიონი ლუის ჰემილტონი? კვალიფიკაციისას მას სიჩქარეთა გადაცემის კოლოფმა უმტყუნა და რბოლის დაწყება ბოლო პოზიციიდან მოუხდა. ამის გათვალისწინებით კი ჰემილტონის მეოთხე ადგილი ურიგო შედეგი არ არის.

აი, „ფერარის" კი მეტისმეტად შავად წაუვიდა საქმე— ჩახედეთ ცხრილს, სად არიან კიმი რაიკონენი და ფელიპე მასა.

ჰო, მასას ხსენებაზე: ბრაზილიელმა პილოტმა ჯერ კიდევ კვალიფიკაციის მერე იწინასწარმეტყველა, დიდი შანსია, მსოფლიოს ჩემპიონობა „ბრაუნის" რომელიმე პილოტმა მოიგოს, კვალიფიკაციისას რაც ვნახე, დიდებული ბოლიდები ჰყავთო.

და ერთიც: „რედ ბული" 50 ათასი დოლარით დაჯარიმდა, რაკილა მისი პილოტი სებასტიან ფეტელი დამნაშავედ სცნეს რობერი კუბიცასთან შეჯახებაში, რაც რბოლის დასრულებამდე სამი წრით ადრე მოხდა. ამასთანავე ფეტელი მომდევნო გრან პრის 10 პოზიციით უკან დაიწყებს, ვიდრე ეს კვალიფიკაციის შედეგით ერგება.

ისე, ამ ავარიითაც „ბრაუნმა" ისარგებლა — ფეტელი და კუბიცა ხომ მეორე ადგილისთვის იბრძოდნენ, ავარია რომ მოხდა და ორივე ტრასიდან გამოვიდა.








ჯენსონ ბატონი პელეტონს თავში ჩაუდგა და არც არავინ გაატარა

**პირველი ეტაპი ავსტრალიის დიდი პრიზი**

**ალბერტ პარკი**

*მელბურნი, 29 მარტი*



ტრასის სიგრძე ---------------------------------------- 5.303 კმ
რბოლის დისტანცია -------------------------- 58 წრე — 307.574 კმ

## ფორმულა 1. 60-ე მსოფლიოს ჩემპიონატი პირველი ეტაპი

**რბოლის შედეგები**

**ავსტრალიის დიდი პრიზი**
29 მარტი. მელბურნი
დისტანცია 58 წრე — 307,574 კმ

| | |
|---|---|
| 1(1). ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, „ბრაუნი") | 1სთ.34წთ.15,784წმ |
| 2(2). რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, „ბრაუნი") | +0,8წმ |
| 3(3). იარო ტრული (იტალია, „ტოიოტა") | +1,6 |
| 4(4). ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, „მაკლარენი") | +2,9 |
| 5(5). ტიმო გლოკი (გერმანია, „ტოიოტა") | +4,4 |
| 6(6). ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, „რენო") | +4,8 |
| 7(7). ნიკო როსბერგი (გერმანია, „უილიამსი") | +5,7 |
| 8(8). სებასტიენ ბუემი (შვეიცარია, „ტორო როსო") | +6,0 |
| 9(9). სებასტიან ბურდე (საფრანგეთი, „ტორო როსო") | +6,2 |
| 10(10). ადრიან სუტილი (გერმანია, „ფორს ინდია") | +6,3 |
| 11(11). ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, „BMW-ზაუბერი") | +7,0 |
| 12(12). ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, „ფორს ინდია") | +7,3 |
| 13(13). მარკ ვებერი (ავსტრალია, „რედ ბული") | +1 წრე |
| 14(14). სებასტიან ფეტელი (გერმანია, „რედ ბული") | +2 წრე |
| 15(15). რობერტ კუბიცა (პოლონეთი, „BMW-ზაუბერი") | +3 წრე |
| 16(16). კიმი რაიკონენი (ფინეთი, „ფერარი") | +3 წრე |
| **რბოლას გამოეთიშნენ** | |
| 17(17). ფელიპე მასა (ბრაზილია, „ფერარი") | გაიარა 45 წრე |
| 18(18). ნელსინიო პიკე (ბრაზილია, „რენო") | 24 |
| 19(19). კაზუკი ნაკაჯიმა (იაპონია, „უილიამსი") | 17 |
| 20(22). ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, „მაკლარენი") | 0 |

*ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი*

| პოული | |
|---|---|
| *ჯენსონ ბატონი* | 1 წთ 24,855 წმ |

| საუკეთესო წრე | |
|---|---|
| *ნიკო როსბერგი* | 1 წთ 27,706 წმ (საშ. სიჩქარე 217,668 კმ/სთ) |

| Formula 1 | ავსტრალია 29 მარტი | მალაიზია 5 აპრილი | ჩინეთი 19 აპრილი | ბაჰრეინი 26 აპრილი | ესპანეთი 11 მაისი | მონაკო 24 მაისი | თურქეთი 7 ივნისი | ბრიტანეთი 21 ივნისი | გერმანია 17 ივლისი | უნგრეთი 26 ივლისი | ევროპა 23 აგვისტო | ბელგია 30 აგვისტო | იტალია 13 სექტემბერი | სინგაპური 13 სექტემბერი | იაპონია 4 ოქტომბერი | ბრაზილია 18 ოქტომბერი | აბუ-დაბი 1 ნოემბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბატონი | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 ბარიკელო | 8 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 ტრული | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 ჰემილტონი | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 გლოკი | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 6 ალონსო | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 7 როსბერგი | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 8 ბუემი | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 9 ბურდე | 0 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 10 სუტილი | 0 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ბრაუნი | 18 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 ტოიოტა | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 მაკლარენი | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 რენო | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 უილიამსი | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | |

[illegible] — 1 ქულა

## კრივი

# სანამ დიადი კვლავ გამოჩნდება

**ჭადრაკისა** არ იყოს, საკრივო სამყაროც გვარიანად არეულია. ადრე თუ მკაფიოდ იცოდი, ვინ იყო მსოფლიოს ჩემპიონი, კარგა ხანია, ასე აღარ არის და საკრივო ორგანიზაციებს მაგრამ უჭირთ ერთმანეთში შეთანხმება.

ჯო ლუისები, როკი მარჩიანოები და მათი დარი დიადი აბსოლუტური ჩემპიონების დრო წავიდა, დღეს უბრალოდ მაგარი ბიჭების ჟამი დგას.

ქვემოთ ოთხი მთავარი საკრივო ორგანიზაციების ვერსიების მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპეიონებს და ტიტულის მთავარ  პრეტენდენტთა ვინაობას შეგახსენებთ.

**WBC**

ჩემპიონი: ვიტალი კლიჩკო (უკრაინა)
პრეტენდენტი: ვლადიმირ ვირჩისი (უკრაინა)

**WBA**

ჩემპიონი: რუსლან ჩაგაევი (უზბეკეთი)
პრეტენდენტი: ნიკოლაი ვალუევი (რუსეთი)

**IBF**

ჩემპიონი: ვლადიმირ კლიჩკო (უკრაინა)
პრეტენდენტი: ალექსანდრ პოვეტკინი (რუსეთი)

**WBO**

ჩემპიონი: ვლადიმირ კლიჩკო (უკრაინა)
პრეტენდენტი: ალექსანდრ დმიტრენკო (უკრაინა)

# 41 წელი სიკვდილის მოლოდინში





იაპონელებმა ივაო ჰაკამადას საგანგებო სტენდიც მიუძღვნეს

**იაპონიის** სააპელაციო სასამართლომ ყოფილ პროფესიონალ მოკრივეს ივაო ჰაკამადას საქმის გადახედვაზე უარი უთხრა. ეს ნიშნავს, რომ ჰაკამადას სიკვდილით დასჯიან — ეს სასჯელი კი მას მთელი 41 წლის წინ გამოუტანეს და მას მერე სიკვდილმისჯილთა საკანში ზის.

ჰაკამადა პროფესიულ რინგზე 1959-61 წლებში გამოდიოდა და 28 ჩხუბიდან 16 მოიგო.

1968 წელს ის იმ ფაბრიკის დირექტორის, მისი ცოლის და შვილების მკვლელობისთვის გაასამართლეს, სადაც თავად მუშაობდა. ჰაკამადას ამ უმძიმესი დანაშაულის საზღაურად სიკვდილი მიუსაჯეს.

თუმცა ყველაფერი არც ისე მარტივადაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. საქმე ის გახლავთ, რომ ბრალდებას საფუძვლიანი მტკიცებულებები აკლდა. ასე მაგალითად, ერთადერთ ნივთმტკიცებად ბრალმდებლებმა სისხლით მოთხვრილი პერანგი წარადგინეს, რომელიც, თითქოსდა, ჰაკამადას ეკუთვნოდა. დამცველთა კონტრ-არგუმენტი, რომ ეს პერანგი სულაც არ იყო ჰაკამადას ზომისა, სასამართლომ არ გაითვალისწინა.

თავდაპირველად ბრალდებული ყველაფერს უარყოფდა, მაგრამ ყოველდღიურ წამებას ვერ გაუძლო და დანაშაულის აღიარებას ხელი მოაწერა. ეს თავად თქვა სასამართლოზე, მაწამებდნენო: ყოველდღე 10 საათი შეუსვენებლად მკითხავდნენ, არც წყლის დალევის უფლებას მაძლევდნენ და არც ტუალეტში მიშვებდნენო.

ყოფილმა მოკრივემ სიკვდილმისჯილთა კამერაში 41 წელი გაატარა. იაპონიის პროფესიონალ მოკრივეთა ასოციაცია კი ჰაკამადას განთავისუფლებისთვის ბრძოლას, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, მაინც განაგრძობს.

**ირაკლი ნინიძე**

# ჩემპიონის აღსასრული

**სეულის** ოლიმპიადის ჩემპიონი იტალიელი მოკრივე ჯოვანი პარიზი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. 42 წლის პარიზი საჭესთან იჯდა და პირდაპირ მომავალ სატვირთო მანქანას შეასკდა.

სეულში მან ოქრო 57 კგ-ში მოიპოვა და გარდა ამისა, ის ორგზის მსოფლიოს ჩემპიონიც იყო.

სეულში გამარჯვების მერე (1988) პარიზი პროფესიონალებში გადავიდა და WBO-ს ვერსიითაც გახდა მსოფლიოს ჩემპიონი (61 კგ). მუშტი WBC-შიც მოსინჯა, ოღონდ 63,5 კგ-ში და საჩემპიონო ჩხუბი მექსიკელ ხულიო სესარ ჩავესთან წააგო. WBO-ს ჩემპიონის ტიტული კი ექვსჯერ დაიცვა.

კარიერა 2006 წელს დაასრულა და პროფესიულ რინგს 47 ბრძოლით და 41 გამარჯვებით გამოემშვიდობა. ამათგან 29 ბრძოლა ნოკაუტით მოიგო.

**ირაკლი ნინიძე**






## ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი

*„ვაშინგტონთან" მატჩისას, რომელიც „კოლორადომ" ბულიტებით მოიგო, ასეთი ინციდენტი მოხდა: კოლორადოელთა მეკარე მარტინ პერბერი მის კარში გასულმა გოლმა გაანაწყენა, მსაჯს აუხირდა — არ უნდა ჩაგეთვალაო — და ჯერ ხომ ბორტს მიანარცხა, მერე შაიბაც გაუქანა. მარტინ პერბერს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია უბოძეს.*

23 მარტი
რეინჯერსი 1:2 ოტავა
ანაჰაიმი 6:2 ფინიქსი
სან ხოსე 3:1 კოლორადო
24 მარტი
ფლორიდა 2:3 (ოტ) კაროლინა
ფილადელფია 4:2 ნიუ ჯერსი
კალგარი 5:3 დეტროიტი
25 მარტი
ტორონტო 3:2 (ბ) ვაშინგტონი
რეინჯერსი 2:1 მინესოტა
მონრეალი 6:3 ატლანტა
ტამპა 2:1 (ოტ) კოლამბუსი
ნეშვილი 1:2 (ბ) ანაჰაიმი
სენტ ლუისი 2:0 ლოს ანჯელესი
დალასი 2:5 ვანკუვერი
ედმონტონი 2:3 დეტროიტი
26 მარტი
ბუფალო 5:3 ფლორიდა
აილენდერსი 2:6 მინესოტა
კაროლინა 2:1 ოტავა
პიტსბურგი 2:0 კალგარი
ჩიკაგო 6:5 (ბ) სან ხოსე
კოლორადო 2:7 ანაჰაიმი
27 მარტი
ფილადელფია 2:4 ფლორიდა
ატლანტა 5:4 (ბ) რეინჯერსი
კოლამბუსი 5:0 კალგარი
მონრეალი 3:2 (ოტ) ტამპა
ნეშვილი 3:2 სან ხოსე
სენტ ლუისი 4:2 ვანკუვერი
დალასი 0:1 (ბ) ლოს ანჯელესი
ფინიქსი 3:2 ედმონტონი
28 მარტი
ვაშინგტონი 5:3 ტამპა
ბუფალო 5:3 ტორონტო
დეტროიტი 0:2 აილენდერსი
ჩიკაგო 3:2 (ოტ) ნიუ ჯერსი
კოლორადო 1:4 ვანკუვერი
ანაჰაიმი 3:5 ედმონტონი
პიტსბურგი 4:3 რეინჯერსი
29 მარტი
ნეშვილი 4:3 ლოს ანჯელესი
ტორონტო 5:7 ბოსტონი
მონრეალი 3:4 (ბ) ბუფალო
ნიუ ჯერსი 1:2 კაროლინა
აილენდერსი 3:4 (ბ) ფილადელფია
ატლანტა 6:3 ოტავა
დალასი 3:6 ფლორიდა
სენტ ლუისი 4:3 (ბ) კოლამბუსი
კალგარი 3:2 მინესოტა
სან ხოსე 3:2 ფინიქსი

NHL

| აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 75 | 47 | 4 | 24 | 228:186 | 98 |
| ფილადელფია | 74 | 41 | 10 | 23 | 239:213 | 92 |
| პიტსბურგი | 76 | 41 | 8 | 27 | 239:225 | 90 |
| რეინჯერსი | 76 | 39 | 9 | 28 | 196:208 | 87 |
| აილენდერსი | 75 | 25 | 9 | 41 | 189:244 | 59 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ბოსტონი | 74 | 47 | 10 | 17 | 250:176 | 104 |
| მონრეალი | 75 | 38 | 10 | 27 | 226:229 | 86 |
| ბუფალო | 75 | 37 | 8 | 30 | 226:217 | 82 |
| ტორონტო | 76 | 31 | 13 | 32 | 230:271 | 75 |
| ოტავა | 74 | 32 | 10 | 32 | 197:215 | 74 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ვაშინგტონი | 76 | 46 | 7 | 23 | 245:222 | 99 |
| კაროლინა | 77 | 42 | 7 | 28 | 220:214 | 91 |
| ფლორიდა | 76 | 37 | 11 | 28 | 213:216 | 85 |
| ატლანტა | 76 | 32 | 6 | 38 | 237:262 | 70 |
| ტამპა | 75 | 24 | 17 | 34 | 196:249 | 65 |

| დასავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 75 | 49 | 9 | 17 | 276:221 | 107 |
| ჩიკაგო | 73 | 40 | 11 | 22 | 242:198 | 91 |
| კოლამბუსი | 75 | 39 | 8 | 28 | 210:206 | 86 |
| ნეშვილი | 75 | 37 | 8 | 30 | 192:206 | 82 |
| სენტ ლუისი | 75 | 36 | 9 | 30 | 209:217 | 81 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კალგარი | 75 | 43 | 6 | 26 | 241:230 | 92 |
| ვანკუვერი | 74 | 40 | 9 | 25 | 225:203 | 89 |
| ედმონტონი | 75 | 36 | 9 | 30 | 216:228 | 81 |
| მინესოტა | 75 | 35 | 8 | 32 | 192:185 | 78 |
| კოლორადო | 75 | 31 | 2 | 42 | 192:243 | 64 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| სან ხოსე | 75 | 49 | 11 | 15 | 243:187 | 109 |
| ანაჰაიმი | 75 | 37 | 6 | 32 | 215:216 | 80 |
| დალასი | 75 | 33 | 9 | 33 | 209:234 | 75 |
| ლოს ანჯელესი | 75 | 31 | 11 | 33 | 191:219 | 73 |
| ფინიქსი | 75 | 21 | 7 | 37 | 186:230 | 69 |

*I გრაფა — თამაში; II — მოგება; III — ოვერტაიმში წაგება; IV — წაგება; V — შაიბების სხაობა; VI — ქულა*

# ისევ და ისევ გული

**33 წლისა** გულის შეტევით გარდაიცვალა უნგრეთის ნაკრების ჰოკეისტი გაბორ ოსკაი.

ის „ალბა ვოლანში" თამაშობდა და დაღუპვამდე ერთი კვირით ადრე ქვეყნის ჩემპიონი გახდა. ეს მისი მეცხრე ტიტული იყო და ამასთანავე ოსკაი სამჯერ გახლდათ დასახელებული ჩემპიონატის საუკეთესო ჰოკეისტად.

ნაკრებში 187 მატჩი ჰქონდა ჩატარებული და შარშან მისი დახმარებით, უნგრული ჰოკის ისტორიაში პირველად, ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ელიტარულ ჯგუფში მოხვდა.

უნგრულ სპორტში ეს მეორე ხმაურიანი სიკვდილია. 2004 წელს პორტუგალიური „ბენფიკას" და უნგრეთის ნაკრების ფეხბურთელი მიკლოშ ფეჰერი მოედანზე დაიღუპა. მიზეზი მაშინაც გულის შეტევა იყო.

## რაგბი

# ტოპ-ოდრისკოლი!

**ექვსი** ერის გათამაშება წინა კვირას ირლანდიელთა გამარჯვებით რომ დასრულდა, სარბიელი გულშემატკივრებს დაეთმოთ: მათ შეჯიბრის საუკეთესო მორაგბე უნდა გამოევლინათ.

გამოკითხვაში დაახლოებით 24 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, რომელთა 30-მა პროცენტმა საუკეთესოდ ირლანდიელთა კაპიტანი ბრაიან ოდრისკოლი მიიჩნია.

ამ გათამაშებაში ოდრისკოლმა 4 ლელო დადო, მათგან ერთი — უელსთან გადამწყვეტ მატჩში. საერთოდ, ოდრისკოლისთვის ეს მესამე ამგვარი გამარჯვებაა — ის 2006 და 2007 წლებშიც საუკეთესოდ სცნეს.

# HAPPY BIRTHDAY

www.wikipedia.org

**30 მარტი**

1934 მაჰმუტ ატალაი (თურქეთი, ძალოსნობა)
1940 ჯერი ლუკასი (აშშ, კალათბურთი)
1963 ალექსეი მიხაილიჩენკო (სსრკ, ფეხბურთი)
1973 იან კოლერი (ჩეხეთი, ფეხბურთი)
1978 კრის პატერსონი (შოტლანდია, რაგბი)
1984 მარიო ანჩიჩი (ხორვატია, ჩოგბურთი)
1986 სერხიო რამოსი (ესპანეთი, ფეხბურთი)

**31 მარტი**

1878 ჯეკ ჯონსონი (აშშ, კრივი)
1893 ალფრედო პეცანა (იტალია, ფარიკაობა)
1928 გორდი ჰოუ (კანადა, ჰოკეი)
1951 საიმონ დიკი (ახალი ზელანდია, ნიჩბოსნობა)
1969 სტივ სმიტი (აშშ, კალათბურთი)
1971 პაველ ბურე (რუსეთი, ჰოკეი)
1978 ჟერომ როტენი (საფრანგეთი, ფეხბურთი)
1982 ტალ ბენ ჰაიმი (ისრაელი, ფეხბურთი)
1982 ფილიპ მექსეში (საფრანგეთი, ფეხბურთი)

**1 აპრილი**

1882 პოლ ანსპახი (ბელგია, ფარიკაობა)
1946 არიგო საკი (იტალია, ფეხბურთი)
1962 სამბოი ლიმი (ფილიპინები, კალათბურთი)
1964 სკოტ სტივენსი (კანადა, ჰოკეი)
1965 მარკ ჯექსონი (აშშ, კალათბურთი)
1971 შინჯი ნაკანო (იაპონია, ავტორბოლა)
1972 დარენ მაკარტი (კანადა, ჰოკეი)
1974 პაოლო ბეტინი (იტალია, ველორბოლა)
1977 აიმარ სუბელდია (ესპანეთი, ველორბოლა)
1979 ივანო ბალიჩი (ხორვატია, ხელბურთი)
1981 ანტონის ფოცისი (საბერძნეთი, კალათბურთი)
1981 ბიორნ რომორენი (ნორვეგია, ტრამპლინიდან ხტომა)
1988 ტყუპი ძმები ბრუკ და რაულ ლოპესები (აშშ, კალათბურთი)

**2 აპრილი**

1926 ჯეკ ბრებემი (ავსტრალია, ავტორბოლა)
1927 ფერენც პუშკაში (უნგრეთი, ფეხბურთი)
1959 იუკა კანკუნენი (ფინეთი, ავტორბოლა)
1960 ლინფორდ კრისტი (ბრიტანეთი, მძლეოსნობა)
1971 ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია, ჩოგბურთი)

**3 აპრილი**

1911 სტანისლავა ვალასიევიჩი (პოლონეთი, მძლეოსნობა)
1964 ბიარნე რიისი (დანია, ველორბოლა)
1971 პიკაბო სთრითი (აშშ, მთის თხილამურობა)
1972 სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი, ჩოგბურთი)
1972 კენი ლოგანი (შოტლანდია, რაგბი)
1975 მაიკლ ოლოვოკანდი (ნიგერია, კალათბურთი)
1978 ტომი ჰაასი (გერმანია, ჩოგბურთი)
1978 ჯონ სმიტი (სამხრეთ აფრიკა, რაგბი)
1985 იარი-მარტი ლატვალა (ფინეთი, ავტორბოლა)

**4 აპრილი**

1952 როზმარი აკერმანი (აღმ. გერმანია, მძლეოსნობა)
1964 ბრანკო (ბრაზილია, ფეხბურთი)
1973 ლორის კაპიროსი (იტალია, მოტორბოლა)
1974 სტიუარტ გრიმსი (შოტლანდია, რაგბი)
1976 ემერსონი (ბრაზილია, ფეხბურთი)
1979 რობერტო ლუონგო (კანადა, ჰოკეი)
1983 ბენ გორდონი (აშშ, კალათბურთი)
1985 რუდი ფერნანდესი (ესპანეთი, კალათბურთი)

**5 აპრილი**

1893 კლას ტუნბერგი (ფინეთი, ციგურაობა)
1922 ტომ ფინი (ინგლისი, ფეხბურთი)
1975 შემონდ უილიამსი (აშშ, კალათბურთი)
1975 ჯონ ჰარტსონი (უელსი, ფეხბურთი)
1976 კიმ კოლინზი (სენტ კიტსი, მძლეოსნობა)
1976 სიმონე ინძაგი (იტალია, ფეხბურთი)
1976 ფერნანდო მორიენტესი (ესპანეთი, ფეხბურთი)
1978 ფრანცისკა ვან ალმსიკი (გერმანია, ცურვა)
1978 სტივ ჯექსონი (აშშ, კალათბურთი)
1979 ტიმო ჰილდებრანდი (გერმანია, ფეხბურთი)
1982 ტომას ჰიცლშპერგერი (გერმანია, ფეხბურთი)




1 აპრილს 21 წლისა შესრულდნენ ტყუპი ძმები ბრუკ და რაულ ლოპესები, რომლებიც პირველ სეზონს ატარებენ ნბა-ში. რაული „ფინიქსში" შაკილ ონილის სამარქაფოა, ბრუკი კი „ნიუ ჯერსის" ერთ-ერთ ლიდერად ყალიბდება

# იუბილარი ლეგენდები



1908 წელი, სიდნეი:
ჯეკ ჯონსონი ამ ბრძოლაში ამარცხებს კანადელ მსოფლიოს ჩემპიონ ტომი ბანსის და თავად ხდება ჩემპიონი



## 1978 წლის 31 მარტი
## ჯეკ ჯონსონი
### (აშშ, კრივი)

პირველი ზანგი მსოფლიოს ჩემპიონი კრივში, „გალვერსტონელ გოლიათად" წოდებული ჯეკ ჯონსონი გახლდათ გასული საუკუნის პირველი ოცწლეულის ყველაზე ცნობილი აფრო-ამერიკელი. დაიბადა ტეხასის შტატში, მექსიკის ყურეში კუნძულ გალვერსტოუნზე ყოფილი მონების ოჯახში. სიღარიბეში გაზრდილმა ჯეელობაშივე დაიგდო ძლიერი მოკრივის სახელი, 30 წლისა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ტიტული 7 წელი ატარა. დაცვაში ჩასაფრებული კრივობდა და მეტოქის შეცდომებს საკუთარ გამარჯვებად აქცევდა. ბევრი აკრიტიკებდა ზედმეტი სიფრთხილის გამო, აქაოდა, მისი მიზანი მოწინააღმდეგის დანოკაუტება კი არა მოქანცვააო. მაგრამ კრიტიკა ხშირად უსამართლო იყო. გაცილებით ფრთხილი მოკრივე გახლდათ წინა თაობის მსოფლიოს ჩემპიონი, „ჯენტლმენად" წოდებული თეთრკანიანი ჯეიმს კორბეტი, მაგრამ მასზე კაციშვილს აუგი არ დასცდენია, პირიქით, უჭკვიანეს მოკრივედ მოიხსენიებდნენ.



## 1928 წლის 31 მარტი
## გორდი ჰოუ
### (კანადა, ჰოკეი)

გორდი ჰოუს მრავალ მეტსახელთაგან ერთი განსაკუთრებული ამოირჩევა — „მისტერ ჰოკეი". უეინ გრეცკის გამოჩენამდე ნჰლ-ს ყველა დროის უძლიერეს ჰოკეისტად მოიხსენიებდნენ. ოთხგზის ჩემპიონი, ექვსგზის სეზონის საუკეთესო მოთამაშე, ექვსგზის ბომბარდირი. ყველა სიკეთესთან ერთად ჰოუს არაადამიანური გამძლეობა ჰქონდა და კარიერა 1945 წელს რომ დაიწყო, 1980 წელს დაასრულა. ბოლო სეზონში 52 წლისამ 80 თამაშში ისრიალა და 15 გოლი გაიტანა. 70 წლის იყო, ერთ-ერთ ქვედა ლიგაში სიმბოლურად ერთი თამაში რომ ჩაატარა.



## 1979 წლის 1 აპრილი
## ივანო ბალიჩი
### (ხორვატია, ხელბურთი)

ყოფილი კალათბურთელი ივანო ბალიჩი თანამედროვეობის საუკეთესო ხელბურთელი ხომ გახლავთ და ხშირად ყველა დროის საუკეთესოდაც მოიხსენიებენ. საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე თითქმის ყველა ტურნირში ოფიციალურ რჩეულად ასახელებენ. ხორვატიის ნაკრებს 2004 წელს ოლიმპიადა, ხოლო 2005 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი მოაგებინა. ნაკრებში 108 თამაშში 264 გოლი გაუტანია.



## 1926 წლის 2 აპრილი
## ჯეკ ბრებემი
### (ავსტრალია, ავტორბოლა)

ავტოსპორტში მისვლამდე ჯეკ ბრებემი ავსტრალიის საჰაერო ძალების მექანიკოსი გახლდათ და მიწაზე „მლოლავი" მანქანების მექანიზმებში გარკვევა მისთვის სახალისო თამაშივით იყო. სამჯერ გახდა ფორმულა ერთში მსოფლიოს ჩემპიონი, მესამედ საკუთარი აწყობილი მანქანით „ბრებემ-რეპკოთი". მისმა საჯინიბომ მერე კიდევ სამჯერ მოიპოვა მსოფლიოს ინდივიდუალური ჩემპიონობა.



## 1927 წლის 2 აპრილი
## ფერენც პუშკაში
### (უნგრეთი, ფეხბურთი)

50-იანი წლების არაოფიციალურად უძლიერესი ნაკრების ლიდერმა და კაპიტანმა უნგრეთის ნაკრებში 85 თამაშში 84 გოლი გაიტანა და ისტორიაში ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელის სახელი დატოვა. 1958 წელს უნგრეთში რევოლუციის შემდეგ ესპანეთში გადაიხვეწა და იქ „რეალ მადრიდში" ალფრედო დი სტეფანოსთან, რაიმონ კოპასთან, ფრანცისკო ხენტოსთან და სხვა ვარსკვლავებთან ერთად საგმირო საქმეები დაატრიალა.



## 1978 წლის 3 მარტი
## ჯონ სმიტი
### (სამხრეთ აფრიკა, რაგბი)

ჯონ სმიტი აგერ 4 წელია, სამხრეთაფრიკელ „ქურციკებს" ყოჩობს, თანამემამულეებს 55 მატჩში გაუძღვა და სამხრეთაფრიკული რაგბის ისტორიაში ყველაზე „დღეგრძელ" კაპიტნად შევიდა. ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონობაში ლომის წილი დაიდო.

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ღონიერი ჰუკერი, რომელსაც ნაკრებში ბურჯადაც უთამაშია.

## 1978 წლის 5 აპრილი
## ფრანცისკა ვან ალმსიკი
### (გერმანია, ცურვა)

ულამაზეს გერმანელ მოცურავე ფრანცისკა ვან ალმსიკს არასდროს მოუგია ოლიმპიადა, არადა, 1992-2004 წლებში ოთხ თამაშებზე გამოვიდა. სახელს და დიდებას ეძებდა ყველაზე პრესტიჟულ სახეობებში — 100 და 200 მეტრ თავისუფალი სტილით ცურვაში, მაგრამ ამერიკელ და ავსტრალიელ გოგონებს მუდამ წამის მეათედებით ჩამორჩებოდა. ოლიმპიადების ოთხგზის ვერცხლის და ექვსგზის ბრინჯაოს პრიზიორია. 1994 წელს მოახერხა და მსოფლიოს ჩემპიონატზე 200 მეტრზე იპირველა. ევროპის ჩემპიონატებზე კი ტოლი არ ჰყავდა და კონტინენტის პირველობაზე 18 (!) ოქრო მოუპოვებია.

მოცურავის კარიერის დასრულების შემდეგ სამოდელო ბიზნესში გადაერთო.



ფრანცისკა ვან ალმსიკი სპორტს და შოუ-ბიზნესს კარგად უთავსებს ერთმანეთს

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **მჩ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **1 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 1 | ბულგარეთი-კვიპროსი | 1.40 | 3.80 | 8.00 | 1.02 | 1.19 | 2.57 |
| 18:00 | 3 | ესტონეთი-სომხეთი | 2.05 | 3.25 | 3.25 | 1.25 | 1.25 | 1.62 |
| 18:30 | 5 | ლატვია-ლუქსემბურგი | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| 20:00 | 7 | უნგრეთი-მალტა | 1.15 | 7.00 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 4.27 |
| 21:30 | 11 | ლიხტენშტაინი-რუსეთი | 24.00 | 9.00 | 1.05 | 6.54 | 1.00 | 1.00 |
| 23:00 | 13 | ინგლისი-უკრაინა | 1.45 | 3.75 | 6.80 | 1.04 | 1.19 | 2.41 |
| 21:00 | 15 | თურქეთი-ესპანეთი | 3.55 | 3.25 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.21 |
| 21:15 | 17 | დანია-ალბანეთი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 21:30 | 19 | პოლონეთი-სან მარინო | 1.01 | 12.00 | 34.00 | 1.00 | 1.00 | 8.86 |
| 22:30 | 21 | შვეიცარია-მოლდოვა | 1.15 | 6.50 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.33 |
| 21:30 | 23 | ანდორა-ხორვატია | 34.00 | 12.00 | 1.01 | 8.86 | 1.00 | 1.00 |
| 19:30 | 25 | ყაზახეთი-ბელარუსი | 3.45 | 3.20 | 2.00 | 1.66 | 1.26 | 1.23 |
| 21:30 | 27 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | 1.45 | 3.75 | 6.75 | 1.04 | 1.19 | 2.41 |
| 21:30 | 29 | ავსტრია-რუმინეთი | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 21:45 | 31 | ჩრდ.ირლანდია-სლოვენია | 2.35 | 3.25 | 2.70 | 1.36 | 1.25 | 1.47 |
| 21:45 | 33 | უელსი-გერმანია | 6.00 | 3.75 | 1.50 | 2.30 | 1.20 | 1.07 |
| 21:45 | 35 | ბოსნია-ბელგია | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 21:50 | 37 | იტალია-ირლანდია | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| 22:00 | 39 | საფრანგეთი-ლიტვა | 1.25 | 4.75 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.31 |
| 22:00 | 41 | შოტლანდია-ისლანდია | 1.55 | 3.65 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.19 |
| 21:30 | 43 | საბერძნეთი-ისრაელი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 22:45 | 45 | ჰოლანდია-მაკედონია | 1.20 | 5.25 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.73 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 15:45 | 81 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 2.65 | 3.25 | 2.70 | 1.45 | 1.33 | 1.47 |
| 18:00 | 83 | ნიუკასლი-ჩელსი | 5.30 | 3.50 | 1.70 | 2.10 | 1.28 | 1.14 |
| 18:00 | 85 | ჰალი-პორტსმუთი | 2.60 | 3.25 | 2.75 | 1.44 | 1.33 | 1.48 |
| 18:00 | 87 | ვესტ ბრომვიჩი-სტოკი | 2.20 | 3.20 | 3.50 | 1.30 | 1.35 | 1.67 |
| 18:00 | 89 | ბოლტონი-მიდლსბრო | 2.15 | 3.20 | 3.65 | 1.28 | 1.35 | 1.70 |
| 18:00 | 91 | არსენალი-სიტი | 1.60 | 3.60 | 7.00 | 1.10 | 1.30 | 2.37 |
| 18:00 | 93 | ვესტ ჰემი-სანდერლენდი | 2.00 | 3.20 | 4.10 | 1.23 | 1.34 | 1.79 |
| 20:30 | 95 | ფულემი-ლივერპული | 6.20 | 3.50 | 1.65 | 2.23 | 1.30 | 1.12 |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 97 | ევერტონი-უიგანი | 1.75 | 3.40 | 5.30 | 1.15 | 1.31 | 2.07 |
| 19:00 | 99 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.40 | 4.30 | 9.00 | 1.05 | 1.21 | 2.90 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **31 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 125 | როვერსი-ჰადერსფილდი | 2.10 | 3.40 | 3.10 | 1.29 | 1.25 | 1.62 |
| 22:45 | 126 | იოვილი-ნორთჰემპტონი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 22:45 | 127 | მილუოლი-კოლჩესტერი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **31 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 140 | ლუტონი-როთერჰემი | 2.40 | 3.40 | 2.45 | 1.40 | 1.21 | 1.42 |
| 22:45 | 141 | ალდერშოტი-ჩესტერფილდი | 2.60 | 3.10 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| 22:45 | 143 | ლინკოლნი-მაკლსფილდი | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| 22:45 | 144 | უიკომბი-ბარნეტი | 1.65 | 3.60 | 4.55 | 1.13 | 1.21 | 2.00 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **31 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 157 | უოკინგი-კემბრიჯი | 3.80 | 3.50 | 1.75 | 1.82 | 1.19 | 1.16 |
| 22:45 | 158 | გრეისი-რაშდენი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 21:45 | 159 | იორკი-სტივენეიჯი | 2.65 | 3.30 | 2.30 | 1.46 | 1.23 | 1.35 |
| 22:45 | 160 | ნორთვიჩი-სელისბერი | 2.80 | 3.40 | 2.20 | 1.53 | 1.23 | 1.33 |
| 22:45 | 161 | ბარტონი-კეტერინგი | 1.60 | 3.60 | 4.80 | 1.10 | 1.20 | 2.05 |
| 22:45 | 162 | ისტბორნი-ქროული | 2.45 | 3.40 | 2.45 | 1.42 | 1.22 | 1.42 |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 163 | ებსფლითი-ალტრინჰემი | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| | | **31 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 164 | უოკინგი-კემბრიჯი | 4.50 | 3.40 | 1.80 | 1.93 | 1.28 | 1.17 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 166 | რექსემი-ბაროუ | 1.60 | 3.60 | 4.80 | 1.10 | 1.20 | 2.05 |
| 22:45 | 167 | ისტბორნი-ებსფლითი | 1.95 | 3.50 | 3.20 | 1.25 | 1.21 | 1.67 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **31 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 227 | ფორფარი-კოუდენბითი | 2.60 | 3.40 | 2.25 | 1.47 | 1.20 | 1.35 |
| 22:45 | 228 | ელგინი-დამბარტონი | 3.80 | 3.60 | 1.75 | 1.84 | 1.19 | 1.17 |
| 22:45 | 229 | ალბიონი-სტენჰაუზმური | 2.40 | 3.50 | 2.40 | 1.42 | 1.20 | 1.42 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **3 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 243 | არმინია-შალკე | 3.50 | 3.20 | 2.10 | 1.67 | 1.31 | 1.26 |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 245 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 2.50 | 3.25 | 2.70 | 1.41 | 1.29 | 1.47 |
| 17:30 | 247 | ბოხუმი-შტუტგარტი | 2.85 | 3.25 | 2.40 | 1.51 | 1.30 | 1.38 |
| 17:30 | 249 | ჰერტა-დორტმუნდი | 2.10 | 3.30 | 3.50 | 1.28 | 1.31 | 1.69 |
| 17:30 | 251 | აინტრახტი-კოტბუსი | 1.85 | 3.30 | 4.25 | 1.18 | 1.28 | 1.85 |
| 17:30 | 253 | ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი | 1.85 | 3.40 | 4.30 | 1.19 | 1.29 | 1.89 |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 255 | კიოლნი-ლევერკუზენი | 3.35 | 3.25 | 2.15 | 1.64 | 1.30 | 1.29 |
| 19:00 | 257 | ვერდერი-ჰანოვერი | 1.45 | 4.00 | 7.50 | 1.06 | 1.21 | 2.60 |
| 19:00 | 259 | კარლსრუე-გლადბახი | 2.45 | 3.25 | 2.85 | 1.39 | 1.31 | 1.51 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 385 | სამპდორია-ნაპოლი | 2.05 | 3.00 | 4.00 | 1.21 | 1.35 | 1.71 |
| 17:00 | 387 | იუვენტუსი-კიევო | 1.35 | 4.50 | 9.50 | 1.03 | 1.18 | 3.05 |
| 17:00 | 389 | მილანი-ლეჩე | 1.30 | 5.00 | 10.00 | 1.03 | 1.15 | 3.33 |
| 17:00 | 391 | კალიარი-კატანია | 2.00 | 2.95 | 4.10 | 1.19 | 1.34 | 1.71 |
| 17:00 | 393 | სიენა-ლაციო | 2.35 | 2.90 | 3.25 | 1.29 | 1.36 | 1.53 |
| 17:00 | 395 | რომა-ბოლონია | 1.50 | 3.55 | 7.50 | 1.05 | 1.25 | 2.40 |
| 17:00 | 397 | უდინეზე-ინტერი | 4.50 | 3.20 | 1.85 | 1.87 | 1.31 | 1.17 |
| 17:00 | 399 | რეჯინა-ჯენოა | 3.20 | 2.95 | 2.35 | 1.53 | 1.35 | 1.30 |
| 17:00 | 401 | პალერმო-ტორინო | 1.70 | 3.30 | 5.50 | 1.12 | 1.29 | 2.06 |
| 17:00 | 403 | ატალანტა-ფიორენტინა | 2.50 | 2.95 | 2.90 | 1.35 | 1.34 | 1.46 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 458 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1.70 | 3.30 | 6.00 | 1.12 | 1.32 | 2.12 |
| 20:00 | 460 | ვალენსია-ხეტაფე | 1.80 | 3.40 | 4.40 | 1.17 | 1.27 | 1.91 |
| 20:00 | 462 | ბილბაო-მალიორკა | 2.10 | 3.20 | 3.50 | 1.26 | 1.31 | 1.67 |
| 20:00 | 464 | ალმერია-ვილიარეალი | 2.65 | 3.20 | 2.65 | 1.44 | 1.32 | 1.44 |
| 20:00 | 466 | ხიხონი-რასინგი | 2.60 | 3.20 | 2.65 | 1.43 | 1.31 | 1.44 |
| 20:00 | 468 | მალაგა-რეალი | 4.80 | 3.30 | 1.80 | 1.95 | 1.30 | 1.16 |
| 20:00 | 470 | ბეტისი-ნუმანსია | 1.65 | 3.40 | 5.75 | 1.11 | 1.28 | 2.13 |
| 20:00 | 472 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 7.20 | 4.00 | 1.45 | 2.57 | 1.20 | 1.06 |
| 20:00 | 474 | ესპანიოლი-დეპორტივო | 2.40 | 3.10 | 3.00 | 1.35 | 1.33 | 1.52 |
| 20:00 | 476 | უელვა-სევილია | 3.40 | 3.20 | 2.15 | 1.64 | 1.31 | 1.28 |
| | | **საბერძნეთი. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 656 | ლევადიაკოსი-ოლიმპიაკოსი | 3.75 | 3.20 | 1.95 | 1.72 | 1.28 | 1.21 |
| 19:00 | 658 | პანთრაკიკოსი-აეკ | 5.85 | 3.30 | 1.60 | 2.10 | 1.25 | 1.07 |
| 19:00 | 660 | ლარისა-პანიონიოსი | 1.65 | 3.30 | 5.90 | 1.10 | 1.28 | 2.11 |
| 19:00 | 662 | არისი-ოფი | 1.45 | 3.90 | 7.00 | 1.05 | 1.20 | 2.50 |
| 19:00 | 664 | თრასივულოსი-ირაკლისი | 3.25 | 2.90 | 2.35 | 1.53 | 1.36 | 1.29 |
| 19:00 | 666 | ერგოტელისი-პანსერაიკოსი | 1.75 | 3.25 | 4.90 | 1.13 | 1.28 | 1.95 |
| 19:00 | 668 | ასტერასი-პაოკ | 3.00 | 2.80 | 2.50 | 1.44 | 1.36 | 1.32 |
| 19:00 | 670 | პანათინაიკოსი-ქსანთი | 1.25 | 5.25 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.44 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 757 | ვიკინგი-სტარტი | 1.75 | 3.50 | 4.80 | 1.16 | 1.28 | 2.02 |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 758 | ბოდიო გლიმტი-ლინი | 2.00 | 3.30 | 3.75 | 1.24 | 1.30 | 1.75 |
| 21:00 | 759 | სტრიომსგოდსეტი-მოლდე | 2.50 | 3.30 | 2.75 | 1.42 | 1.30 | 1.50 |
| 21:00 | 760 | სანდეფიორდი-ფრედრიკსტადი | 2.45 | 3.40 | 2.80 | 1.42 | 1.30 | 1.53 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 761 | ალესუნდი-ლილესტრიომი | 2.85 | 3.30 | 2.45 | 1.52 | 1.31 | 1.40 |
| 21:00 | 762 | სტაბეკი-ოდ გრენლადი | 1.50 | 4.00 | 6.50 | 1.09 | 1.21 | 2.47 |
| 22:00 | 763 | რუსენბორგი-ბრანი | 1.55 | 3.70 | 6.70 | 1.09 | 1.25 | 2.38 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 773 | ელფსბორგი-ჰამარბიუ | 1.60 | 3.80 | 5.70 | 1.12 | 1.24 | 2.27 |
| 18:00 | 774 | ჰეკენი-მალმიო | 3.55 | 3.30 | 2.10 | 1.71 | 1.31 | 1.28 |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 775 | ტრელებორგი-ბრომაპოიკარნა | 1.85 | 3.40 | 4.40 | 1.19 | 1.30 | 1.91 |
| 17:00 | 776 | აიკ-ჰალმსტადი | 1.85 | 3.40 | 4.30 | 1.19 | 1.29 | 1.89 |
| 17:30 | 777 | იორგრიტე-გაის | 2.85 | 3.30 | 2.45 | 1.52 | 1.31 | 1.40 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 778 | იურგორდენი-იორებრო | 2.10 | 3.30 | 3.50 | 1.28 | 1.31 | 1.69 |
| 21:00 | 779 | გეფლე-კალმარი | 3.50 | 3.30 | 2.10 | 1.69 | 1.31 | 1.28 |
| 22:00 | 780 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 2.50 | 3.30 | 2.75 | 1.42 | 1.30 | 1.50 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 854 | რიმინი-ასკოლი | 2.45 | 2.50 | 3.50 | 1.23 | 1.44 | 1.45 |
| | | **იტალია. სერია C2/C** | | | | | | |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 855 | კატანძარო-ანდრია | 1.90 | 2.70 | 4.50 | 1.11 | 1.33 | 1.68 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 856 | ლანსი-ტუარი | 1.65 | 3.30 | 6.00 | 1.10 | 1.29 | 2.12 |
| | | **უეფა. ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 900 | ვილიარეალი-არსენალი | 2.50 | 3.10 | 2.70 | 1.38 | 1.29 | 1.44 |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 901 | მანჩესტერი-პორტუ | 1.40 | 4.00 | 8.50 | 1.03 | 1.20 | 2.72 |
| 22:45 | 902 | ლივერპული-ჩელსი | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| 22:45 | 903 | ბარსელონა-ბაიერნი | 1.55 | 3.80 | 5.80 | 1.10 | 1.22 | 2.29 |
| | | **უეფა. უეფას თასი** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 904 | ჰამბურგი-სიტი | 2.15 | 3.20 | 3.35 | 1.28 | 1.30 | 1.63 |
| 22:45 | 905 | პსჟ-დინამო კ | 2.20 | 3.20 | 3.30 | 1.30 | 1.32 | 1.62 |
| 21:30 | 906 | შახტარი-მარსელი | 2.00 | 3.20 | 3.70 | 1.23 | 1.29 | 1.71 |
| 22:45 | 907 | ვერდერი-უდინეზე | 1.75 | 3.40 | 5.00 | 1.15 | 1.29 | 2.02 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა. 31 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 1560 | ტაუ-ბარსელონა | 1.45 | 12.00 | 2.95 | 1.29 | 1.00 | 2.36 |
| 22:30 | 1564 | პარტიზანი-ცსკა | 3.00 | 12.00 | 1.40 | 2.40 | 1.00 | 1.25 |
| 22:30 | 1568 | სიენა-პანათინაიკოსი | 1.65 | 12.00 | 2.40 | 1.45 | 1.00 | 2.00 |
| 22:30 | 1572 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1.70 | 12.00 | 2.25 | 1.48 | 1.00 | 1.89 |

**I ტაიმის შედეგი**

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10854 | რიმინი-ასკოლი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10856 | ლანსი-ტუარი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10900 | ვილიარეალი-არსენალი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10901 | მანჩესტერი-პორტუ | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10902 | ლივერპული-ჩელსი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10903 | ბარსელონა-ბაიერნი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10904 | ჰამბურგი-სიტი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10905 | პსჟ-დინამო კ | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10906 | შახტარი-მარსელი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10907 | ვერდერი-უდინეზე | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |

**II ტაიმის შედეგი**

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19854 | რიმინი-ასკოლი | 2.55 | 2.30 | 2.90 | 1.20 | 1.35 | 1.28 |
| 19856 | ლანსი-ტუარი | 2.00 | 2.70 | 4.20 | 1.14 | 1.35 | 1.64 |
| 19900 | ვილიარეალი-არსენალი | 2.70 | 2.40 | 2.90 | 1.27 | 1.39 | 1.31 |
| 19901 | მანჩესტერი-პორტუ | 1.75 | 2.40 | 6.50 | 1.01 | 1.37 | 1.75 |
| 19902 | ლივერპული-ჩელსი | 2.40 | 2.50 | 3.00 | 1.22 | 1.33 | 1.36 |
| 19903 | ბარსელონა-ბაიერნი | 1.90 | 2.40 | 5.50 | 1.06 | 1.41 | 1.67 |
| 19904 | ჰამბურგი-სიტი | 2.60 | 2.50 | 3.00 | 1.27 | 1.39 | 1.36 |
| 19905 | პსჟ-დინამო კ | 2.30 | 2.80 | 3.20 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 19906 | შახტარი-მარსელი | 2.35 | 2.45 | 3.40 | 1.19 | 1.38 | 1.42 |
| 19907 | ვერდერი-უდინეზე | 2.15 | 2.50 | 3.90 | 1.15 | 1.38 | 1.52 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირ. დრო)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2854 | რიმინი-ასკოლი | 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12856 | ლანსი-ტუარი | 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12900 | ვილიარეალი-არსენალი | 2,5 | 1.55 | 2.30 | 6.75 |
| 12901 | მანჩესტერი-პორტუ | 2,5 | 1.70 | 2.00 | 5.25 |
| 12902 | ლივერპული-ჩელსი | 2,5 | 1.50 | 2.45 | 7.25 |
| 12903 | ბარსელონა-ბაიერნი | 2,5 | 2.20 | 1.60 | 4.50 |
| 12904 | ჰამბურგი-სიტი | 2,5 | 1.65 | 2.10 | 5.75 |
| 12905 | პსჟ-დინამო კ | 2,5 | 1.55 | 2.30 | 6.75 |
| 12906 | შახტარი-მარსელი | 2,5 | 1.60 | 2.20 | 6.00 |
| 12907 | ვერდერი-უდინეზე | 2,5 | 2.00 | 1.70 | 5.00 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11854 | რიმინი-ასკოლი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11856 | ლანსი-ტუარი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11900 | ვილიარეალი-არსენალი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11901 | მანჩესტერი-პორტუ | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11902 | ლივერპული-ჩელსი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11903 | ბარსელონა-ბაიერნი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11904 | ჰამბურგი-სიტი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11905 | პსჟ-დინამო კ | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11906 | შახტარი-მარსელი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11907 | ვერდერი-უდინეზე | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |

**გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2.(0:0 ითვლება წყვილად)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 17854 | რიმინი-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17856 | ლანსი-ტუარი | 1.85 | 1.95 |
| 17900 | ვილიარეალი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17901 | მანჩესტერი-პორტუ | 1.85 | 1.95 |
| 17902 | ლივერპული-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17903 | ბარსელონა-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17904 | ჰამბურგი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17905 | პსჟ-დინამო კ | 1.85 | 1.95 |
| 17906 | შახტარი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17907 | ვერდერი-უდინეზე | 1.85 | 1.95 |

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირ. დრო)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13854 | რიმინი-ასკოლი | 1.80 | 1.80 |
| 13856 | ლანსი-ტუარი | 1.80 | 1.80 |
| 13900 | ვილიარეალი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13901 | მანჩესტერი-პორტუ | 1.90 | 1.70 |
| 13902 | ლივერპული-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13903 | ბარსელონა-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13904 | ჰამბურგი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13905 | პსჟ-დინამო კ | 1.70 | 1.90 |
| 13906 | შახტარი-მარსელი | 1.70 | 1.90 |
| 13907 | ვერდერი-უდინეზე | 1.70 | 1.90 |

**პირველი ტაიმი ფრეს გარეშე**

| | | | |
|---|---|---|---|
| 23854 | რიმინი-ასკოლი | 1.40 | 1.55 |
| 23856 | ლანსი-ტუარი | 1.09 | 2.78 |
| 23900 | ვილიარეალი-არსენალი | 1.42 | 1.50 |
| 23901 | მანჩესტერი-პორტუ | 1.00 | 3.65 |
| 23902 | ლივერპული-ჩელსი | 1.35 | 1.60 |
| 23903 | ბარსელონა-ბაიერნი | 1.01 | 3.00 |
| 23904 | ჰამბურგი-სიტი | 1.27 | 1.75 |
| 23905 | პსჟ-დინამო კ | 1.30 | 1.70 |
| 23906 | შახტარი-მარსელი | 1.20 | 1.80 |
| 23907 | ვერდერი-უდინეზე | 1.12 | 2.40 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირ. დრო)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 14854 | რიმინი-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 14856 | ლანსი-ტუარი | 1.45 | 2.40 |
| 14900 | ვილიარეალი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 14901 | მანჩესტერი-პორტუ | 1.20 | 2.60 |
| 14902 | ლივერპული-ჩელსი | 1.80 | 2.00 |
| 14903 | ბარსელონა-ბაიერნი | 1.30 | 2.50 |
| 14904 | ჰამბურგი-სიტი | 1.75 | 2.10 |
| 14905 | პსჟ-დინამო კ | 1.80 | 2.00 |
| 14906 | შახტარი-მარსელი | 1.70 | 2.20 |
| 14907 | ვერდერი-უდინეზე | 1.45 | 2.40 |

**ფრეს გარეშე(ძირ დრო)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 16854 | რიმინი-ასკოლი | 1.75 | 1.85 |
| 16856 | ლანსი-ტუარი | 1.23 | 3.60 |
| 16900 | ვილიარეალი-არსენალი | 1.80 | 1.85 |
| 16901 | მანჩესტერი-პორტუ | 1.11 | 5.70 |
| 16902 | ლივერპული-ჩელსი | 1.65 | 2.05 |
| 16903 | ბარსელონა-ბაიერნი | 1.17 | 4.10 |
| 16904 | ჰამბურგი-სიტი | 1.52 | 2.20 |
| 16905 | პსჟ-დინამო კ | 1.55 | 2.20 |
| 16906 | შახტარი-მარსელი | 1.40 | 2.55 |
| 16907 | ვერდერი-უდინეზე | 1.25 | 3.40 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი (ძირ. დრო)**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15854 | რიმინი-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15856 | ლანსი-ტუარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15900 | ვილიარეალი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15901 | მანჩესტერი-პორტუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15902 | ლივერპული-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15903 | ბარსელონა-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15904 | ჰამბურგი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15905 | პსჟ-დინამო კ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15906 | შახტარი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15907 | ვერდერი-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# ლეიბორისტი გლაზგოდან



ლეიბორისტული პარტიის მხარდამჭერი ალექს ფერგიუსონი „თაიმსის" ჟურნალისტ ალისტერ კემპბელს აბრაამ ლინკოლნზე, მშრომელი კაცის ბედსა და ცხადია, ფეხბურთზე ესაუბრება...

**— რამდენად პოლიტიზირებული ხართ? შეაფასეთ საკუთარი თავი ათბალიანი სისტემით...**

— ფეხბურთზე რომ გეკითხათ, ათიანს დავიწერდი. რაც შეეხება პოლიტიკას, მაინტერესებს, გაზეთებს მუდმივად ვკითხულობ, ისტორიაც ვიცი და ჩამოყალიბებული ხედვა მაქვს. ასე რომ, შვიდნახევარს დავიწერ.

**— თქვენი ხედვის საფუძველი რა არის?**

— ყველაფერი მოდის ჩემი აღზრდიდან და წრიდან. გლაზგოს იმ რაიონში გავიზარდე, სადაც მუშათა კლასი ცხოვრობდა და ყოველთვის კარგად მესმოდა, რას ნიშნავს ცნება „ერთობა", როცა ადამიანები და ოჯახები ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ვიზრდებოდი და მჯეროდა, რომ ლეიბორისტული პარტია მშრომელი კაცის პარტიაა და დღემდე ამის მჯერა. მართალია, ბევრი ფული მაქვს, მაგრამ ის ჩემი ოფლით მოვიპოვე, გადასახადებსაც პატიოსნად ვიხდი და საყვარელ საქმეს თავი შევწირე.

**— შეიძლება თუ არა, რომ სპორტმა და პოლიტიკამ ერთმანეთისგან რამე ისწავლონ?**

— არაერთი ისტორიული ქრონიკა წამიკითხავს და საერთოდაც, ისტორიულ წიგნებში, სპორტის ხსენება არაა, თუმცა სწავლა ყველაფრისგან შეიძლება. მაგალითად, ძალიან გამომადგა წიგნი აბრაამ ლინკოლნზე, რომელიც შარშან ზაფხულს მაჩუქეს.

**— მახსოვს, მაგ წიგნს „მეტოქის გუნდი" ჰქვია...**

— ვერ ვიტყვი, რომ ციტატები დავიზეპირე, რადგან იქ მოთხრობილია სამოქალაქო ომსა და მონობაზე. მაგრამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ ლინკოლნმა შეძლო იმ ხალხის გაერთიანება და თავის გარშემო შემოკრება, რომლებიც მის წინააღმდეგ იყვნენ. გახდა პრეზიდენტი და ქვეყნისთვის ახალი ეპოქა დაიწყო.

მე მხოლოდ კლუბის მენეჯერი ვარ, მაგრამ მეც უნდა ვიყო დახელოვნებული ძლიერი გუნდის შექმნასა და მართვაში.

**— ფეხბურთელობისასვე ფიქრობდით, რომ საფეხბურთო სამყაროში რაღაც შესაცვლელია თუ გამწვრთნელების შემდეგ დაფიქრდით ამაზე?**

— „მანჩესტერში" მაშინ მივედი, როცა ცვლილებები იწყებოდა. კარგად ჩავეწერე რეფორმაში და ფეხბურთელებიც გამომყვნენ.

მაშინ საფეხბურთო აგენტებს ძალაუფლება არ ჰქონდათ, არც ბოსმანის წესი მოქმედებდა და კლუბებიც ტელეკონტრაქტებიდან დიდძალ ფულს არ იღებდნენ.

ახლა ყველაფერი სხვანაირადაა და ამიტომ, ჩემი სამუშაო იმასაც გულისხმობს, რომ ასეთ ვითარებაში მოთამაშეებს ფეხზე მყარად დგომაში დავეხმარო.

მუდმივად ვუნერგავ თავში, რომ საქმეს მთელი სერიოზულობით უნდა მიუდგნენ და მხოლოდ ამ შემთხვევაში გადალახავენ სირთულეებს და მწვერვალს მიაღწევენ.

**— პოპულარობა და ფული ფეხბურთელებს არ აფუჭებს?**

— ეგებ ვინმეს აფუჭებს კიდეც, მაგრამ აბა, ნახეთ, პოლ სქოულზი, რაიან გიგზი და გარი ნევილი. ნამდვილი პროფესიონალები არიან, რომლებსაც ვარსკვლავობამ გონება არ დაუბინდა.

ახალგაზრდები უყურებენ მათ და სწავლობენ. მწვრთნელის საქმეც ესაა, რომ ამ ახალგაზრდებიდან საუკეთესოები შეარჩიოს და გუნდის მომავალზე იზრუნოს.

**— პენსიაზე როდის გახვალთ?**

— ჯერ არ ვიცი. 67 წლის ვარ და ჯანს არ ვუჩივი. ენერგიაც არ მაკლია და შრომის სურვილიც მაქვს. 22 წელია, აქ ვმუშაობ და ყოველ ვარჯიშს მოუთმენლად ველი.

სიამოვნებისგან მაჟრიალებს ტანში, როცა მატჩის წინ ჩვენი ავტობუსი სტადიონს მიადგება და მაშინაც, როცა ნიჭიერი ახალგაზრდების თამაშს ვუყურებ. მაგალითად, ბრაზილიელ ტყუპებს — რაფაელ და ფაბიო და სილვებს.

**— რამდენ წელს იმუშავებთ კიდევ? ერთ-ორ წელს?**

— დაახლოებით. ვნახოთ.

**— ჩემი აზრით, თქვენი ბოლო საკლუბო მატჩი უნდა იყოს ჩემპიონთა ლიგის ფინალი „უემბლიზე" 2011 წელს. მერე მშვიდად მოამზადებთ ინგლისის ოლიმპიურ ნაკრებს 2012 წლის ოლიმპიადისთვის...**

— ჯერ ვერაფერს ვიტყვი. მე ვემხრობი გაერთიანებული სამეფოს ერთიანი ნაკრების იდეას, თუ ეს არ შელახავს სამეფოში შემავალი ერების ინტერესებს.

**— თქვენი აზრით, რა ანგარიშია ახლა ლეიბორისტებს და კონსერვატორებს შორის „მატჩში"?**

— ბოლო გამოკითხვის მიხედვით, კონსერვატორები ერთი-ორი ქულით წინ არიან, მაგრამ არა მგონია, ეს საბოლოო ანგარიში იყოს.

**— პრემიერ გორდონ ბრაუნზე რას ფიქრობთ?**

— დიდი სამუშაო გასწია და ზოგი ამბობს, რომ სწორხაზოვანი შოტლანდიელია, მაგრამ მგონია, რომ რაღაც დოზით სწორხაზოვნება ქვეყნისთვის ახლა საჭიროა.

**— დაასახელეთ საუკეთესო ფეხბურთელი...**

— პელე, დი სტეფანო, მარადონა, კრუიფი.

**— საუკეთესო მწვრთნელი?**

— ჯოკ სტეინი.

**— ვინ შეგცვლით „მანჩესტერში", ამაზე თუ გიფიქრიათ?**

— ჩვენი გუნდი დიდი ოჯახია და ვფიქრობ, რომ მწვრთნელობის მერე კლუბი, ალბათ, მსოფლიოში „მანჩესტერის" ელჩობას შემომთავაზებს. თუ შეფები მკითხავენ შემცვლელის თაობაზე, ჩემ აზრს ვეტყვი, მაგრამ რუხი კარდინალი არ ვიქნები.

**— და მაინც, ვის ხედავთ თქვენ ადგილზე?**

— ჯერ წასვლას არ ვაპირებ.

**— ვინაა პრემიერლიგაში საუკეთესო მწვრთნელი?**

— არსენ ვენგერი, დევიდ მოიესი და მარტინ ონილი.

**— შეადგინეთ „მანჩესტერის" სიმბოლური გუნდი...**

— პრობლემაა ისაა, რომ „მანჩესტერში" ბევრი კარგი ფეხბურთელი თამაშობდა და მათგან მხოლოდ თერთმეტს ვერ ამოვარჩევ.

**— მაშინ ორი გუნდი...**

— კარგი. მეკარეები: შმაიხელი და ვან დერ სარი. განაპირა მცველები: დენის ირვინი, გარი ნევილი, ევრა და ძმები და სილვები. ეს ბრაზილიელი ტყუპები მართლა საოცრები არიან.

ცენტრალური მცველები: სტამი, ბრიუსი, ფერდინანდი, პალისტერი.

ახლა ნახევარმცველები ვნახოთ. მთავარია, ვინმე არ გამომრჩეს: ბრაიან რობსონი, როი კინი, სქოულზი გიგზი, ბექემი.

ფორვარდები: ვან ნისტელროი, ენდი კოული, იორკი, სოლსკიაერი შერინგმი და, რა თქმა უნდა, რუნი. რუნი რომ დამეწყებოდა, ფოსტით მომიწევდა თქვენთვის მისი გვარის გამოგზავნა.

ღმერთო ჩემო, რა ბიჭები ჩამოვთვალე. ბედნიერებაა, რომ მათთან მიმუშავია.

**— ყველაზე დიდი მიღწევა?**

— 1999 წლის „ტრებლი" და, რაღა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბაიერნთან" შემობრუნებული მატჩი.

**— საუკეთესო გოლი?**

— გიგზის გოლი „არსენალის" კარში „ვილა პარკზე", ლიგის თასის ნახევარფინალში 1999 წელს.

ეს რაღაც არამიწიერი გოლი იყო. ნახევარი მოედანი გადაირბინა, საჯარიმოში ოთხი კაცი მოატყუა და მახვილი კუთხიდან ბურთი ხარიხის ქვეშ შეჭედა.

**— თქვენი ყველაზე დიდი შეცდომა?**

— იაპ სტამის გაყიდვა.

**— ყველაზე დიდი გულისტკივილი?**

— პოლ გესქოინი რომ ვერ ვიყიდე. უნიჭიერესი იყო და ჩვენთან დიდებულ კარიერას გაიკეთებდა.

**— ამ სეზონში ხუთი ჯილდოს მოგებას შეძლებთ?**

— ვერა. საამისოდ სათასო მატჩებშიც გუნდი პიკზე უნდა იყოს, რაც იოლი მისაღწევი არაა, თან იღბალიც საჭიროა.

ერთადერთი, რისი თქმაც დარწმუნებით შემიძლია, ისაა, რომ ამჟამინდელი „მანჩესტერი" ჩემს 22-წლიან კარიერაში საუკეთესოა.

მეტოქის მცველებს ჩვენი ფორვარდების ეშინიათ, თავდამსხმელებს კი — ჩვენი მცველებისა. ეს მაიმედებს, მაგრამ სეზონში ხუთი ჯილდო მეტისმეტი მგონია.

**ალისტერ კემპბელი** *თაიმსი*

# ვაი, ჩემი ხელი!



**სლოვაკეთთან** შაბათის მატჩის წინ ფაბიო კაპელომ ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები ავღანეთის ომის ვეტერანებთან სტუმრად წაასხა და ეგებ ინანა კიდეც — ნახევარმა გუნდმა ლამის გონება დაკარგა.

„დამნაშევე" კი ვეტერანი ჯარისკაცი ბენი მაკბინი გახლდათ, ვინაც ომს ხელი შესწირა. ჰოდა, ხუმარა ჯარისკაცმა პროთეზი ისე გაიკეთა, რომ იოლად მომძვრალიყო და...

აბა, წარმოიდგინეთ, ჯარისკაცი დევიდ ბექემს ხელს უწვდის, ისიც ართმევს და უეცრად პროთეზი, რომელსაც ნამდვილი ხელისგან ვერ გაარჩევთ, ძვრება. ჯარისკაცი კი განწირული ხმით ყვირის, ვაი, ჩემი ხელიო.

თვითმხილველები ყვებიან, ბექემი გაფითრდა და ლამის გონებაც დაკარგაო.

ასე გააშაყირა ბენ მაკბინმა ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი. ყველაფერი კი პროთეზზე ავტოგრაფების დაწერით დასრულდა.

**კოტე კეკელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარიკას სატრფოს სიტყვის ფასი



**რუმინელმა** მამაკაცებმა ეგებ შვებითაც ამოისუნთქეს: ჯინა პისტოლი ძველ ხელობას დაუბრუნდა.

ჯინა პისტოლი პორნოვარსკვლავი გახლავთ.

ჯინა ხელობას მას მერე შეეშვა, რაც მისმა შეყვარებულმა იეჭვიანა — აქამდე რაც იყო, იყოსო და, ამის მერე იმ საქმეს შეეშვი, მეგობრებში თავი მეჭრებაო.

ჯინას შეყვარებული რუმინეთის ნაკრების და „შტუტგარტის" ფეხბურთელი ჩიპრიან მარიკა გახლავთ.

ქალმა პირობა მისცა და ერთი ხანობა, წარმოიდგინეთ, სიტყვას ასრულებდა კიდეც. მაგრამ გამოხდა ხანი და, მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო, ნათქვამი რომ არის, ისე დაემართა — ჩაცმულმა ველარ გაძლო და „ფლეიბოისთვის" გაშიშვლდა.

და როგორი რეაქცია ჰქონდა ჩიპრიან მარიკას, როცა „ფლეიბოიში" სატრფოს პიკანტური ფოტოები იხილა?

ისტორია ამის თაობაზე დუმს. ერთი ეგაა, რომ ბუნდესლიგაში გადამწყვეტი მატჩები მოდის და ვაითუ, ნირწამხდარმა ფეხბურთელმა საქმე წაახდინოს.

**ბოტე ბეჯელია**



# ეჰ, სადღაა ბედნიერება

**მოდელი** კლერ მერი ახალ სარეკლამო ფოტოსესიაში გადაიღეს და ერთობ თამამი ფოტოებიც გამოვიდა.

ჩვენ ამ ამბავმა იმად დაგვაინტერესა, რომ ქალბატონი მერი ტიერი ანრის ყოფილი ცოლია.

ტიერიმ და კლერმა ერთმანეთი 2001 წელს გაიცნეს რეკლამის გადაღებისას და ორი წლის თავზე დაქორწინდნენ. კიდევ ორ წელიწადში ქალიშვილი თი შეეძინათ.

ბედნიერებამ კი, როგორც ხშირად ხდება, დიდხანს არ გასტანა და ფეხბურთელმა და მისმა მოდელმა ცოლმა განქორწინება გადაწყვიტეს. ყველაფერი მშვიდად და უჩუმრად მოგვარდა — როგორც იცით, ვარსკვლავური განქორწინებები, როგორც წესი, სკანდალურია-ხოლმე.

ტიერი ანრიმ კი ხმაური არ ისურვა და ყოფილ ცოლს 8 მილიონი გირვანქა უბოძა, თუმცა ქალი თავდაპირველად 10 მილიონს სთხოვდა.

# ტონიმ უკუღმართებს ცოლით უპასუხა



**მიუნხენის** „ბაიერნის" თავდამსხმელმა ლუკა ტონიმ დაოჯახება გადაწყვიტა. ფეხბურთელმა თქვა, ამ წლის ბოლომდე უეჭველად დავქორწინდებიო. ამ ნათქვამით ტონიმ არაკეთილმოსურნეთა ეჭვები გააქარწყლა, რომლებიც ამტკიცებდნენ, მარტა ჩეკეტოს ტონის ცოლობის იმედი აღარ უნდა ჰქონდესო.

კაცმა რომ თქვას, ამ ეჭვებს საფუძველი ჰქონდა, რაკიღა ტონი და ჩეკეტო ერთად უკვე 10 წელია ცხოვრობენ, მაგრამ ფეხბურთელი ულელში ოფიციალურად თავის გაყოფაზე ფეხს ითრევდა. იმასაც ამბობდნენ, ბოლო დროს ერთმანეთზე გულიც აუცრუვდათო.

საინტერესოა, რომ 10 წლის წინ, როცა მათ ერთად ცხოვრება გადაწყვიტეს, ჩეკეტო ტონიზე ცნობილი პიროვნება იყო, მაღალანაზღაურებადი მოდელი გახლდათ, ტონი კი ახალბედა ფეხბურთელად ითვლებოდა.

„ჩვენს ურთიერთობაში ბზარი არ გაჩენილა — თქვა ლუკა ტონიმ — მალე დავქორწინდებით და ამით უკუღმართი ფანტაზიის მქონე ადამიანებს გავაჩუმებთ."

# აი, ქმარი!

**მოსიყვარულე** ქმარი მყავსო, კოლინ მაკლაფლინმა უნდა თქვას. მისი ქმარი „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელ უეინ რუნი გახლავთ.

კოლინს 3 მარტს დაბადების დღე ჰქონდა, მაგრამ აღნიშნვა სათანადოდ ვერ მოხერხდა, რაკიღა ქმარი საფეხბურთო საქმეებით გახლდათ დაკავებული.

სამაგიეროდ, მოიცალა თუ არა, ცოლი პარიზში წაიყვანა, სადაც ორი დღით სასტუმროში ჩაიკეტნენ და სიამტკბილობას მიეცნენ.



# მითხარი შენი მეგობარი...



**დევიდ ბექჰემის** ცოლმა ვიქტორია ადამსმა თქვა, სულაც არ მჭირდება ახალი მეგობრების შეძენაო.

— სულაც არ მაინტერესებს, რას იტყვის ხალხი — განაცხადა ყოფილმა სფაის-გოგონამ — როცა ჯგუფში მოვხვდი, ოთხი საუკეთესო მეგობარი შევიძინე, ახლა კი დევიდი მყავს. მეტი არც არავინ მჭირდება. ყვითელი პრესა მუდმივად წერს, თუ ვინ ვისი მეგობარია. მე ამგვარ რამეებს არ ვკითხულობ. ამერიკაში მხოლოდ ტომ კრუზთან და კეიტ ჰოლმსთან ვმეგობრობ და ეგაა.

მოგეხსენებათ, ვიქტორია ადამსმა ქმართან ერთად მილანში ცხოვრება იუარა, აქაოდა, ბავშვებმა იტალიური არ იციან, დამეჩაგრებიანო და ლოს ანჯელესში ცხოვრობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა





დედა სიუ ტერი



სიდედრი სიუ პული




სწორედ ის მაღაზია

# ვაი, სირცხვილო! დედა ტერის მტერია

**ჯონ ტერი** მოგეხსნენებათ, ვინც არის — ლონდონის „ჩელსის“ კაპიტანი გახლავთ. მისი ჯამაგირი ევებ, არ გახსოვდეთ და შეგახსენებთ — კვირაში 135 ათას გირვანქას იღიბავს. გარდა ამისა, ჯონ ტერი იღებს პრემიებს და ცალკე შემოსავალი სარეკლამო საქმიანობიდან აქვს. ერთი სიტყვით, მდიდარი კი არა, ძალიან მდიდარი ადამიანია.

ჰოდა, ევებ ვინმემ ახსნას, რა დაემართათ ტერის დედას და სიდედრს მაღაზიიდან 800 გირვანქის ღირებულების საქონელი რომ მოიპარეს?!

ქალბატონები სიუ ტერი და სიუ პული პოლიციაში მიაბრძანეს და ახსნა-განმარტება მოსთხოვეს. პოლიციდან გამოსული ხმები გვამცნობენ, ქალბატონებს ენები მუცელში ჩაუვარდათ და საკუთარი საქციელი ვერ ახსნესო.

პოლიციაში ფეხბურთელის დედას და სიდედრს ჭკუა დაარიგეს და სასამართლომდე სახლში გაუშვეს.

ჯონ ტერის მავანი მეგობაში კი ამბობს, ჯონმა ეს რომ გაიგო, სულ ცოფები ყარაო.

**კოტე კეკელია**

ცოცხლიზაცორი

# 1X2 ამფსონები

.სათამაშო სახლში ყურმოკრული

კოდი წყვილი შედეგი კოეფ-ტი სისტ

(რუბრიკის სპონსორია კარლუშ კეირუში)

— ფერგიუსონის გაზრდილი არაა? ყომარის მეტი კი არაფერი უსწავლია „მანჩესტერში“!

— უეჭველში ზიხარ, ტო! იქით „მანჩესტერი“ ყომარობს და ტეხავს, აქეთ კეირუში პორტუგალიის ნაკრებით თავისთვის ჩალიჩობს.

— იასნია, ძმაო, აბა, კაცი რომ ამდენ ხანს ფერგიუსონთან გაატარებს, თამაშის გატეხვის მეტი რა უნდა ისწავლოს?

— თან რა ტექნიკურად ასრულებს. იმენა ისპალნიტელია.

— იასნია, ისპალნიტელია. აბა ნახე, პორტუგალია-შვედეთს ვინც დაწერდა, ან დაწერდა ერთიანში, ან მეტ გოლში, კეირუშმა კიდე ორივე გატეხა. რატო? იმიტო, რო ორი მხირდან მოეჭრა მაყუთები, აზრზე ხარ, რა დიდოსტატია?

— და გერმანია? იოხაიმ ლიოვიც რო ტეხავს, მოწვი? ლიხტენშტაინთან ნემცებს რა უნდა გაუჭირდეს ეგეთი, რო ხუთი და მეტი ვერ შეაგდონ? მარა ოთხზე გაჩერდნენ იმ პონტში, რო ტოტალიზატორები არ დაექციათ. შენ რა გგონია, ლიოვს ხელფასს ვინ უხდის, გერმანიის ფუტბოლის ფედერაცია?

— რა, არა?

— კარგი რა, თუ ჩემი ძმა ხარ! ნემცებს მაგის მაყუთი სადა აქვთ. ლიხტენშტაინი რო მოხვდა მაგათ ჯგუფში, იმის მერე გაიასნდა ლიოვის ხელფასი. ნაჩალიჩარი ამბავია, რომ ჩიტირი ნოლზე მეტი არ უნდა მოეგოთ და მაგ ვარიანტში მისცემდნენ ჯამაგირს. ეგაც კაცია, ოჯახი ჰყავს და ვინუედენია, რო ოთხით ნოლზე გაჩერდეს. ეგრე იჭრება ფულები ძმაო.

— მე იცი, რამ გამიტეხა სამხრეთამერიკულ ბილეთში? არგენტინა-ვენესუელას შოტი დავსვი, მარა მეწერა, რო ოთხივე გოლის ავტორის გვარი „სი“-ზე დამთავრდებოდა, მარა მარადონას ეტყობა ვალები აქვს და მაინცდამაინც ცდილობს, რო ჩემი ფულებით გადაიხადოს.

— ოთხით ნოლი ხო დასვი?

—შოტი კი დავსვი, მარა გვარებმა გატეხეს.

— ეგ როგორ?

— მესი, ტევესი და როდრიგესი უკვე ტრი ნოლ იყო, მარა სერხიო აგერო არ ჩაეჩხირა ამ ჩემ ქვითარში?

— ეგ ხო იასნია...

— რა არი იასნი?

— სიძეა.

— რა სიძე და ნეფე-პატარძალი, რეებს მიედები...

— აი, ეგრეა, ფუტბოლში რო ვერ ერკვევი. აგერო მარადონას სიძეა და შეკრულები არიან. მთელ მსოფლიოს ეწერა, რო ოთხივე გოლის ავტორის გვარი „სი“-ზე დამთავრდებოდა, მარა მარადონას სიძემ ბილეთები დაგახევინათ.

— ვახ, მაგის სიძის ჰალსტუხი კი დავხიე, ჩემგან რა უნდოდა, ტო!

— ეგრეა, ძმაო, რას იზამ. აგე ოთხშაბათს აღარ დადგები „სი“-ებზე და მამენტ სპონტამ ევებ რამეც მოიგო. ყოველ შემთხვევაში სიძე-სიმამრიანი სასტავი აღარ ჩაწერო ქვითარში.

**ჭუჭი ჭოლმარია**

ჩემი წაგებული ბილეთი

| | წყვილი | შედეგი | დაჯდა |
|---|---|---|---|
| 001 | ბურკინა ფასო — გვინეა ორი ბანანის ნაფცქვენი | | 4:2 |

მომდევნო ამფსონებში შიტყობთ, მართლა უთხრა თუ არა მარადონამ აგეროს გასაზდელში: სიძე, შე ძველოო...

114140 *

# მოკლა და მოკლავენ

**საამიროების** ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს ფაიეზ ჯომას სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

ჯომამ, მისმა ძმა მუსამ და კიდევ ერთმა ფეხბურთელმა მოჰამად ნაჯიბმა შარშან მაისში ჩხუბისას დანები გამოიყენეს და კაცი მოჰკლეს. ამის მერე სამივემ ომანში გაქცევა სცადა, მაგრამ საზღვარზე დაიჭირეს. სამივეს ნარკოტიკები ჰქონდა მიღებული.

სასამართლომ კი გადაწყვეტილება ახლაღა მიიღო და დამნაშავეებს დახვრეტა მიუსაჯა. მოკლულის ოჯახი კი 272 ათას დოლარს მიიღებს მორალური კომპენსაციის სახით.

# დალაი-ლამა ფეხბურთმა დაჩაგრა



**ეს** ამბავი პოლიტიკურია, თუმცა ფეხბურთთანაც არის დაკავშირებული. სამხრეთ აფრიკის მთავრობამ ქვეყანაში შეშვებაზე უარი უთხრა ტიბეტელთა სულიერ ლიდერ დალაი-ლამას.

დალაი-ლამას მსოფლიო კონფერენციაში უნდა მიეღო მონაწილეობა, რომელიც იოჰანესბურგში უნდა ჩატარებულიყო და რომელშიც ნობელის პრემიის სხვა ლაურეატებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

უარის ოფიციალური მიზეზი ის არის, რომ თითქოსდა, მიწვევის საბუთებში რაღაც წესრიგში ვერ იყო, თუმცა რეალური მიზეზიც უმალ გაცხადდა: თუ დალაი-ლამას სამხრეთ აფრიკაში შეუშვებენ, ჩინეთი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბოიკოტით იმუქრება და რამდენიმე აფრიკული ქვეყნის აყოლიებასაც (რომლებიც ჩინეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან) გეგმავს.

ბოიკოტით შეშინებულმა სამხრეთ აფრიკის მთავრობამ ისევ დალაი-ლამას წინააღმდეგ წასვლა ამჯობინა, თუმცა კონფერენციის გადადებაც მოუხდა — კონფერენციის მონაწილეებმა კონტრ-ბოიკოტი გამოაცხადეს.

ევროპა

# ნეტავ რამ დათარსა პორტუგალია?

I ჯგუფი

**მალტა 0:3 დანია**

**0:1, 0:2 ლარსენი (12, 23), 0:3 ნორდსტრანდი (89)**
**დანია: სორენსენი, კროლდრუპი, აგერი, იაკობსენი, ჯაკობსენი, პოულსენი, იენსენი (ანდრეასენი 62), ლარსენი (ნორდსტრანდი 81), ბენდტნერი (ბორინგი 30), იორგენსენი, რომედალი**
**გაფრთხილება: დიმეჩი, მიფსუდი, კოენი, პეისი (მალტა), სორენსენი (დანია)**
**მსაჯი: ტომაშ მიკულსკი**
**10 500 მაყურებელი**

**მატჩის** ბედი სერენ ლარსენის ორმა სწრაფმა გოლმა გადაწყვიტა, რომელთაგან მეორე მისი მეათე სანაკრებო გოლი იყო.

მეორე ტაიმში დანიელებმა ცოტათი უკან დაიხიეს, თამაში კონტრშეტევებზე ააგეს და მესამე გოლიც გაიტანეს.

**ალბანეთი 0:1 უნგრეთი**

**0:1 ტორგჰელი (38)**
**გაფრთხილება: კანა, დურო, დალკუ (ალბანეთი), ვანშაკი, დარდაი, ჰალმოში (უნგრეთი)**

უნგრელები ბრწყინვალე სვლას განაგრძობენ და ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსიც აქვთ.

ამჯერად მათ ალბანელები დაამარცხეს შანდორ ტორგჰელის გოლით.

თამაში კი შეტევებში გაილია და მომენტები საკმაოდ შეიქმნა.

გოლი კი ასე გავიდა: ჰუსტის ჩაწოდებულს მასპინძელმა არმენ დალკუმ თავი შეაგება, მაგრამ უხეიროდ მოიგერია და პირდაპირ ტორგჰელს მიუგორა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა ძალუმ შეუტიეს, მაგრამ ქულა ვერ გადაარჩინეს.

**პორტუგალია 0:0 შვედეთი**

**პორტუგალია: ედუარდუ, პეპე, ბოსინგვა (როლანდო 46), კარვალიუ, ალვეში, დუდა, ტიაგო (დეკუ 62), მეირელეში, დანი (ალმეიდა 66), სიმაო, რონალდუ**
**შვედეთი: ისაკსონი, იოჰანსონი, მელბერგი, მაისტოროვიჩი, ნილსონი, ელმი, კალსტრიომი, სვენსონი, ჰოლმენი, ელმანდერი, ლარსონი**
**მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი**
**40 130 მაყურებელი**

რაღაც დათარსულია პორტუგალიის ნაკრები — მიჯრით მესამე უგოლო ფრე ითამაშა, არადა, მთელი მატჩი უტევდა შვედთა კარს.

ამ მატჩში დებიუტი ჰქონდა მეკარე ედუარდუს, პირველი ტაიმის მიწურულს კი ბოსინგვამ ტრავმა მიიღო და შეცვლა მოითხოვა.

მეორე ტაიმში პორტუგალიელებმა ზეწოლა გააძლიერეს, თუმცა შვედები ორგანიზებულად იცავდნენ თავს და ერთი-ორჯერ იქითაც უჩხვლიტეს.

ყველაზე რეალური მომენტი კი თამაშის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე კრიშტიანუ რონალდუმ გაანიავა, როცა ხუთიოდ მეტრიდან თავით ააცილა.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| უნგრეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 5:2 | 10 |
| პორტუგალია | 5 | 1 | 3 | 1 | 6:3 | 6 |
| შვედეთი | 4 | 1 | 3 | 0 | 2:1 | 6 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 3 | 2 | 3:3 | 6 |
| მალტა | 6 | 0 | 1 | 5 | 0:14 | 1 |

1 აპრილი

**უნგრეთი — მალტა**
**დანია — ალბანეთი**



პეპე და როლანდო შვედი ელმანდერის წინააღმდეგ

# პრეზიდენტი უსაჩუქროდ დატოვეს



მოლდოველი ბუგაიოვი ალექსანდრ ფრეის ამაოდ დასდევდა

II ჯგუფი

**ისრაელი 1:1 საბერძნეთი**

**0:1 გეკასი (42), 1:1 გოლანი (55)**
**ისრაელი: ავათი, საბანი, ბენ-ჰაიმი, კეინანი, ბენ დაიანი, ბენაიუნი (კაიალი 76), კოჰენი (ვერმოტი 85), ალბერმანი, გოლანი, ბარდა (იტჟაკი 60), საჰარი**
**საბერძნეთი: ცალკასი, სეიტარიდისი, დელასი, პაპადოპულოსი, კირიაკოსი, ტოროსიდისი, კარაგუნისი, ბასინასი (სამარასი 61), ციოლისი (ფაცაცოღლუ 88), გეკასი, ხარისტეასი**
**გაფრთხილება: დელასი, საჰარი**
**მსაჯი: რობერტო როსეტი**
**40 000 მაყურებელი**

**ეს** გუნდები ოთხშაბათს ათენში შეხვდებიან ერთმანეთს, შაბათს კი ისრაელმა ჯგუფში პირველ ადგილზე ალზევების შანსი გაუშვა ხელიდან. ომერ გოლანმა ებრაელებს ქულა კი გადაურჩინა, მაგრამ ლიდერობისთვის ეს საკმარისი არ იყო. ჯგუფს კვლავაც ოტო რეჰაგელის ბიჭები ლიდერობენ.

ბერძნები თეოფანის გეკასის გოლით დაწინაურდნენ და საფრთხე შეიქმნა, რომ მასპინძელთა 18-მატჩიანი წაუგებელი სერია მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპებზე შეწყდებოდა.

აქვე ვთქვათ, რომ გეკასმა მიჯრით მესამე სანაკრებო მატჩში შეძლო გატანა.

ებრაელთაგან, როგორც ვთქვით, გოლანმა გაათანაბრა, რომელმაც იოსი ბენაიუნის კარის გასწვრივ ჩაწოდებულს ფეხი დაუხვედრა.

თავად ბენაიუნმა კი ბოლოსკენ კუნთი გაიჭიმადა შეცვლა ითხოვა.

**ლუქსემბურგი 0:4 ლატვია**

**0:1 კარლსონსი (25), 0:2 ცაუნა (49), 0:3 ვისნაკოვსი (71), 0:4 პერეპლოტკინსი (85)**
**გაფრთხილება: ბენსი, ჰოფმანი (ლუქსემბურგი), ზიგაევსი (ლატვია)**

ლატვიელებმა ცხრილში მეზობლებს ოთხი გოლი ხომ გაუტანეს, ერთი ამდენი მომენტიც გაუცუდდათ.

ლუქსემბურგში გამგზავრების წინ ლატვიელთა მწვრთნელი ალექსანდრ სტარკოვსი ამბობდა, უეჭველად უნდა მოვიგოთო და ნათქვამი საქმითაც გაამყარა — სასტარტო შემადგენლობაში ერთბაშად ხუთი შემტევი დააყენა.

გოლებს არ ავღწერთ, ის კი ვთქვათ, რომ კარლსონისთვის ეს მერვე სანაკრებო გოლი იყო, ცაუნასთვის კი — პირველი.

ორი გოლის მერე ლატვიელები ცოტათი მოეშვნენ, მაგრამ ვერც ლუქსემბურგელებმა შეუტიეს და ბალტიისპირელებმა კიდევ ორის გატანა იოლად შეძლეს.

**მოლდოვა 0:2 შვეიცარია**

**0:1 ფრეი (32), 0:2 ფერნანდესი (90)**
**გაფრთხილება: არმასი, ეპურეანუ, სავინოვი (მოლდოვა)**

მასპინძლებმა თამაში სამი ფორვარდით დაიწყეს, მაგრამ რად გინდათ, გოლი ვერ გაიტანეს, სამაგიეროდ, სამი გაუშვეს.

პირთამდე სავსე „ზიმბრუს" სტადიონზე სტუმრებმა დინჯი, დაცვიდან თამაში არჩიეს, შეტევებს კი ალექსანდრ ფრეი და ბლეზ ნკუფო ამწვავებდნენ.

საბოლოოდ ფრეისა და ფერნანდესის გოლებით შვეიცარიელებმა მოიგეს, ხოლო მოლდოველებმა თავიანთი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ პაველ ჩებანს 54-ე დაბადების დღეზე საჩუქარი ვერ გაუკეთეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:3 | 10 |
| შვეიცარია | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| ისრაელი | 5 | 2 | 3 | 0 | 9:6 | 9 |
| ლატვია | 5 | 2 | 1 | 2 | 8:6 | 7 |
| ლუქსემბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:11 | 4 |
| მოლდოვა | 5 | 0 | 1 | 4 | 2:9 | 1 |

1 აპრილი

**ლატვია — ლუქსემბურგი**
**საბერძნეთი — ისრაელი**
**შვეიცარია — მოლდოვა**



გოლანის გოლი ბერძნების კარში

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

ევროპა

## პოლონეთი იქით შეეხვეწა: გამიტანეო

III ჯგუფი

**ჩრდ. ირლანდია 3:2 პოლონეთი**

1:0 ფინეი (9), 1:1 იელენი (27), 2:1 ევანსი (47), 3:1 ზევლაკოვი (61 ს.კ), 3:2 საგანოვსკი (90)

გაფრთხილება: ბრანტი (ჩრდ. ირლანდია), გერეირო, ვასილევსკი, საგანოვსკი, კრჟინოვეკი (პოლონეთი)

ჩრდ. ირლანდია: ტეილორი, მაკაული, კრეიგანი, ჰიუზი, ევანსი, ჯონსონი, კლინგანი, მაკკანი, ბრანტი, ჰილი (ლითლი 90), ფინეი (ბერდი 83)

პოლონეთი: ბორუცი, ვასილევსკი, ჟევლაკოვი (ბოსაკი 65), ვარჟინიაკი, დუდკა მ. ლევანდოვსკი, როგერი, კრინოვეკი, ბანდროვსკი (ბლაჟიკოვსკი 60), რ. ლევანდოვსკი, იელენი (საგანოვსკი 71)

**უცნაურია**, მაგრამ ფაქტია: მესამე შესარჩევ ჯგუფს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები ლიდერობს.

ნაიჯელ უორტინგტონის გუნდმა კარგად გამოიყენა პოლონელთა შეცდომები და 10 ქულით ცხრილს თავში ჩაუდგა.

ოღონდ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბრიტანელებს სხვებზე მეტი მატჩიც აქვთ ჩატარებული.

„უინძორ პარკზე" კი ლეო ბეენჰაკერის გუნდის დაცვამ იმდენი შეცდომა დაუშვა, გასაკვირია, ირლანდიელებმა მეტის გატანა როგორ ვერ შეძლეს. სახიფათო დარტყმები, მეკარესთან პირისპირ გასვლა — ყველაფერი იყო, მაგრამ ჩრდილოეთ ირლანდია მაინც არ არის იმ კლასის გუნდი, მეტოქე უკლებლივ ყველა უხეში შეცდომისთვის რომ დასაჯოს.

ბოლოსკენ პოლონელებმა ერთი კი გაიბრძოლეს, მაგრამ გვიანღა იყო.

**სლოვენია 0:0 ჩეხეთი**

სლოვენია: ჰანდანოვიჩი, ფელიკოვიჩი, მარვიჩი, სესარი, იოკიჩი, კორენი, კირმი, სისიჩი (ზლოგარი 83), კომაჩი (მეიაჩი 85), დედიჩი (ლიუბიანკიჩი 67), ნოვაკოვიჩი

ჩეხეთი: ჩეხი, გრიგერა, როზენალი, იანკულოვსკი, უიფალუში, პოლაკი, სიონკო, შირლი (კადლეცი 76), პლასილი, ბაროში (ფენინი 90), სვერკოში (ნეჩიდი 79)

გაფრთხილება: სისიჩი, როზენალი, უიფალუში

მსაჯი: პედრო როენცა

12 376 მაყურებელი

მარიბორის სტადიონი გადაიჭედა და მაყურებელთა მოზრდილ ნაწილს ჩეხეთიდან ჩასულები შეადგენდნენ.

თამაში კი მეტისმეტად დაძაბული იყო, მიუხედავად იმისა, რომ გოლი არ გასულა.

უგოლო ფრით უფრო მეტად კმაყოფილნი მაინც მასპინძლები უნდა იყვნენ, რაკი მომენტების რაოდენობით ჩეხებმა აჯობეს.

მატჩის ყველაზე დასამახსოვრებელი ეპიზოდი კი 78-ე წუთზე შეიქმნა, როცა ვაცლავ სვერკოში მეკარესთან პირისპირ გავიდა.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 3 | 1 | 2 | 11:6 | 10 |
| სლოვაკეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| ჩეხეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:2 | 8 |
| სლოვენია | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 |
| პოლონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| სან მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 1:15 | 0 |

1 აპრილი

ჩეხეთი — სლოვაკეთი

პოლონეთი — სან მარინო

ჩრდ. ირლანდია — სლოვენია



სლოვენიელი რობერტ კორენი და ჩეხი მარტინ ფენინი (№9)



კონსტანტინ ზირიანოვის გოლი აზერბაიჯანის კარში

## რუსეთმა კლასით და უმომენტოდ მოიგო

IV ჯგუფი

**რუსეთი 2:0 აზერბაიჯანი**

1:0 პავლიუჩენკო (32), 2:0 ზირიანოვი (71)

რუსეთი: აკინფეევი, ჟირკოვი, ანიუკოვი, იგნაშევიჩი, ბერეზუცკი, ზირიანოვი, სემაკი (ძაგოევი 55), დენისოვი, სევშოვი, პავლიუჩენკო (პოგრებნიაკი 72), არშავინი

გაფრთხილება: დენისოვი (რუსეთი), იუნუსოღლუ, ნადიროვი, მელიქოვი, აბასოვი (აზერბაიჯანი)

მსაჯი: სერგეი გუმინი

60 000 მაყურებელი

**რუსებმა** აზერბაიჯანელები რომან პავლიუჩენკოს გოლით და საგოლე პასით დაამარცხეს.

„ლუჟნიკებზე" მისულმა 60 ათასმა მაყურებელმა თავიდანვე ატეხა ხმაური, თუმცა გუს ჰიდინკი არ ჩქარობდა და თავდაპირველად პოზიციური თამაშით მოსინჯა ბედი.

აზარბაიჯანელები თავს კარგად იცავდნენ. სხვათა შორის, გერმანელი ბერტი ფოგტსის მისვლის მერე ნაკრებს მატჩში ერთ გოლზე მეტი ერთხელაც არ გაეშვა.

თავს კი კარგად იცავდნენ, მაგრამ აზერბაიჯანელებს შეტევაში ბევრი არაფერი გამოსდიოდათ, რამაც რუსებს უფრო თამამად შეტევის საშუალება მისცა.

რუსები თვალსაჩინო ტერიტორიულ უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ ნაღდი საგოლე მომენტები პრაქტიკულად არ ჰქონდათ, პირველი გოლი კი უფრო შემთხვევითობას უნდა მივაწეროთ.

პავლიუჩენკოს 22 მეტრიდან დარტყმული ჯარიმა სულაც არ ყოფილა აუღებელი, მაგრამ აზერბაიჯანელთა მეკარემ ვერ მოიხელთა. ფარხად ვალიევი კარში ტრავმირებული აგაევის ნაცვლად იდგა.

გოლს თამაშის ხასიათი არ შეუცვლია. ბოლოს კი კლასმა მაინც თავისი გაიტანა: ალან ძაგოევმა ბურთი პავლიუჩენკოს მიაწოდა, ამან — ზირიანოვს, რომელმაც მეტოქის კარი ორი შეხებით დალაშქრა.

**უელსი 0:2 ფინეთი**

0:1 იოჰანსონი (43), 0:2 კუკი (90)

უელსი: ჰენესი, გუნტერი, ბალი, კოლინზი, ნიატანგა, ფლეტჩერი (რობინსონი 64), დევისი, კუმასი, ლედლი (ერნშოუ 71), ედვარდსი (რამსეი 56), ბელამი

ფინეთი: იასკელაინენი, ჰასანენი, კალიო, ჰიიპია, ტიინენი, რ. ერემენკო, ლიტმანენი, ჰეიკინენი, ა. ერემენკო (დ. სიოლუნდი. 78), ფორსელი (კუკი 89), იოჰანსონი

გაფრთხილება: ჰეიკინენი, იასკელაინენი

მსაჯი: ედვარდ გონსალესი

22 604 მაყურებელი

კარდიფში გამარჯვებით ფინელებმა გვარიანად გაიუმჯობესეს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი, უელსელებმა კი მწარე დარტყმა იგემეს.

ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გაიხსნა და მართალია, გოლი ჯონათან იოჰანსონმა გაიტანა, მთავარი საქმე ვეტერანმა იარი ლიტმანენმა შეასრულა, რომელიც მარტოკა გაუსწორდა ბრიტანელ მცველებს.

უელსელთაგან კრეიგ ბელამის ჰქონდა რამდენიმე კარგი მომენტი, მაგრამ ვერაფერს გახდა, ფინელებმა კი მეორეც შეაგდეს.

**გერმანია 4:0 ლიხტენშტაინი**

1:0 ბალაკი (4), 2:0 იანსენი (9), 3:0 შვაინშტაიგერი (48), 4:0 პოდოლსკი (50)

გერმანია: ენკე, ა. ბეკი, მერტესაკერი, ტასკი, ლამი, იანსენი (ჰელმესი 63), შვაინშტაიგერი (როლფსი 88), ბალაკი, ჰიცლშპერგერი (მარინი 78), გომესი, პოდოლსკი

გაფრთხილება: რორერი, ტ. ბეკი, ფრიკი, ტასკი

მსაჯი: იგორ იშჩენკო

43 368 მაყურებელი

გერმანიას ხასიათის გამოსასწორებლად სწორედ ასეთ გუნდთან ასეთი თამაში სჭირდებოდა. შეგახსენებთ, რომ იოახიმ ლიოვის გუნდი აქამდე მიჯრით ორ ამხანაგურ მატჩში დამარცხდა.

გერმანია ლიხტენშტაინს რომ დაამარცხებდა, აბა, რა გამოცნობა უნდოდა. საქმე მხოლოდ ანგარიშში იყო.

შარშან ვადუცში გერმანელებმა 6:0 მოიგეს და ახლაც, ლაიფციგში, სავსებით შესაძლებელი იყო, იგივე ანგარიშით მოეგოთ. თუმცა ბოლოსკენ გერმანელებმა სიმძლავრეს უკლეს და ოთხ გოლს დაჯაბულდნენ.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 5 | 4 | 1 | 0 | 16:4 | 13 |
| რუსეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 9 |
| ფინეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| უელსი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 6 |
| აზერბაიჯანი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:4 | 1 |
| ლიხტენშტაინი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:12 | 1 |

1 აპრილი

ლიხტენშტაინი — რუსეთი

უელსი — გერმანია




გერმანელმა მარიო გომესმა მომენტი გოლად ვერ აქცია

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

ევროპა

# პიკეს პირველი ესპანეთის ოცდამეათეა

V ჯგუფი

**ბელგია 2:4 ბოსნია**

**0:1 ძეკო (7), 1:1 დემბელე (65), 1:2 იაჰიჩი (74), 1:3 ბაირამოვიჩი (80), 1:4 მისიმოვიჩი (84), 2:4 სონკი (89პ)**
**ბელგია: სტიინენი, დიმსი (შუტერი 79), ვერმაელენი, სვერტსი, სიმონსი, მუდინგაი, დეფური (პოკონოლი 59), ფელაინი, კამარგო (აზარდი 46), დემბელე, სონკი**
**ბოსნია: სუპიჩი, ბერბეროვიჩი, სპაჰიჩი (მრავაჩი 59), იაჰიჩი, ნადერევიჩი, პანზა, მურატოვიჩი, მისიმოვიჩი, იბრიჩიჩი, მუსლიმოვიჩი (ბაირამოვიჩი 69), ძეკო**
**გაფრთხილება: ფელაინი, დემბელე, მისიმოვიჩი, იბრიბიჩი, მურატოვიჩი, მრავაცი**
**მსაჯი: ნიკოლაი ივანოვი**
**20 800 მაყურებელი**

**ედინ** ძეკოს სწრაფმა გოლმა ბოსნიელებს ფრთები შეასხა და ფრთაშესხმულებმა მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს. გერმანული „ვოლფსბურგის" ფორვარდმა ბელგიელ მცველთა დაუდევრობით ისარგებლა და ანგარიში გახსნა.

პირველი ტაიმის მიწურულს უესლი სონკმა ძელს გაარტყა, გათანაბრება კი მასპინძლებმა მეორე ტაიმის შუაში მოახერხეს.

დემბელეს გამთანაბრებელი გოლის მერე თამაში მცირე ხნით შეწყდა კიდეც, რაკი გოლი და ტრიბუნებზე არეულობის დაწყება ერთი იყო. თუმცა ყველაფერი მშვიდობიანად ჩამთავრდა და თამაშიც გაგრძელდა.

კი გაგრძელდა, მაგრამ ბელგიელებისთვის ამას ხეირი არ მოუტანია. სანელ იაჰიჩი მეკარესთან პირისპირ გავიდა და ბოსნიელთა მეორე გოლი შეაგდო.

ამის მერე, როგორც ხდება ხოლმე, ბელგიელებს დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ, მთელი ძალით შეუტიეს და კონტრშეტევა გამოეპარათ. 1:3-ზე კი ნირწამხდარებმა მეოთხეც გაუშვეს და სულ ბოლოს სონკის პენალტი ნუგეშად ვეღარ გამოადგათ.

**ესპანეთი 1:0 თურქეთი**

**1:0 პიკე (60)**
**ესპანეთი: კასილიასი, ალბიოლი, პიკე, კაპდევილა, რამოსი, ხავი, ალონსო, სენა, კასორლა (სილვა 77), ვილია (მატა 63), ტორესი (ლიორენტე 87)**
**თურქეთი: დემირელი, ბალთა, ასიკი, გიონული, უზულმეზი, ემრე (სარიოღლუ 84), თუნჯაი, თურანი (უნალი 77), აურელიო, ნიჰათი, შენთურქი (აქმანი 57)**
**მსაჯი: მასიმო ბუზაკა**
**80 000 მაყურებელი**

ესპანელებმა ამ შესარჩევ ციკლში მიჯრით მეხუთე თამაში მოიგეს და ამას ხერარდ პიკეს უნდა უმადლოდნენ. თავად პიკესთვის კი ეს პირველი სანაკრებო გოლი იყო.

ხავიმ ჯარიმა ჩააწოდა, სერხიო რამოსის ფეხიდან ბურთი პიკეს მიუვიდა და ბარსელონელი ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, აცილება გატანაზე რთული რომ იყო.

ოღონდაც ესპანელებს მოგება ძალიან გაუჭირდათ, რაკი ფათიჰ თერიმის სამწყსომ მასპინძლებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია.

ასეა თუ ისე, ესპანეთის ნაკრებმა მიჯრით 30-ე წაუგებელი თამაში ჩაატარა.

**სომხეთი 2:2 ესტონეთი**

**1:0 მხითარიანი (31), 1:1 ვოსკობოინიკოვი (36), 1:2 სააგი (67), 2:2 ედიგარიანი (88)**

მეტოქეებმა თითო ტაიმში თითო გოლი გაცვალეს და ქულები გაიყვეს.

ტემპი მაღალი არ იყო. სტუმრები კონტრშეტევებით ლამობდნენ ხეირის ნახვას, მასპინძლებმა კი ესტონელთა ნახევარზევე მიმართეს პრესინგს.

ანგარიში მხითარიანმა გახსნა — ოციოდ მეტრიდან დაარტყა, ოღონდ სანამ ბადეში აღმოჩნდებოდა, ბურთი იავი რიაჰნის მოხვდა და რიკოშეტით ჩაეშვა კარში.

ესტონელების პირველი გოლი 25 მეტრიდან გავიდა, რისაც მეორე მიაყოლეს სომეხ მცველთა უხეში შეცდომით.

სომეხთა გამთანაბრებელს კი დავა მოჰყვა — მცველმა ბურთი კი გამოიტანა, მაგრამ თანამსაჯის თვალსაზრისით, ეს უკვე კარის ხაზს შიგნიდან გააკეთა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 11:1 | 15 |
| ბოსნია | 5 | 3 | 0 | 2 | 16:6 | 9 |
| თურქეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 |
| ბელგია | 5 | 2 | 1 | 2 | 9:9 | 7 |
| ესტონეთი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:15 | 2 |
| სომხეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:14 | 1 |

1 აპრილი

**ესტონეთი — სომხეთი**
**თურქეთი — ესპანეთი**
**ბოსნია — ბელგია**



ხერარდ პიკემ ესპანეთს 30-ე მოაგებინა

# უყურე ლიტვას, საფრანგეთს იქით შეუტია!

VII ჯგუფი

**რუმინეთი 2:3 სერბეთი**

**0:1 იოვანოვიჩი (18), 0:2 სტოიკა (44 ს.კ.), 1:2 მარიკა (51), 1:3 ივანოვიჩი (59), 2:3 სტოიკა (74)**
**რუმინეთი: ლობონტი, კონტრა, რატი, ტამაში, რადოი, სტოიკა, კოდრეა (ტანასი 46), კოჩიჩი (ნიკულაე 76), კოსტეა (ბუკური 63), მარიკა, მუტუ**
**სერბეთი: სტოიკოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, ვიდიჩი, ივანოვიჩი, ობრადოვიჩი, სტანკოვიჩი, მილიასი, კრასიჩი, პანტელიჩი (სუბოტიჩი 65), იოვანოვიჩი (იანკოვიჩი 61), ჟიგიჩი**
**გაფრთხილება: მუტუ, რადოი, კოსტეა, ტამაში, ჟიგიჩი, სუბოტიჩი**
**მსაჯი: მატეო ტრეფოლონი**
**13 000 მაყურებელი**

**მთელი** მეორე ტაიმი სერბები თავგანწირვით იცავდნენ თავს რუმინელთა გაშმაგებული შეტევებისგან და მოახერხეს კიდეც სასურველი ანგარიშის შენარჩუნება.

სერბებმა ტაიმი ორბურთიანი სხვაობით მოიგეს: მილან იოვანოვიჩმა მეტოქის კარში გაიტანა, დორელ სტოიკამ — საკუთარში.

თუმცა როგორც მერე გამოჩნდა, გადამწყვეტი არა ეს გოლები, არამედ ბრანისლავ ივანოვიჩის გატანილი გამოდგა.

რუმინელებმა სერბებს ორით უპასუხეს, რომელთაგან ერთიც ანტიგმირ სტოიკასი იყო.

**ლიტვა 0:1 საფრანგეთი**

**0:1 რიბერი (67)**
**ლიტვა: კარსემარსკასი, დედურა, კლიმავიჩიუსი, შკერლა, სერნასი, სავენასი (ივაშკევიჩიუსი 66), შემბერასი, ე. ჩესნაუსკისი (მიკოლიუნასი 85), პანკა (პოსკუსი 81), დ. ჩესნაუსკისი, დანილევიჩიუსი**
**საფრანგეთი: მანდანდა, სანა, გალასი, სკილაჩი, ევრა, დიარა, რიბერი, გურკუფი (ნასრი 78), ტულალანი, ანრი, ლუინდულა (ბენზემა 64)**
**მსაჯი: ერიკ ბრაამჰაარი**
**9 000 მაყურებელი**

ფრანკ რიბერის გოლმა კაუნასის სავსე სტადიონი დაალონა, ფრანგებს კი სატურნირო მდგომარეობა გამოუკეთა.

მასპინძლებს ერთ-ერთი ლიდერი მარიუს სტანკიავიჩიუსი აკლდათ, ოღონდაც, როგორ უნდა ვთქვათ, ამის გამო წააგეს ფრანგებთანო.

სტუმრებმა თამაში გააფთრებით დაიწყეს, ეტყობა, სწრაფი გოლით სურდათ მეტოქის გატეხვა და კინაღამ გამოუვიდათ კიდეც — პეგი ლუინდულას დარტყმული მეკარემ ფეხით მოიგერია.

ეგებ, გასაოცარიც იყოს, მაგრამ ლიტველები მთელი გულით დაცვაში ჯდომას არც ფიქრობდნენ და ფრანგთა მეკარესაც მოუხდა რთული ბურთის მუშტებით მოგერიება.

ტაიმის შუაში თამაში ოდნავ ჩაწყნარდა. შესვენებამდე ყველაზე სახიფათო მომენტი კი ის იყო, ანრის პასით ტულალანმა რვა მეტრიდან რომ დაარტყა და მეკარეს გაარტყა.

რიბერიმ კი უძლიერესი დარტყმით საჯარიმოს გარედან გაიტანა, მეკარე ბურთს თითებით კი შესწვდა, მაგრამ...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 12:5 | 12 |
| ლიტვა | 5 | 3 | 0 | 2 | 6:4 | 9 |
| საფრანგეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| ავსტრია | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| რუმინეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| ფარერები | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | 1 |

1 აპრილი

**ავსტრია — რუმინეთი**
**საფრანგეთი — ლიტვა**



ლიტველები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ფრანკ რიბერის მაინც ვერაფერი მოუხერხეს

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## ევროპა

# მამაცი გულები პირველ გოლამდე

IX ჯგუფი

**ჰოლანდია 3:0 შოტლანდია**

1:0 ჰუნტელაარი (30), 2:0 ვან პერსი (45), 3:0 კუიტი (77პ)

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი, ვან დერ ვილი, მატიისენი, ოიერი, ვან ბრონკჰორსტი, ვან ბომელი, დე იონგი (სხაარსი 80), რობენი, კუიტი, ჰუნტელაარი (აფელაი 80), ვან პერსი (სნეიდერი 65)

**შოტლანდია:** მაკგრეგორი, ალექსანდერი (ჰატონი 73), ბერა, კოლდველი, ნეისმიტი, ბრაუნი, დ. ფლეტჩერი, ფერგიუსონი, ტილი (მორისონი 85), მაკკორმაკი, მილერი (ს. ფლეტჩერი 71)

გაფრთხილება: დე იონგი, ჰუნტელაარი

მსაჯი: ლოურენ დუამელი

49 554 მაყურებელი

ბერტ ვან მარვიიკის გუნდმა მოჯრით მეოთხე გამარჯვება მოიპოვა — შოტლანდიელებს სამი უპასუხო გოლი გაუტანა.

საწყის ნახევარ საათში, სანამ იან კლაას ჰუნტელაარი გაიტანდა, კუნძულელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს „ნარინჯისფრებს" და გოლმა გატეხა.

პირველი ტაიმი ასე რომ დასრულებულიყო, შოტლანდიელები ეგებ მოსულიყვნენ კიდეც გონს, მაგრამ წამებით ადრე ვან პერსიმ მეორე გაიტანა და სტუმრები გასახდელში ისეთ ხასიათზე გაუშვა, კაცი მტერს არ უსურვებდა.

მესამე გოლი კი კუიტმა ჰუნტელაარის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გაიტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 4 | 4 | 0 | 0 | 8:1 | 12 |
| ისლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| შოტლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| მაკედონია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ნორვეგია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |

1 აპრილს

ჰოლანდია — მაკედონია

შოტლანდია — ისლანდია



ასე გაიტანეს ჰოლანდიელებმა მეორე გოლი

## აზია



შუნსუკე ნაკამურა (№10) და ბაჰრეინელი ფაზი აიში

I ჯგუფი

**იაპონია 1:0 ბაჰრეინი**

1:0 ნაკამურა (47)

**უზბეკეთი 4:0 ყატარი**

1:0, 2:0, 3:0 ტაჯიევი (34, 45, 53), 4:0 სოლიევი (61)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| ავსტრალია | 4 | 3 | 1 | 0 | 6:0 | 10 |
| ბაჰრეინი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| ყატარი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:12 | 4 |
| უზბეკეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:6 | 4 |

II ჯგუფი

**ჩრდ. კორეა 2:0 საამიროები**

1:0 ჩოი (51), 2:0 გუკი (90)

**ირანი 1:2 საუდის არაბეთი**

1:0 შოჯაეი (57), 1:1 ჰაზაზი (78), 1:2 ჰაბრი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩრდ. კორეა | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| ს. კორეა | 5 | 3 | 1 | 1 | 5:2 | 10 |
| საუდის არაბეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:3 | 6 |
| ირანი | 4 | 1 | 3 | 0 | 2:1 | 6 |
| საამიროები | 6 | 1 | 3 | 2 | 3:3 | 6 |

## აფრიკა

**ტოგო 1:0 კამერუნი**

1:0 ადებაიორი (11)

**მაროკო 1:2 გაბონი**

0:1 აუბამეიანგი (34), 0:2 მეიე (45), 1:2 ჰამდაუი (84)

**კენია 1:2 ტუნისი**

0:1 ჟემალი (5), 1:1 ოლიეჩი (70), 1:2 ჟემა (72)

**რუანდა 0:0 ალჟირი**

**სუდანი 1:1 მალი**

0:1 კანუტე (20), 1:1 ტაპირი (24)

**ბურკინა ფასო 4:2 გვინეა**

1:0 კერე (23), 2:0 ტრაორე (29), 3:0 დაგანო (53პ), 3:1 ფეინდუნო (61პ), 4:1 დაგანო (66), 4:2 ზაიატი (86)

## სამხრეთ ამერიკა

**ურუგვაი 2:0 პარაგვაი**

1:0 ფორლანი (28), 2:0 ლუგანო (56)

**ურუგვაი:** ვიერა, ლუგანო, გოდინი (სილვა 80), კასერესი, ვ. პერეირა, პერესი, ვასკესი, ა. პერეირა, როდრიგესი (ბარიოსი 71), სუარესი, ფორლანი (აბრეუ 78)

**პარაგვაი:** ვილიარი, ვერონი, კასერესი, და სილვა, ტორესი (სამუდიო 57), ბარეტო, ვერა (კარდოსო 68), რივეროსი, ესტიგარიბია (აგუინო 46), კაბანიასი, ვალდესი

გაფრთხილება: ესტიგარიბია, კასერესი, ბარეტო, ა. პერეირა

მსაჯი: კარლოს სიმონი

**არგენტინა 4:0 ვენესუელა**

1:0 მესი (25), 2:0 ტევესი (46), 3:0 როდრიგესი (51), 4:0 აგერო (72)

**არგენტინა:** კარისო, ძანეტი, ანგელერი, ჰაინცე, როდრიგესი (დი მარია 73), მასკერანო, გაგო, გუტიერესი, მესი, ტევესი (ვერონი 70), აგერგო (მილიტო 78)

**ვენესუელა:** ვეგა, ფეუნმაიორი, ჩიჩერო, ველასკესი, ჩაკონი, როსალესი (მორენო 50), გონსალესი, არანგო, რინკონი, როხასი (აკოსტა 83), მალდონადო (ფლორესი 78)

გაფრთხილება: ანგელერი, ჩიჩერო, როხასი, რინკონი, გუტიერესი

მსაჯი: ვიქტორ რივერა

**კოლუმბია 2:0 ბოლივია**

1:0 ტორესი (26), 2:0 რენტერია (88)

**კოლუმბია:** ოსპინა, სინიგა, საპატა, იეპესი, არმერო, აგილარი, ვარგასი, მარინი, ტორესი (მოტა 69), ფალკაო გარსია (რენტერია 70), კინტერო (როგალიეგა 78)

**ბოლივია:** არიასი, ოიოსი, რივერო, მონტანიო, გუტიერესი, რობლესი (ტორიკო 46), ფლორესი, რ. გარსია, ესკობარი, ვაკა (ურტადო 77), კაბრერა (კასტილიო 67)

გაფრთხილება: ვარგასი, არმერო, რენტერია, ესკობარი, ფლორესი, ტორიკო, გუტიერესი, ვაკა

გაძევება: კასტილიო (89)

მსაჯი: ალფრედო ორტეგა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 11 | 7 | 2 | 2 | 18:8 | 23 |
| არგენტინა | 11 | 5 | 4 | 2 | 17:7 | 19 |
| ბრაზილია | 10 | 4 | 5 | 1 | 15:4 | 17 |
| ურუგვაი | 11 | 4 | 4 | 3 | 21:10 | 16 |
| ჩილე | 10 | 5 | 1 | 4 | 14:13 | 16 |
| კოლუმბია | 11 | 3 | 5 | 3 | 6:8 | 14 |
| ეკვადორი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:17 | 12 |
| ვენესუელა | 11 | 3 | 1 | 7 | 12:22 | 10 |
| ბოლივია | 11 | 2 | 3 | 6 | 13:24 | 9 |
| პერუ | 10 | 1 | 4 | 5 | 5:20 | 7 |

ეკვადორი — ბრაზილია

წუხელ გვიან დამთავრდა

დღეს

პერუ — ჩილე

1 აპრილი

ვენესუელა — კოლუმბია

ბოლივია — არგენტინა

ეკვადორი — პარაგვაი

ჩილე — ურუგვაი

2 აპრილი

ბრაზილია — პერუ





სერხიო აგერომ ვენესუელასთან მატჩის წინ მოედანზე თავისი შვილი — დიეგო მარადონას შვილიშვილი გაიყვანა

## ევროპა

# ბექჰემი 109!

**მეხუთე** ევროპულ ჯგუფში შაბათს თამაშები არ ყოფილა, ერთი მნიშვნელოვანი ამბავი კი მაინც მოხდა: ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა დევიდ ბექჰემმა სლოვაკეთთან ამხანაგურ მატჩში (4:0) 109-ე სანაკრებო მატჩი ჩაატარა და ბობი მურის შედეგი გააუმჯობესა. ახლა ბექჰემზე მეტი სანაკრებო მატჩი ინგლისში ოდენ პიტერ შილტონს აქვს — 125.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 4 | 4 | 0 | 0 | 14:3 | 12 |
| ხორვატია | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 7 |
| უკრაინა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ბელარუსი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ყაზახეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:11 | 3 |
| ანდორა | 4 | 0 | 0 | 4 | 1:12 | 0 |

1 აპრილი

ყაზახეთი — ბელარუსი

ანდორა — ხორვატია

ინგლისი — უკრაინა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სახალისო ფოტო



## ინგლისი

**I ლიგა**

საუთენდი 3:3 ჰარტლპული
პიტერბრო 2:0 ლესტერი
ბრაიტონი 0:0 ტრანმერი
ბრისტოლი 2:0 სტოკპორტი
კარლაილი 1:1 ნორთჰემპტონი
ქრიუ 0:1 მილუოლი
ჰერეფორდი 0:1 ჰადერსფილდი
ლიდსი 2:0 მილტონი
ლეითონი 2:1 ოლდემი
სკანთორპი 3:0 კოლჩესტერი
უოლსოლი 1:1 ჩელტენემი
იოვილი 1:0 სუოვილი

**II ლიგა**

ჩესტერფილდი 3:0 როჩდეილი
უიკომბი 1:1 შრიუსბერი
ბარნეტი 0:1 დარლინგტონი
ბრენტფორდი 1:1 ჯილინგემი
ბერი 1:0 ბორნმუთი
ჩისტერი 0:0 ბრედფორდი
ჩესტერფილდი 2:1 პორტ ვეილი
დაგენემი 2:1 მაკლსფილდი
გრიმსბი 1:0 ალდერშოტი
ლინკოლნი 1:1 ნოტსი
მორეკომბი 1:2 ლუთონი
როჩდეილი 2:2 ექსეტერი
როტერჰემი 0:0 აკრინგტონი

**კონფერენსლიგა**

ალტრინჩემი 2:2 ქროული
ბარტონი 4:0 გრეისი
ფორესტ გრინი 4:1 ლიუისი
ჰისტონი 1:0 რექსამი
კეტერინგი 2:1 ებსფლითი
მანსფილდი 1:1 ტორკი
ნორთვიჩი 4:2 რაშდენი
სალისბერი 2:0 ისტბურნი
სტივენეიჯი 1:1 ოქსფორდი
იორკი 0:0 კიდერმინსტერი
ვეიმუთი 0:3 ბაროუ

**სამხრეთ კონფერენსლიგა**

ბოგნორი 0:1 ნიუპორტი
ბრაინთრი 0:1 ბასინგსტოკი
ბრომლი 1:1 ბათი
ისტლი 2:1 უიმბლდონი
ფიშერი 0:3 სტორტფორდი
ჰემპტონი 2:1 ჰავანთი
მეიდენჰედი 2:0 უელინგი
თიმ ბათი 2:0 ჩელმსფორდი
თაროკი 0:0 სტ ალბანსი
ვესტონი 1:2 ჰაიესი
ვორჩესტერი 0:0 დორჩესტერი

**ჩრდ. კონფერენსლიგა**

ფარსლი 1:2 რედიჩი
გეითსჰედი 5:0 ჰინკლი
ჰანკალი 1:1 ბლითი
ჰაიდი 2:3 ჰეროგეითი
კინგს ლინი 1:0 სტალიბრიჯი
სოლიჰალი 3:2 ბარსკო
საუთპორტი 3:2 სტეფორდი
თამვორთი 2:1 ფლიტვუდი
ტელფორდი 2:0 დროილსდენი
ვოქსპოლი 1:1 გეინსბრო
უორკინგი 0:3 ალტერფონი

## ჩეხეთი

**გამბრინუსლიგა**

პრჟიბრამი 0:3 ტეპლიცე

**II ლიგა**

ვიტკოვიცე 1:1 სპარტა B
დუკლა 0:0 ჰრადეც კრალოვე
ჟიჰლავა 4:0 უსტი
სოკოლოვი 2:2 კარვინა
ტრინეცი 0:0 ოპავა
ოლომოუცი 6:1 ფულნეკი
ჩასლავი 0:0 სლოვაცკო
მოსტი 0:1 ბოჰემიანსი

## გერმანია

**III ლიგა**

25 მარტი
ბაიერნი (მ) 4:0 აალენი
27 მარტი
პადერბორნი 1:1 შტუტგარტი (მ)
28 მარტი
ბრაუნშვაიგი 0:1 დინამო
ვერდერი (მ) 3:1 ოფენბახი
ფორტუნა 1:1 ემდენი
კარლ ცაისი 0:0 ვუპერტალი
რეგენსბურგი 1:0 ბურგჰაუზენი
ზანდჰაუზენი 0:2 აუე
უნტერჰახინგი 4:0 ერფურტი
29 მარტი
აალენი 1:4 უნიონი
ქიქერსი 0:0 ბაიერნი (მ)

**ჩრდ. რეგიონალლიგა**

ვილჰელმშავენი — პლაუენი
გადაიდო
ალტონა 1:3 ჰამბურგი (მ)
კოტბუსი (მ) 1:0 ჰერტა (მ)
ჰანოვერი (მ) 1:1 ჰანზა (მ)
ობერნეიულანდი 2:0 ბაბელსბერგი
ქემნიცი 0:1 კილი
მაგდებურგი 0:3 ვოლფსბურგი (მ)
თურქიემსპორი 2:2 ჰალეშერი

**სამხ. რეგიონალლიგა**

25 მარტი
პფულენდორფი 0:1 მანჰაიმი
26 მარტი
კასელი 3:0 დარმშტადი
28 მარტი
აინტრახტი (მ) 1:0 აშაფენბურგი
ფრაიბურგი (მ) 3:0 გროსბარდორფი
ფიურტი (მ) 1:2 ჰაიდენჰაიმი
მანჰაიმი 3:0 როიტლინგენი
მიუნხენი (მ) 0:1 ვეჰენი (მ)
პფულენდორფი 1:2 ნიურნბერგი (მ)
ულმი 6:1 კარლსრუე (მ)

**დასავლეთ რეგიონალლიგა**

კლევე 2:5 კიოლნი (მ)
ლევერკუზენი (მ) 5:1 ლაუტერნი (მ)
მაინცი (მ) 1:0 ტრირი
ოგერშაიმი 4:1 ლოტე
დორტმუნდი (მ) 4:0 ფერლი
ელვესბერგი 4:1 შალკე (მ)
გლადბახი 2:0 ბოხუმი (მ)
მიუნსტერი 2:0 ვორმსი

## იტალია

**სერია B**

ალბინოლეფე 2:0 ტრევიზო
ანკონა 1:2 ემპოლი
ბრეშა 2:2 ლივორნო
ჩიტადელა 4:0 მოდენა
ფროზინონე 2:2 ტრიესტინა
გროსეტო 1:1 მანტოვა
პარმა 1:1 პიაჩენცა
ვიჩენცა 2:0 სალერნიტანა
პიზა 0:1 ბარი
რიმინი : ასკოლი
დღეს გაიმართება

**სერია C1/A**

კრემონეზე 0:0 ლუმეცანე
ლეკო 1:0 პერგოკრემა
მონცა 0:1 სამბენედეტეზე
ნოვარა 1:1 ჩეზენა
პადოვა 0:0 სპალ
პრო სესტო 0:2 პრო პატრია
რავენა 0:0 რეჯიანა
ვენეცია : ლენიანო
გადაიდო
ვერონა 1:1 პორტოგრუარო

**სერია C1/B**

მარკიანიზე 2:2 ბენევენტო
არეცო 1:0 ფოჯა
კავეზე 1:0 გალიპოლი
კროტონე 2:0 ტარანტო
პერუჯა 1:2 პაგანეზე
პესკარა 2:1 ფოლინიო
პისტოიეზე 1:0 პოტენცა
ტერნანა 3:0 ლანჩანო
სორენტო 1:1 პოვენცა

## ესპანეთი

**სეგუნდადივიზიონი**

სელტა 0:0 ალბასეტე
ხირონა 2:2 ლას პალმასი
სევილია B 3:3 მურსია
ხერესი 1:2 სარაგოსა
კასტელონი 0:3 სოსიედადი
ალიკანტე 0:3 ელჩე
ეიბარი 0:1 რაიო ვალეკანო
ხიმნასტიკი 2:0 ლევანტე
უესკა 0:0 სალამანკა
ტენერიფე 2:0 კორდობა
ალავესი 1:3 ერკულესი

## შოტლანდია

**I დივიზიონი**

როსი 1:1 დანდი

**II დივიზიონი**

ბრეჩინი 0:1 არბროა
სტირლინგი 2:0 ისტ ფაიფი
სტრანრარი 1:4 ეარი

**III დივიზიონი**

25 მარტი
ანანი 1:1 ალბიონი
28 მარტი
ბერვიკი 1:2 ისტ სტირლინგი
ელგინი 0:1 ანანი
ფორფარი 0:3 მონტროუზი

## შვეიცარია

**ჩელენჯლიგა**

ივერდონი 1:1 კონკორდია
შო დე ფონი 1:2 ლუგანო
გოსაუ 0:0 ვილი
სტ გალენი 4:0 ვოლენი
ბილი 4:2 ნიონი
თუნი 2:0 ლოზანა

## საფრანგეთი

**II დივიზიონი**

ანჟერი 0:1 აიაჩო
ბასტია 1:2 მეცი
ბრესტი 0:0 რეიმსი
შატორუ 2:0 დიჟონი
კლერმონი 2:0 ამიენი
ნიმი 1:0 გენგამი
სედანი 0:1 ბულონი
ტრუა 1:2 სტრასბური
ვანი 1:0 მონპელიე
ლანსი — ტური
დღეს გაიმართება

**III ლიგა**

ბაიონი 1:0 ეური
კანი 1:0 კარნო
შერბური 0:2 კალე
კრუა დე სავოი 1:0 ლუანი
ისტრი 2:0 ენტენტი
ლავალი 1:1 როდეზი
ლიბურნი 2:3 არლე
პარიზი 1:1 ნიორი
სეტე 1:0 გენიონი
ბუვე 2:1 კრეტეი

## ავსტრია

**ბუნდესლიგა**

კაპფენბერგი 1:1 ალტახი

**ერთსტელიგა**

ლეობენი 1:2 ინსბრუკი

**ალმ. რეგიონალლიგა**

ადმირა (მ) — ცვეტლი გადაიდო
ვიორმლა 3:1 ვიენერი

## ბელგია

**II ლიგა**

25 მარტი
ანტვერპენი 0:0 ლიეჟი
ბრიუსელი 0:0 დაინცე
შარლერუა 2:2 ტურნაი
ლეუვენი 1:0 ტიენენი
რონსე 2:3 ვაასლანდი
ვირტონი 1:1 ეუპენი
ბევერენი 0:3 ლომელი
სტ. ტრუიდენი 0:1 ლიერსი
29 მარტი
ჰამე 1:1 ოსტენდე
ტიენენი 2:0 ბრიუსელი

## დანია

**ვიასატ დივიზიონი**

ფრემი 2:2 კოლდინგი
როსკილდე 3:1 ჰვიდოვრე
AB კოპენჰაგენი 3:0 ამაგერი
ლიუნგბიუ 1:1 ფრედერისია
ნისტვედი 0:0 სკივე
ტისტედი 7:0 ლოლანდი
ჰერფიოლგე 1:3 სილკებორგი
ვიბორგი 3:0 კიოგე

ჭიდაობა

# ხვალიდან ევრო-ვილნიუსი

**ხვალ** ვილნიუსში ევროპის ჩემპიონატი იწყება თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელიც 5 აპრილამდე გასტანს.

საქართველოს ნაკრებები შეჯიბრზე შაბათს გაემგზავრნენ.

„თავისუფალთა" მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ ეს ფალავნები იახლა: *ბესიკ გუჩაშვილი (55კგ), მალხაზ ქურდიანი (60კგ), მალხაზ მუზაშვილი (66კგ), გელა სალირაშვილი (74კგ), ბექა ჭელიძე (84კგ), ლუკა კურტანიძე (96კგ), დავით ოთიაშვილი (120კგ).*

„ანტიკოსთა" ნაკრები კი მათმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ ასეთნაირად შეადგინა: *ლაშა გოგიტაძე (55კგ), რევაზ ლაშხი (60კგ), მანუჩარ ცხადაია (66კგ), გენადი გოგიაშვილი (74კგ), დავით ქარჩავა (84კგ), ალექსანდრე ბურდილაძე (96კგ), რევაზ ჭელიძე (120კგ).*

# 12-დან 10 ჩვენია!

**რიგაში** საერთაშორისო ახალგაზრდული ტურნირი ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში და შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეჯიბრი მთლიანად ქართველებისა იყო. როგორი საქმეა: 12 მოჭიდავიდან ათმა მედალი მოიპოვა!

რა გასაკვირია, რომ საქართველოს ნაკრები გუნდური ჩემპიონიც გახდა. მეორეზე რუსები გავიდნენ, მესამეობა კი ბელარუსს დარჩა.

ქართველთაგან ჩემპიონები გახდნენ — ლაშა ლომთაძე (50 კგ), ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55 კგ), გიორგი მაყაშვილი (60 კგ), გიორგი გაბისიანი (74 კგ) და ლევან ბერიანიძე (120 კგ).

ამათი ხუთი ოქროს გარდა ნუგზარ სხირელის გაწვრთნილმა ფალავნებმა ორი ვერცხლი და სამი ბრინჯაოც მოინაგრეს.

ვერცხლი მოიგეს დავით მარსაგიშვილმა (84 კგ) და ელიზბარ ოდიკაძემ (96 კგ). მესამეობა კი მურთაზ კვესაძეს (60 კგ), ზაურ აბრამიშვილს (66 კგ) და გიორგი საკანდელიძეს (120 კგ) ერგოთ.

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის წინ, რომელიც 30 ივნისს თბილისში დაიწყება, ლატვიური შედეგი იმედს გვაძლევს, რომ ევროპასაც წარმატებით მოვილევთ.

**ოთარ მხეიძე**

ოლიმპიზმი

# ცეცხლი მხოლოდ მასპინძელს



**გეხსომებათ**, რომ პეკინის ოლიმპიადის წინ ჩირაღდნის ჩაქრობის რამდენიმე მცდელობა იყო, რომელთა მოთავეები ტიბეტელები იყვნენ. ჩირაღდნის პარიზში ჩატარებისას ტიბეტელებმა ცეცხლის ჩაქრობა მოახერხეს კიდეც.

ჰოდა, მსგავსი რამეები კვლავაც რომ არ განმეორდეს, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: ამიერიდან საბერძნეთში დანთებულ ცეცხლს მხოლოდ ოლიმპიადის მასპინძელ ქვეყანაში ჩაატარებენ და ჩირაღდნის მსოფლიო ტურნეს აღარ მოაწყობენ.

ავტორბოლა

# ოგბაიძე გადადგა!

**საქართველოს** საავტომობილო ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი შალვა ოგბაიძე თანამდებობიდან გადადგა.

ამის თაობაზე ოგბაიძემ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა...

„ბოლო დროს გახშირდა ქართული ავტოსპორტის პოლიტიკასთან დაკავშირების მცდელობები. ეს პირდაპირ უკავშირდება ჩემს ფაქტორს. ამიოტმაც მივიღე ასეთი მძიმე გადაწყვეტილება" — თქმა ოგბაიძემ, ვინც იმავდროულად ოპოზიციური ნინო ბურჯანაძის პარტიის წევრია.

საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას დროებით აღმასრულებელი დირექტორი მევლუდ მელაძე შეასრულებს, ორ თვეში კი ახალი არჩევნები დაინიშნება.

კრივი

# ნიკოლაი ვალუევი ქართველ კრიმინალთან მეგობრობსო

**WBA-ს** ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ ნიკოლაი ვალუევს რუსი ჟურნალისტები ქართველ კრიმინალთან, რაჟდენ შულაიასთან კავშირში ადანაშაულებენ.

რუსული პრესის ცნობით, ვალუევი შულაიასთან ერთად აწარმოებდა მოლაპარაკებას ჰონკონგურ კომპანია „დრაკონთან" ერთ-ერთი ბიზნეს-ცენტრის 13 მილიონ დოლარად შეძენაზე.

ამ ამბავს ვალუევის მენეჯერმა ბორის დიმიტროვმა ტყუილი უწოდა, თუმც ისიც დასძინა, თუ ადამიანი ციხეში არ ზის, მას კრიმინალს ვერ ვუწოდებთო...

ველორბოლა

# არმსტრონგი დააფოლადეს



**ყველა** დროის უდიდესი ველომრბოლი ლენს არმსტრონგი, მოგეხსენებათ, დიდ სპორტს ახლახანს დაუბრუნდა, წინა კვირაში კი მძიმე ტრავმა მიიღო და საოპერაციო შეიქნა.

არმსტრონგი ველოსიპედიდან ესპანეთში ჯირითისას გადმოვარდა და ექიმთა თავდაპირველი დასკვნით, ლავიწი ორგან მოიტეხა.

ოპერაცია წესით ორ საათზე მეტხანს არ უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ, როცა გაჭრეს, ოთხი მოტეხილობა აღმოაჩნდა და ოპერაციამაც ოთხ საათს გასტანა. ისე, უცნაური კია, თავიდანვე როგორ ვერ გაარკვიეს მოტეხილობების რაოდენობა.

არმსტრონგს ჯერჯერობით დასვენება უწევს და როდის შემოაჯდება ისევ ველოს, უცნობია.

ქირურგმა დუგლას ელენცმა კი თქვა, სპორტსმენს ფოლადის ფირფიტა ჩავუდგითო.

კალათბურთი

# საქართველოს ჩემპიონატი

## 16-წლამდელთა ჩემპიონატი

**მართვე-4 74:65 რუსთავი**

24:10 15:12 16:19 19:24

მართვე-4: ჩოჩია (27), ლვინეფაძე (12), ლოლიშვილი (11 ქულა, 12 მოხსნა, 9 პასი), რუსთავი: კიკვიძე (20), გაგნიძე (18 პასი, 11 მოხსნა), არაბული (10 ქულა, 18 მოხსნა)

**მართვე-1 58:59 მართვე-3**

17:19 17:16 12:10 12:14

მართვე-1: ბურჯანაძე (16 ქულა, 12 მოხსნა), გულმაგარაშვილი (12), გაფრინდაშვილი (9 ქულა, 12 მოხსნა)

მართვე-3: ჩოჩია (27 ქულა, 16 პასი), მესხი (13 ქულა, 9 მოხსნა)

**51-ე სკოლა 91:41 აფხაზეთი**

31:9 21:17 18:4 21:11

51-ე სკოლა: ჩხეიძე (21 ქულა, 15 მოხსნა), სვინტრაძე (16), ქაჯაია (13)

აფხაზეთი: გოლეთიანი (12), ხურაშიძე (11)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მართვე-4 | 13 | 9 | 4 | 22 |
| მართვე-3 | 12 | 9 | 3 | 21 |
| მართვე-1 | 11 | 8 | 3 | 19 |
| 51-ე სკოლა | 11 | 8 | 3 | 19 |
| ქუთაისი | 10 | 8 | 2 | 18 |
| რუსთავი | 14 | 3 | 11 | 17 |
| ბათუმი | 12 | 3 | 9 | 15 |
| აფხაზეთი | 13 | 0 | 13 | 13 |

## 18-წლამდელთა ჩემპიონატი

**ენერჯი 92:82 1 ნაკრები-93**

28:14 23:15 21:26 20:27

ენერჯი: ელანიძე (19 ქულა, 11 მოხსნა), სანაძე (17), ლომოური (19)

ნაკრები-93: ბ. ბურჯანაძე (20), მიქელაძე (13), ნადირაძე (11), ფხაკაძე (11)

24 მარტი. სასოფლო

**მართვე-2 90:93 ნაკრები-93**

27:21 26:21 22:24 15:27

მართვე-2: გლოველი (44 ქულა, 8 მოხსნა, 9 პასი), ჭიჭვეიშვილი (22), ლომოური (11)

ნაკრები-93: გიგი მესხი (26 ქულა, 11 მოხსნა), ლუდუშაური (12), ბ. ბურჯანაძე (11 ქულა, 13 მოხსნა)

**აკადემია 56:57 დინამო**

16:13 7:13 12:18 21:13

აკადემია: ბოქოლიშვილი (25), ჯავახიშვილი (10 ქულა, 12 მოხსნა), თენეიშვილი (6 ქულა, 10 მოხსნა)

დინამო: ალხანაიძე (17 ქულა, 18 მოხსნა), ბაქრაძე (11 ქულა, 5 პასი)

**1 ექსპ. სკოლა 66:87 მართვე-1**

20:17 27:17 11:21 8:32

1 ექსპ. სკოლა: ჩქარეული (20 ქულა, 10 მოხსნა), ბექაური (10 ქულა, 16 მოხსნა), მაისურაძე (10 ქულა, 9 მოხსნა)

მართვე-1: ტეტელაშვილი (27), ორკობელაშვილი (16 ქულა, 12 მოხსნა), ძიძიშვილი (13), ჭობონელიძე (13)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აკადემია | 15 | 11 | 4 | 26 |
| დინამო | 12 | 9 | 3 | 21 |
| ენერჯი | 12 | 8 | 4 | 20 |
| 1 ექსპ. სკოლა | 13 | 7 | 6 | 20 |
| რუსთავი | 13 | 7 | 6 | 20 |
| მართვე 2 | 14 | 6 | 8 | 20 |
| მართვე 1 | 13 | 7 | 6 | 20 |
| ქუთაისი | 14 | 3 | 11 | 17 |
| ნაკრები 93 | 12 | 1 | 11 | 13 |

## 20-წლამდელთა ჩემპიონატი

**აკადემია 92:78 მაკაბი**

18:28 21:11 26:10 27:29

აკადემია: ბოქოლიშვილი (19), გასიტაშვილი (17), მეტაშვილი (12), მუმლაძე (10)

მაკაბი: ჯანგველაძე (36 ქულა, 14 მოხსნა), ლონდარიძე (12 ქულა, 14 მოხსნა), კილაძე (12)

**აკადემია 86:85 მართვე**

ძირითადი დრო 75:75

16:17 19:19 20:19 20:20 11:10

აკადემია: ბოქოლიშვილი (25), მეფარიშვილი (14), ბარბაქაძე (13), გასიტაშვილი (11)

მართვე: ლომოური (30), მეჭურჭლიშვილი (22), ჭიჭვეიშვილი (14), ბაკაშვილი (11 ქულა, 14 მოხსნა)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუსთავი | 12 | 11 | 1 | 23 |
| მართვე | 12 | 6 | 6 | 18 |
| აკადემია | 10 | 7 | 3 | 17 |
| სამედიცინო | 12 | 5 | 7 | 17 |
| მაკაბი | 11 | 5 | 6 | 16 |
| ქუთაისი | 11 | 0 | 11 | 11 |

ჭადრაკი

# მიქაძე გენმდივანიცაა

**საქართველოს** ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივნის თანამდებობას ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ მიქაძე შეითავსებს.

ასე იქნება 2010 წლამდე, სანამ ახალი არჩევნები არ დაინიშნება.

შეგახსენებთ, რომ ბეგლარ ჯობავამ საკუთარი სურვილით დატოვა გენმდივნის სავარძელი.

ხელბურთი

# საქართველოს ჩემპიონატი

**სპარტაკი 16:36 თბილისი**
**მამული 27:34 რუსთავი**
**სამტრედია 29:26 ქუთაისი**
**თბილისი 35:17 ქუთაისი**
**სამტრედია 26:31 სპარტაკი**
**ქარიშხალა 29:24 რუსთავი**

მომდევნო ტური 27-30 აპრილს გაიმართება

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 0 | 0 | 111:60 | 9 |
| ქარიშხალა | 2 | 0 | 0 | 74:43 | 6 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 1 | 77:83 | 6 |
| რუსთავი | 1 | 0 | 1 | 58:56 | 3 |
| სამტრედია | 1 | 0 | 2 | 82:97 | 3 |
| მამული | 0 | 0 | 2 | 46:79 | 0 |
| ქუთაისი | 0 | 0 | 3 | 64:94 | 0 |

ჰაერნაოსნობა

# უთურგაურის რეკორდი

**საქართველოს** სპორტის დეპარტამენტმა ოფიციალურად დაამტკიცა 2 მარტს დაფიქსირებული ორი ეროვნული რეკორდი — შორს ფრენა და ჰაერში ყოფნის ხანგრძლივობა.

რეკორდი ჰაერსნაოსნობის ფედერაციის პრეზიდენტ რევაზ უთურგაურს ეკუთვნის, ვისაც ეკიპაჟის ერთი წევრი ჰყავდა — ლევან ადამია.

სარეკორდო ფრენის სიშორე 98,9 კილომეტრია, ხოლო ფრენის ხანგრძლივობა 4 საათი და 17 წუთი.

დეპარტამენტის წარმომადგენლება უთურგაური რეკორდის დამადასტურებელი დიპლომით დააჯილდოვეს.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთი: ილია ნანობაშვილი, ნუკრი ლოლაძე
უცხოური ფეხბურთი: გიო ახვლედიანი, ვაჟა ხუციშვილი
ქართული სპორტი: ლექსო მაისურაძე, ირაკლი ფირაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 93 16 08, 899 945 975



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42ა, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge